**TÜRKİYE CUMHURİYETİ**

***ANAYASASI***



# თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

ISBN 99928 70 28 1
9789992870280
Printed in GEORGIA

# TÜRKİYE
# *CUMHURİYETİ*
# ANAYASASI

Kanun №2709 Kabul Tarihi: 18.10.1982

Anayasanın Türkçeden çeviri girişiyle
hazırlayan Giorgi SORDİA

TİFLİS
AZRİ Yayınlar
2000

# თურქეთის
# რესპუბლიკის
# კონსტიტუცია

კანონი №2709 მიღებულია 1982 წლის 18 ოქტომბერს

კონსტიტუცია თურქულიდან თარგმნა და
გამოსაცემად მოამზადა გიორგი სორდიამ

თბილისი
გამომცემლობა აზრი
2000

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია სრულად ქართულ ენაზე შესრულებული თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თარგმანი. შესავალ სტატიაში მოკლედ განხილულია თურქული კონსტიტუციონალიზმის ისტორია და თანამედროვე კონსტიტუციის ძირითადი ასპექტები. თარგმანში გათვალისწინებულია კონსტიტუციაში სხვადასხვა დროს განხორციელებული ცვლილებები და დამატებები.

განკუთვნილია აღმოსავლეთმცოდნეების, თურქოლოგების, ისტორიკოსებისათვის და თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური სამართლის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.


რედაქტორი
ზურაბ ბატიაშვილი

რეცენზენტები:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გულნარა ალასანია;
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ავთანდილ დემეტრაშვილი

კონსტიტუციის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ
საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს სამხედრო ატაშეს
შტაბის პოლკოვნიკს ბატონ ვედატ ილდიზს

Anayasanın yayınlanmasında yardımlarını esirgemeyen
T.C. Tiflis Büyükelçiliği Askeri Ataşesi Kurmay Albay
Sn. *Vedat YILDIZ*'a Şükranlarımızı sunarız

გამომცემლობა აზრი
თბილისი, მერაბ კოსტავას 14, I სართული
ტელ.: 99 01 06 ფაქსი: 98 97 87
ელ. ფოსტა: micro@ip.osgf.ge
http://azri.virtualave.net

ISBN 99928 70 28 1



Copyright © თარგმანი, გიორგი [illegible] 2000


შინაარსი


შესავალი . . . . . . . . 7

პრეამბულა . . . . . . . . 20

კარი პირველი
ზოგადი პრინციპები . . . . . . . . 21

კარი მეორე
ძირითადი უფლებები და მოვალეობები . . . . . . . . 23

თავი პირველი
ზოგადი დებულებები . . . . . . . . 23

თავი მეორე
პიროვნების უფლებები და მოვალეობები . . . . . . . . 25

თავი მესამე
სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და ვალდებულებები . . . . . . . . 35

თავი მეოთხე
პოლიტიკური უფლებები და მოვალეობები . . . . . . . . 43

კარი მესამე
რესპუბლიკის ძირითადი ორგანოები . . . . . . . . 47

თავი პირველი
საკანონმდებლო ხელისუფლება . . . . . . . . 47

თავი მეორე
აღმასრულებელი ხელისუფლება . . . . . . . . 59

თავი მესამე
სასამართლო ხელისუფლება . . . . . . . . 79

კარი მეოთხე
ფინანსური და ეკონომიკური დებულებები . . . . . . . . . . . 92

თავი პირველი
ფინანსური დებულებები . . . . . . . . . . . 92

თავი მეორე
ეკონომიკური დებულებები . . . . . . . . . . . 94

კარი მეხუთე
სხვადასხვა დადგენილებები . . . . . . . . . . . 96

კარი მეექვსე
დროებითი დებულებები . . . . . . . . . . . 97

კარი მეშვიდე
დასკვნითი დებულებები . . . . . . . . . . . 102


## შესავალი

### I

თურქეთი (ოფიციალური სახელწოდება თურქეთის რესპუბლიკა) მდებარეობს ორ კონტინენტზე — ევროპასა და მცირე აზიაში. მისი ფართობია 779,452 კვ.კმ. ქვეყნის ძირითადი ნაწილი — 97% განლაგებულია აზიაში და მხოლოდ 3% ევროპაში. თურქეთის აზიური ნაწილი მოიცავს მცირე აზიის ანუ ანატოლიის ნახევარკუნძულს, სომხეთ-ქურთისტანის მთიანეთს და სირია-მესოპოტამიის ფერდობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს.

ევროპული ნაწილი კი მოიცავს ბალკანეთის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეს, რომელსაც აღმოსავლეთ თრაკიადაც იწოდება.

თურქეთის მოსახლეობაა 62 მილიონი. დედაქალაქია ანკარა, ოფიციალური ენაა თურქული.

თურქეთის რესპუბლიკა ჩამოყალიბდა ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე, რომელმაც I მსოფლიო ომის შემდეგ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. ოსმალეთი, როგორც გერმანიის მხარეს მებრძოლი და დამარცხებული ქვეყანა, ოკუპირებულ იქნა ანტანტის ძალების მიერ. სულთნის ხელისუფლებასა და გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის დადებული 1918 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის ზავის, ხოლო შემდეგ 1920 წლის სევრის სამშვიდობო ხელშეკრულებით იმპერიამ პრაქტიკულად დაკარგა სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი. გარდა ცენტრალური ანატოლიის მცირე ნაწილისა, მთელი ქვეყანა გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა გაინაწილეს. ასეთ ვითარებაში ახალი თურქული სახელმწიფოსა და ქვეყნის განთავისუფლების მისია თავის თავზე აიღეს თურქეთში ახლადჩამოყალიბებულმა ეროვნულმა ძალებმა, რომლებსაც სათავეში ჩაუდგა ოსმალეთის არმიის გენერალი მუსტაფა ქემალ-ფაშა. წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის (1918-1923 წწ) შედეგად ქემალისტებმა მოახერხეს ქვეყნის ფაქტობრივი განთავისუფლება. 1923 წლის 24 ივლისის ლოზანის ხელშეკრულებით კი ევროპის ქვეყნებმა ოფიციალურად აღიარეს თურქეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. იმავე წლის 29 ოქტომბერს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს მუსტაფა ქემალ ფაშა. მისი ხელმძღვანელობით გატარდა უმნიშვნელოვანესი რეფორმები და ცვლილებები. 1922 წლის 1 ნოემბერს გაუქმდა სასულთნო, ხო-

ლო 1924 წლის 3 მარტს – სახალიფო, 1926 წელს გაუქმდა შარიათის კანონები და შემოიღეს ახალი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსი, 1928 წელს არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით, რელიგია გამოეყო სახელმწიფოს, ქალებს მიეცათ საარჩევნო ხმის უფლება. 1934 წელს თურქეთში შემოიღეს გვარები. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალს ათათურქის („თურქთა მამა") გვარი მიანიჭა.

გატარებულ ცვლილებებს შორის, ახალი თურქული სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი იყო 1924 წლის 20 აპრილს თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღება. საერთოდ თურქეთის რესპუბლიკა მდიდარი საკონსტიტუციო ტრადიციების ქვეყანაა. XX საუკუნეში, ოღონდ მოქმედი კონსტიტუციის ჩათვლით, მიღებულ იქნა სამი კონსტიტუცია.

თურქული კონსტიტუციონალიზმის განვითარება კი სათავეს იღებს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან და დაკავშირებულია სტამბოლში არალეგალურად შექმნილ „ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოების" საქმიანობასთან. ამ ორგანიზაციაში თავმოყრილი იყვნენ ახალი თურქული ინტელიგენციის წარმომადგენლები – ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი ნამიქ ქემალი, ლიტერატორები ზია ბეი და ალი სუავი და სხვები. პირველი თურქული კონსტიტუციის პროექტი კი ევროპული ქვეყნების და განსაკუთრებით ბელგიური კონსტიტუციის საფუძველზე მოამზადა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ მიდჰათ ფაშამ.

„ახალგაზრდა ოსმალთა" მიზანი იყო კონსტიტუციური მონარქიის დამყარებით შეეზღუდათ სულთან-ხალიფის აბსოლუტური მმართველობა, დამკვიდრებინათ ახალი – „ოსმანიზმის" იდეოლოგია, რითაც იმედოვნებდნენ იმპერიის გადარჩენას სრული ეკონომიკური და პოლიტიკური კატასტროფისაგან.

„ახალგაზრდა ოსმალთა" კონსტიტუციურმა მოძრაობამ შედეგი გამოიღო 1876 წლის 23 დეკემბერს, როდესაც სულთანი აბდულ ჰამიდ II იძულებული შეიქნა მიეღო კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ოსმალეთი ცხადდებოდა კონსტიტუციურ მონარქიად. კონსტიტუციაში აღიარებულ იქნა პირადი თავისუფლებისა და იმპერიის ყველა ქვეშევრდომის, განურჩევლად აღმსარებლობისა, თანასწორობის პრინციპი, საკუთრების უსაფრთხოება და საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, გადასახადების პროპორციულად ამოღების პრინციპი, კონფისკაციებისა და ჯარიმების აკრძალვა, პრესის თავისუფლება და სავალდებულო დაწყებითი განათლების უფლება. კონსტიტუციამ დააფუძნა ორპალატიანი პარლამენტი – სენატი, რომლის წევრებსაც სამუდამოდ ირჩევდა სულთანი და დეპუტატთა პალატა, რომელსაც ირჩევს მოსახლეობის მამაკაცთა ნაწილი. კონსტიტუციაში განსაზღვრულ იქნა ოსმალეთის იმპერიის მინისტრებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეთა უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე სასამართლოთა საჯაროობა და დამოუკიდებლობა.

კონსტიტუციის მიხედვით, ისლამი ცხადდებოდა სახელმწიფო რელიგიად, ამასთან ერთად, თავისთავად არ ზღუდავდა სულთან-ხალიფის ძალაუფლებას. თუმცა, ამის მიუხედავად, მთელი რიგი დემოკრატიული უფლებების დეკლარირებას, პარლამენტარიზმის დამკვიდრებას ჩამორჩენილი ოსმალეთისათვის, სადაც ფეოდალური რეაქციული სულთნური რეჟიმი ბატონობდა, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.



მაგრამ 1876 წლის კონსტიტუციის მოქმედება დიდხანს არ გაგრძელებულა. სულთანმა აბდულ ჰამიდ II-მ 1877 წელს დაითხოვა პარლამენტი, შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, რითაც შეიერთა მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. ოსმალეთის ისტორიაში კონსტიტუციის უმოქმედობის ეს პერიოდი ცნობილია აბდულჰამიდის ტირანიის ანუ „ზულუმის" ეპოქის სახელწოდებით.

კონსტიტუციის აღდგენა და დათხოვნილი პარლამენტის მოწვევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 33 წლის შემდეგ 1908 წელს, მას შემდეგ, რაც თურქეთში განხორციელდა „ახალგაზრდა თურქთა" რევოლუცია. პირველსავე შეკრებაზე პარლამენტმა აღადგინა კონსტიტუცია და შეიტანა მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რითაც შეიზღუდა სულთნის ხელისუფლება და მეტი უფლებამოსილება მიენიჭა დეპუტატთა პალატას.

შემდეგი საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდა უკვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს, როდესაც ეროვნულმა კრებამ 1921 წლის 20 იანვარს მიიღო საკონსტიტუციო საბჭოს მიერ მომზადებული გარდამავალი პერიოდის დროებითი კონსტიტუცია. რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1924 წლის 20 აპრილს მიღებულ იქნა თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია. ის, მართალია, სახელმწიფოს ფორმად აცხადებდა რესპუბლიკას და აღიარებდა ერის ნების უზენაესობას, მაგრამ რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია შეიცავდა ტრადიციული მმართველობის დროინდელ გადმონაშთებსაც. კონსტიტუციაში არ იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფოსა და რელიგიის ერთმანეთისაგან გამოყოფის პრინციპი – ისლამი კვლავ რჩებოდა სახელმწიფო რელიგიად, ეს დებულება ამოღებულ იქნა 1928 წლის სპეციალური კანონის შესაბამისად, ქალებისათვის არჩევისა და არჩეულად ყოფნის უფლება კი მინიჭებულ იქნა 1934 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებით. კონსტიტუციაში არ იყო განსაზღვრული ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოწყობის საფუძვლები და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. კონსტიტუციის მიხედვით არ იყო გათვალისწინებული ხელისუფლების განაწილების პრინციპი, მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება თავმოყრილი იყო თურქეთის დიდი ეროვნული კრების ხელში.

მნიშვნელოვანი ცვლილებებით იქნა მიღებული რესპუბლიკის მეორე 1961 წლის კონსტიტუცია, რომელსაც წინ უძღოდა 1960 წლის სამხედრო გადატრიალება, რითაც თურქეთში დაემხო „დემოკრატიული პარტიის" (DP) მმართველობა.

ახალმა კონსტიტუციამ, წინამორბედისაგან განსხვავებით დაამკვიდრა ახალი კონსტიტუციური გარანტიები, როგორიცაა გაფიცვების, შეკრებათა და დემონსტრაციათა თავისუფლება, რომლებიც არ საჭიროებდა წინასწარ ნებართვას.

1961 წლის კონსტიტუციამ, პირველად თურქეთის ისტორიაში, აღიარა გაერთიანებების შექმნის უფლება, პროფკავშირთა შექმნის შესაძლებლობა და კოლექტიური შრომითი შეთანხმებებისა და გაფიცვების უფლება. კონსტიტუციამ პირველად უზრუნველყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

თუმცა ახალ კონსტიტუციაში ისევე, როგორც მის წინამორბედში, არ იყო გათვალისწინებული როგორც ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოწყობისათვის დამახასიათებელი დებულებები, ასევე ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, კონსტიტუციაში მხოლოდ

ნიშნავს, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია იქმნება თვითმმართველობის პრინციპზე, ხოლო არჩევნები ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებში იმართება კანონის შესაბამისად.

ყველაზე უფრო სრულყოფილი და ყოვლისმომცველია თურქეთის რესპუბლიკის თანამედროვე კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალების შედეგად. საკონსტიტუციო საბჭოს მიერ მომზადებული პროექტი 1982 წლის 7 ნოემბერს გატანილ იქნა საყოველთაო რეფერენდუმზე, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 18 ნოემბერს.

კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 177 მუხლის და 16 დროებითი მუხლისაგან, რომლებიც დაჯგუფებულნი არიან 7 კარში, ცალკეულ თავებში და ქვეთავებში. 1995 წლის განხორციელებული შემდგომი საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ცვლილებები განხორციელდა კონსტიტუციის პრეამბულაში, 33-ე, 53-ე, 67-ე, 68-ე, 69-ე, 75-ე, 84-ე, 885-ე, 93-ე 127-ე, 135-ე, 149-ე და 171-ე მუხლებში, ხოლო 52-ე მუხლი კი საერთოდ ამოღებულ იქნა.

კონსტიტუციის სტრუქტურა შემდეგნაირია:

– პრეამბულა
– ზოგადი პრინციპები
– ძირითადი უფლებები და მოვალეობები
ზოგადი დებულებები
ადამიანის უფლებები და მოვალეობები
სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და მოვალეობები
პოლიტიკური უფლებები და მოვალეობები
– რესპუბლიკის ძირითადი ორგანოები
საკანონმდებლო ხელისუფლება
აღმასრულებელი ხელისუფლება
სასამართლო ხელისუფლება
– ფინანსური და ეკონომიკური დებულებები
ფინანსური დებულებები
ეკონომიკური დებულებები
– სხვადასხვა დებულებები
– დროებითი მუხლები
– დასკვნითი დებულებები

პრეამბულაში ხაზგასმულია თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის და მისი პირველი პრეზიდენტის მუსტაფა ქემალ ათათურქის მნიშვნელობა და ღვაწლზე, მოკლედ ჩამოთვლილია თურქეთის ნებისმიერი მოქალაქის მიერ გასათვალისწინებელი ის ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც დაწვრილებით განისაზღვრება კონსტიტუციის ძირითად ნაწილში.

კონსტიტუცია აცხადებს თურქეთის რესპუბლიკას, როგორც დემოკრატიულ, საერო და სოციალურ-სამართლებრივ სახელმწიფოს, რომელშიც მთელი ძალაუფლება მომდინარეობს ხალხისგან. ერის სუვერენიტეტის პრინციპი კი განისაზღვრება ტრადიციული ფორმულით „სუვერენიტეტი უპირობოდ ეკუთვნის ერს" (მუხლი 6).



თურქეთის კონსტიტუცია ეფუძნება ძირითად უფლებათა და პიროვნების თავისუფლებათა გარანტიებს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებსა და ხელისუფლებების განაწილების პრინციპს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად.

კონსტიტუცია მოქალაქეებს სთავაზობს უფლებათა და თავისუფლებათა ფართო ჩამონათვალს. იქვეა მოცემული გარანტიები: თანასწორობა კანონის წინაშე, პიროვნების ხელშეუვალობა და მატერიალური და სულიერი მოთხოვნების განვითარების უფლება, პირადი ცხოვრებისა და საოჯახო ცხოვრების საიდუმლოება, საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, ინფორმაციის გავრცელებისა და მისი საიდუმლოდ შენახვის თავისუფლება, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და მოგზაურობის თავისუფლება, რელიგიისა და სინდისის თავისუფლება, რაც გულისხმობს ნებისმიერი რწმენის, შეხედულების თუ ფილოსოფიური მრწამსის წინააღმდეგობების გარეშე გამოხატვას, მეცნიერებისა და ხელოვნების თავისუფლება.

კონსტიტუცია აღიარებს პრესის თავისუფლებას, რომელიც დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება ცენზურას, საზოგადოებათა თავისუფლად შექმნას, დემონსტრაციების, შეკრებების, გარანტირებული საკუთრების უფლებას, სასამართლო დაცვის შესაძლებლობას.

კონსტიტუცია განსაზღვრავს აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებათა გარანტიებს: სწავლისა და განათლების უფლებას, რომელიც სავალდებულოა დაწყებითი განათლების დონეზე ყველა მოქალაქისთვის, სახელმწიფო სკოლებში კი მისი განხორციელება უფასოა. კონსტიტუცია შრომას განსაზღვრავს, როგორც ყველას უფლებას და მოვალეობას, აღიარებს პროფკავშირის შექმნის, კოლექტიური შრომითი შეთანხმების დადების და გაფიცვის ან ლოკაუტის უფლებას.

ყველა მოქალაქეს აქვს არჩევის, არჩეულად ყოფნის და პოლიტიკური საქმიანობით დაკავების უფლება, თავისუფლად პოლიტიკური პარტიების შექმნა, მათში გაწევრიანება და პარტიის რიგების დატოვება.

ეს გარანტიები დეკლარირებულია, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა მიმართებით სახელმწიფოს მოვალეობების ხარისხში. სახელმწიფო მოვალეა დაიცვას ადამიანის უფლებათა გარანტიები, დაცვის და კოორდინირებულად განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა ქვეყანაში, შექმნას აუცილებელი პირობები ქვეყნის ერთიანობის და დემოკრატიის დაცვისა და ადამიანის მატერიალური და სულიერი განვითარებისათვის. მოხსნის ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები, რომლებიც შეუსაბამოა სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან და სამართლიანობასთან, გააკონტროლის და ზედამხედველობა დამკვიდრების სფეროებში რეგულარულ სწავლებაზე, მიიღოს შესაბამისი ზომები პირებისა და ინდივიდუალის გავლენის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის.

ამას გარდა, სახელმწიფო იღებს და ატარებს აუცილებელ ზომებს საოჯახო ცხოვრების განვითარებისათვის, განათლების ხელშეწყობისათვის. სახელმწიფო აფუძნებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს და ახორციელებს მათზე კონტროლსა და ზედამხედველობას, რექტორთა დანიშვნის პრეროგატივა ეკუთვნის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ხოლო დეკანებისა კი – უმაღლესი განათლების საბჭოს.

საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აკონტროლებს სანაპირო ზონებს, ზღვების, ტბების, მდინარეების, ტყეების, მიწისზედა და მიწისქვეშა ბუნებრივი

სამეურნეების განვითარებას, იღებს ზომებს მათის მწარმოებლური დამოუკიდებლობისთვის, იგივე მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და წარმოების სხვა სფეროებში დასაქმებულებს. თუ საჭიროდ ჩაითვლის, სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს კერძო მფლობელობაში მყოფი უძრავი ქონების მთლიანი ან ნაწილობრივი განსახელმწიფოება, ან დაწესოს მათზე ადმინისტრაციულ-სამეურნეო სერვიტუტი. საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით გამომდინარე, სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს საზოგადოებრივი ხასიათის მქონე კერძო საწარმოების ნაციონალიზაცია.

კონსტიტუცია, მართალია, აღიარებს სახელმწიფოს დომინანტ როლს ეკონომიკაში, მაგრამ წინა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, გაცილებით მეტ გასაქანს აძლევს კერძო ინიციატივებს. ეს განპირობებულია 1980 წლიდან დაწყებული თურქეთის ახალი ეკონომიკური სტრატეგიის შედეგებისა, რომელმაც შეცვალა სახელმწიფოებრივი რეგულირების პრინციპი სასაქონლო-საბაზრო ურთიერთობებით. კონსტიტუციის ეკონომიკური დებულებები ეყრდნობიან, რომ მიმდინარეობს სასაქონლო-საბაზრო და ექსპორტული მეურნეობის სისტემა.

კონსტიტუციური გარანტიების სხვა ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციას, არის აკრძალვები და შეზღუდვები, რომლებიც ეხება სახელმწიფო ორგანოთა მთელ სისტემას, სამოქალაქო და თანამდებობის პირთა საქმიანობას. კერძოდ: ძირითადი უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს, ქვეყნის და ერის ერთიანობის, ეროვნული სუვერენიტეტის, რესპუბლიკის, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საყოველთაო სიმშვიდის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის, ზნეობრიობის და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით (მუხლი 13).

კონსტიტუცია კრძალავს ადამიანის სიცოცხლის, მისი მატერიალური და სულიერი მთლიანობის ხელყოფას. არავის შეიძლება შეეფარდოს სასტიკი რეპრესიული შეხედულებისა და აზრების გამოთქმისათვის. იკრძალება პიროვნების ღირსების შემლახველი მოპყრობა, მისი წამება და ადამიანურ ღირსებებთან შეუფერებელი სასჯელის დაკისრება.

იკრძალება იძულებითი დასაქმება და ექსპლუატაცია. არავის შეიძლება დაექვემდებაროს გაჩხრეკა, პირადი საბუთისა და საგნების შემოწმება ან ამოღება. კონსტიტუცია მკაცრად ზღუდავს რელიგიური წესების ნაწილობრივ მაინც შეთავსებას სახელმწიფოს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან სამართლებრივ წყობასთან, დაუშვებელია აგრეთვე მათი გამოყენება პოლიტიკური თუ პირადი გავლენისა და მიზნების მიზნით. არავის შეუძლია ექსპლუატაცია გაუწიოს რელიგიას, ბოროტად გამოიყენოს რელიგიური გრძნობები, ან რელიგიის მიერ წმინდად აღიარებული სალოცავები (მუხლი 24).

ისე რომ, კონსტიტუცია მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან სასულიერო და საერო ხელისუფლებას, სახელმწიფო ფლობს სრულ კონტროლის შესაძლებლობებს რელიგიაზე, ამის მიზნით კონსტიტუცია ქმნის რელიგიურ საქმეთა სამმართველოს, რომელიც აღმასრულებელი ადმინისტრაციის ჩარჩოებში, ლაიციზმის პრინციპის გათვალისწინებით, ემსახურება ეროვნული სოლიდარობისა და თურქეთის განუყოფელი ერთიანობის უზრუნველყოფას (მუხლი 136).

კონსტიტუციის მიხედვით იკრძალება აგრეთვე პირისა და შეზღუდულების იძულებითი გამოსახლება და გაძევება, ან ზრდილობის ამის გამო. პირის გამოძიების, შეზღუდულების გამოქ-



ვებების, ან გაუქმებულების დროს კი კონსტიტუცია კრძალავს იმ ქონების გამოყენებას, რომლებიც შესაბამისი კანონის მიხედვით აკრძალულია, თუმცა თავად ეს კანონი გაუქმებული იქნა 1991 წელს.

კონსტიტუციური შეზღუდვები შეეხება აგრეთვე შეკრებისა და დემონსტრაციების ჩატარებას, ისეთი მიზნებით, რომლებიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ერთიანობასა და დამოუკიდებლობას, ხოლო საზოგადოებებს, საქველმოქმედო ფონდებს და პროფკავშირებს არ შეუძლიათ ჩაატარონ ისეთი სახის შეკრებები, რომლებიც სცდება მათი პროფესიული მიზნების ჩარჩოებს.

სასჯელთან დაკავშირებით კონსტიტუციაში განსაზღვრულია, რომ არავის შეიძლება დაუქვემდებარონ სასჯელს ქმედებისათვის, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არ ითვლება დანაშაულად. არავის უნდა დაუქვემდებარონ უფრო მძიმე სასჯელს, ვიდრე ამას ითვალისწინებს მოცემული დანაშაულის შესახებ კანონის დადგენილება.

განათლებასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო-სასწავლო დაწესებულებებს ეკრძალებათ განათლების, სწავლების და კვლევითი საქმიანობის გარდა სხვა სახის საქმიანობა. საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში კი თურქეთის მოქალაქეების მიერ არც ერთი ენა, გარდა თურქულისა, არ შეიძლება ისწავლებოდეს მშობლიური ენის სტატუსით (მუხლი 42).

გაფიცვისა და ლოკაუტის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ინტერესებისა და ეროვნული ღირსებულებების წინააღმდეგ. იკრძალება აგრეთვე გაფიცვები და ლოკაუტები პოლიტიკური მიზნებით, სოლიდარობის გაფიცვები და ლოკაუტები, საწარმოს ხელში ჩაგდება და მშვიდი საქმიანობა.

პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებით, კონსტიტუცია რესპუბლიკის ერთიანობის, ქვეყნის დამოუკიდებლობის, დემოკრატიის და ეროვნული სუვერენიტეტის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, კატეგორიულად ზღუდავს როგორც მოქალაქეთა, ასევე პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობას. ასე მაგალითად, პარტიათა წესდებები და პროგრამები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ რესპუბლიკის ძირითად პრინციპებს, არ უნდა ეწეოდნენ კომერციულ საქმიანობას, არ უნდა იღებდნენ მატერიალურ დახმარებას უცხო სახელმწიფოებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან და თურქეთის მოქალაქეობის არმქონე კერძო და იურიდიული პირებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაექვემდებარებიან სასამართლო დახურვას.

ისე რომ, კონსტიტუცია სთავაზობს მოქალაქეებს არა მარტო ცხოვრებისათვის აუცილებელ უფლებათა და თავისუფლებათა ფართო შესაძლებლობებს, არამედ იურიდიულ გარანტიათა მთელ სისტემას, რომელიც მიმართულია მათი უზრუნველყოფისათვის.

რაც შეეხება გარანტიებს ეროვნული უმცირესობებისათვის, თურქეთის კონსტიტუციაში არ არის გათვალისწინებული რაიმე სპეციალური დადგენილება. ეს საკითხი მოწესრიგებულია 1923 წლის ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით, თურქეთი ოფიციალურად აღიარებს სომხურ, ებრაულ და ბერძნულ უმცირესობებს და აძლევს ყოველგვარ შესაძლებლობებს საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის განვითარებისათვის. არც ერთი სხვა ჯგუფი არ ატარებს უმცირესობის სტატუსს. სახელმწიფო-

ერთიანი მოწყობის ფორმით თურქეთი, როგორც უნიტარული სახელმწიფო, ამიტომ მკაცრად ცენტრალიზებული პრინციპის საფუძველზეა. ერის განუყოფლობის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი კი არის თურქეთის მოქალაქეობა, ეს პრინციპი განსაზღვრულია 66-ე მუხლით: „ყოველი ადამიანი, ვინც დაკავშირებულია თურქეთის სახელმწიფოსთან მოქალაქეობის პრინციპით, არის თურქი". კონსტიტუციაში გამოყენებული ტერმინები „თურქი", „ყოველი თურქი", „თურქები" ატარებენ არა იმდენად ეთნიკური კუთვნილების შინაარსს, არამედ მთელი ქვეყნის, განურჩევლად ეროვნების, რწმენის, სქესის და სხვა ნიშნით, გამაერთიანებელ, მოქალაქეობის შინაარსის მატარებელ პოლიტიკურ ხასიათს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქეთის კონსტიტუციის მიხედვით, მთელი ძალაუფლება განაწილებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის.

საკანონმდებლო კომპეტენციას ფლობს თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტი ანუ თურქეთის დიდი ეროვნული კრება. პარლამენტი არის ერთპალატიანი და შედგება საყოველთაო, ფარული არჩევნების შედეგად არჩეული ხუთასორმოცდაათი დეპუტატისაგან. დეპუტატად არჩევის უფლება აქვს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა ოცდაათი წელი. არჩევნები ტარდება რეგულარული ინტერვალებით, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.

ერის წარმომადგენლობის პრინციპი კონსტიტუციაში განსაზღვრულია ფორმულით: – „თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრები წარმოადგენენ მთელ ერს და არა იმ რაიონს, სადაც იქნენ არჩეულნი, და არა იმ პარტიას, რომელთაც აირჩია" (მუხლი 80)

პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით სარგებლობენ როგორც დეპუტატები, ასევე მინისტრთა საბჭო.

თურქეთის პარლამენტის კომპეტენციაში შედის: კანონთა მიღება, მათში ცვლილებების შეტანა და გაუქმება, მინისტრებისა და მინისტრთა საბჭოს კონტროლი, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭოსათვის კანონის ძალის მქონე დადგენილებების მიღების კომპეტენციის დაკისრება, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვა და დამტკიცება, ფულადი ემისიისა და ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიცირება, საყოველთაო და კერძო ამნისტიის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აუცილებლობის შემთხვევაში თურქეთის შეიარაღებული ძალების უცხო ქვეყნებში გაგზავნა, ან პირიქით, უცხოური შეიარაღებული ძალებისათვის თურქეთში შემოსვლისათვის ნებართვის გაცემა.

პრეზიდენტი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს ამტკიცებს თხუთმეტი დღის განმავლობაში, პრეზიდენტს შეუძლია არ დაამტკიცოს კანონი და დააბრუნოს ის პარლამენტს ხელახალი განხილვისათვის.

პარლამენტი გამოკითხვის, მოკვლევის, განხილვის, ინტერპელაციის და გამოძიების გზებით ახორციელებს მაკონტროლებელი კომპეტენციის განხორციელებას, რაც მიზნად ისახ-



ავს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის შესწავლასა და პასუხისმგებლობის დაყენებას.

თურქეთის რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას გააჩნია დუალისტური სტრუქტურა, ის შედგება რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოსაგან.

პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი შვიდი წლის ვადით, საკუთარი შემადგენლობიდან, ან პირებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ დეპუტატად არჩევისათვის საჭირო მოთხოვნებს. პრეზიდენტის თანამდებობაზე მეორე ვადით არჩევა არ შეიძლება. პრეზიდენტად არჩევისათვის აუცილებელია პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედის უმრავლესობა.

კონსტიტუცია პრეზიდენტს უწესებს საკმაოდ ფართო უფლებებსა და მოვალეობებს, როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელ, ასევე სასამართლო ხელისუფლების სფეროში (მუხლი 104).

პრეზიდენტი არ არის პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე, მას არ ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის. ნებისმიერ მის ბრძანებულებას, გარდა იმ დადგენილებებისა, რომლის შესახებაც აღნიშნულია კანონში, ხელს აწერენ პრემიერ-მინისტრი ან მინისტრები, ამდენად პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ (მუხლი 105). ამასთან ერთად, პრეზიდენტის არც ერთი დადგენილება ან ბრძანებულება არ ექვემდებარება სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებას.

პრეზიდენტი შესაძლებელია გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან მხოლოდ სამშობლოს ღალატის შემთხვევაში, პარლამენტის წევრთა მინიმუმ ერთი მესამედის წინადადებით და წევრთა სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის გადაწყვეტილებით.

კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ვიცე პრეზიდენტის თანამდებობას, ამიტომ პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის თანამდებობას იკავებს პარლამენტის თავმჯდომარე.

რაც შეეხება მთავრობას, ის შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. პრემიერ-მინისტრს ნიშნავს პრეზიდენტი, მინისტრებსაც პრემიერ-მინისტრის წარდგენით ნიშნავს პრეზიდენტი. მინისტრები სარგებლობენ იგივე პრივილეგიებით, ხელშეუხებლობით და ხელფასებით, როგორც დეპუტატები.

კონსტიტუციაში განსაზღვრულია ეროვნულ თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხი. უპირველესი როლი ამაში ეკისრება თურქეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელობას. ომის დროს გენშტაბის უფროსი ასრულებს უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობას, მას მინისტრთა საბჭოს წარდგენით ნიშნავს პრეზიდენტი.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებისა და იმპლემენტაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნული უშიშროების საბჭო პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. საბჭოს შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი, გენშტაბის უფროსი, ეროვნული თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა მინისტრები, სახმელეთო-სამხედრო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ძალების და ჟანდარმერიის მეთაურები.

კონსტიტუციის მიხედვით, ადმინისტრაციული მმართველობა ეფუძნება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პრინციპს. თურქეთი ცენტრალური ადმინისტრაციის სტრუქტურის თვალსაზრისით, გეოგრაფიული მდებარეობის, ეკონომიკური პირობებისა და საზოგადოებრივი საჭიროებების გათვალისწინებით დაყოფილია ილებად, ხოლო ილები კი

ილიზმდე. ილების ადმინისტრაციული მმართველობა ეფუძნება გადარიცხული კომპეტენციის პრინციპს.

სასამართლო ხელისუფლებაში კონსტიტუცია აღიარებს სასამართლოთა დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა გარანტიების პრინციპს (მუხლი 138) თურქული სასამართლო სისტემა შედგება სამოქალაქო, სისხლის სამართლის სასამართლოების, სამხედრო და ადმინისტრაციული სასამართლოებისაგან. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებია:

1) საკონსტიტუციო სასამართლო – შედგება თერთმეტი ძირითადი და ოთხი სათადარიგო წევრისაგან. სასამართლოს ძირითად და სათადარიგო წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი კანდიდატთა იმ სიიდან, რომლებსაც წარადგენენ სხვა უმაღლესი ინსტანციის სასამართლოები და უმაღლესი განათლების საბჭო.

საკონსტიტუციო სასამართლო აკონტროლებს: კანონების, კანონის ძალის მქონე დადგენილებების და პარლამენტის შიდა რეგლამენტის კონსტიტუციასთან ფორმით და არსით შესაბამისობას. საკონსტიტუციო სასამართლო უმაღლესი სასამართლოს რანგში იხილავს დანაშაულის საქმეებს, რომლებიც დაკავშირებულია პრეზიდენტის, მინისტრთა საბჭოს წევრების და უმაღლეს სასამართლოთა თავმჯდომარეებისა და წევრების მოვალეობებთან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

2) უმაღლესი საკასაციო სასამართლო (იარგითაი) – წარმოადგენს სამოქალაქო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების, რომლებიც არ გადაეცემა სხვა სამოქალაქო სასამართლო ორგანოს, განხილვისა და გადაწყვეტილებების გამოტანის უკანასკნელ ინსტანციას. უმაღლესი საკასაციო სასამართლოს წევრებს ირჩევს მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭო.

3) სახელმწიფო საბჭო (დანიშთაი) – წარმოადგენს ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების, რომლებიც კანონის მიხედვით არ გადაეცემა სხვა ადმინისტრაციულ სასამართლო ორგანოს, განხილვის უკანასკნელ ინსტანციას. ის აგრეთვე იხილავს კანონით განსაზღვრულ საქმეებს პირველი და უკანასკნელი სასამართლო ინსტანციის რანგში. სახელმწიფო საბჭოს სამ მეოთხედს ირჩევს მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭო, ერთ მეოთხედს კი – პრეზიდენტი.

3) უმაღლესი სამხედრო-საკასაციო სასამართლო – წარმოადგენს სამხედრო სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვის უკანასკნელ ინსტანციას, წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი.

4) უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული სასამართლო – წარმოადგენს პირველ და უკანასკნელ ინსტანციის სასამართლოს, რომელიც მოიცავს სასამართლო ზედამხედველობას სამხედრო მოსამსახურეებისა და სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საქმეებზე. ამასთანავე, აუცილებელი არ არის, რომ საქმეში მონაწილეთაგან ერთ-ერთი მაინც იყოს სამხედრო. სასამართლოს წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი.

5) უთანხმოებათა მომწესრიგებელი სასამართლო – მის უფლებამოსილებაში შედის: სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სამხედრო სასამართლო ინსტანციებს შორის წარმოქმნილ უთანხმოებათა გადაჭრა და მოგვარება.

6) მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭო – მის უფლებამოსილებაში შედის: მოსამართლეთა დამტკიცება და გადაყვანა, ჯილდოების გაცემა, დისციპლინარული



ლი სახდელის გამოტანა მოსამართლეთა მიმართ, და სხვა მსგავსი საქმიანობა. საბჭოს თავმჯდომარე არის იუსტიციის მინისტრი.

7) უმაღლესი ფინანსური საბჭო (საიშთაი) – მის მოვალეობებში შედის პარლამენტის სახელით ყველა შემოსავალ-გასავლისა და ცენტრალური ან ნაციონ ბიუჯეტების ხარჯზე დაფინანსებული დაწესებულებების შემოწმება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

კონსტიტუციის მიხედვით თურქულ სასამართლო სისტემაში ცალკე ადგილი უჭირავს აგრეთვე ეროვნული უშიშროების სასამართლოებს, რომლებიც იხილავს მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის კრიმინალს. კერძოდ, სახელმწიფოს და ერის განუყოფელი ერთობის, დემოკრატიული წყობისა და რესპუბლიკის, აგრეთვე სახელმწიფოს შიდა და საგარეო უშიშროების უშუალოდ ხელმყოფელ დანაშაულებს.

საჭიროების შემთხვევაში ეროვნული უშიშროების სასამართლოები შეიძლება გადაკეთდეს სამხედრო სასამართლოებად.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუციაში 1995 წელს განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებდა თურქეთში დემოკრატიის გაძლიერებას. საკონსტიტუციო რეფორმათა ჩატარებისათვის თურქეთის პარლამენტში ჩამოყალიბდა კონსტიტუციური შეთანხმების კომიტეტი, რომელიც ვალდებულებას იღებდა შეემუშავებინა სპეციფიკური ასპექტები კონსტიტუციური რეფორმათა იმპლემენტაციისათვის.

ამ ცვლილებების მიხედვით, კონსტიტუციის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა პუნქტი, რომელიც ადიდებდა 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებას.

33-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა ორი – მე-4 და მე-5 პუნქტი. პირველი მათგანი საზოგადოებებს უკრძალავდა პოლიტიკური საქმიანობის წარმოებას, პოლიტიკური პარტიებისაგან დახმარების მიღებას, ან პირიქით მათ დახმარებას, მეორე კი ითვალისწინებდა საზოგადოებების თვითლიკვიდაციას იმ შემთხვევაში, რომ მათ გადაეხვიათ შექმნისდროინდელ მიზნებს, ან ვერ შეასრულებდნენ კანონით გათვალისწინებულ მოვალეობებს.

კონსტიტუციიდან მთლიანად ამოღებულ იქნა 52-ე მუხლი – პროფკავშირების საქმიანობის შესახებ. ამ მუხლის მიხედვით, პროფკავშირებს არ შეეძლოთ ეწარმოებინათ პოლიტიკური საქმიანობა, მიეღოთ მხარდაჭერა მათგან, ან თვითონ გაეწიათ დახმარება. პროფკავშირებს ეკრძალებოდათ ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება საზოგადოებებთან, საქველმოქმედო ფონდებთან, პროფკავშირებს არ შეეძლოთ დახმარების გამოყენება იმ მიზნებით, რომლებსაც არ ითვალისწინებდა წესდება.

კონსტიტუციის 53-ე მუხლს – კოლექტიური შრომითი შეთანხმების შესახებ ჩაემატა ერთი პუნქტი, რომლის მიხედვით, პროფკავშირების უმაღლეს ორგანოებსა და ადმინისტრაციას უფლება ეძლევათ სასამართლოში მიმართვის შემდეგ გამართონ ერთობლივი შეხვედრა და მიიღონ გარკვეული შეთანხმებები, რომლებსაც ხელს მოაწერენ მხარეები. ხელმოწერილი დოკუმენტი კი დასახული მიზნების გადასაწყვეტად წარედგინება მინისტრთა საბჭოს.

67-ე მუხლში, რომელიც შეეხება პოლიტიკური საქმიანობის წარმოებას, განხორციელდა შესწორება, რითაც ასაკობრივი ცენზი ამომრჩევლისათვის დაწეულ იქნა 21-დან 19 წლამდე.

68-ე მუხლში განხორციელებული შესწორების შედეგად პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანებისათვის ასაკობრივი ცენზი დაწეულ იქნა 21-დან 19 წლამდე. ამავე მუხლიდან ამოღებულ იქნა აგრეთვე მეხუთე პუნქტი, რომელიც კრძალავდა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას საზღვარგარეთ და პარტიებში ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ან საქველმოქმედო ფონდების შექმნას. მეექვსე პუნქტიდან კი ამოღებულ იქნა დებულება, რომლის მიხედვით, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებს და უმაღლესი განათლების საბჭოს წევრებს უფლება არ ჰქონდათ გაწევრიანებულიყვნენ პოლიტიკურ პარტიებში. ამის შემდეგ იგივე მუხლში ჩამატებულ იქნას სამი პუნქტი. პირველი მათგანის მიხედვით მასწავლებლებს ეხლა უკვე აღარ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა პოლიტიკური პარტიის ცენტრალური ორგანოების გარდა სხვა პარტიულ სტრუქტურაში გარკვეული ფუნქციების შესრულებისათვის.

მეორე დამატებულ პუნქტში აღნიშნულია, რომ უმაღლესი განათლების სისტემის მოსწავლეების პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანებასთან დაკავშირებული პრინციპები განისაზღვრება კანონით.

მესამე დამატებულ პუნქტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო, შესაძლებლობისა და სამართლიანობის მიხედვით, ფინანსურ დახმარებას უწევს პოლიტიკურ პარტიებს.

69-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა მეორე პუნქტი, რომლის მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებს ეკრძალებოდათ ურთიერთობები საზოგადოებებთან, პროფესიულ კავშირებთან, საქველმოქმედო ფონდებთან, კოოპერატივებთან, პროფორგანიზაციებთან. ამავე მუხლში ჩამატებულ იქნა ერთი პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ პოლიტიკური პარტიის დამფუძნებლებს და წევრებს, რომელთა საქმიანობისა და საქციელის მიზეზითაც მოხდა პარტიის სახელით დახურვა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების „რესმი გაზეთში" (ოფიციალური გაზეთი) გამოქვეყნებიდან ხუთი წლის მანძილზე არა აქვთ უფლება გახდნენ სხვა რომელიმე პარტიის დამფუძნებლები, წევრები, ან ხელმძღვანელები.

75-ე მუხლში განხორციელებული შესწორებით პარლამენტის წევრთა რაოდენობა გაზრდილ იქნა 400-დან 550-მდე.

85-ე მუხლის შესწორებით საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით მიღებული დეპუტატის საჩივარს, მისი შემოსვლიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში, ნაცვლად ხუთი დღისა.

93-ე მუხლის შესწორებით პარლამენტი იკრიბება დამოუკიდებლად, ყოველი წლის ოქტომბრის პირველ დღეს, ნაცვლად სექტემბრისა.

127-ე მუხლის მესამე პუნქტში ჩამატებული დებულებით ეხლა უკვე შესაძლებელია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და საკრებულოთა, ან დამატებითი არჩევნების ერთდროულად ჩატარება, მაგრამ მხოლოდ საკრებულოთა, ან დამატებითი არჩევნებამდე, ან შემდეგ ერთი წლის განმავლობაში.



135-ე მუხლის მესამე პუნქტიდან ამოღებულ იქნა დებულება, რომელიც უკრძალავდა პროფესიულ დაწესებულებებს პოლიტიკური საქმეებით დაკავებას და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას პარტიებთან, პროფ. კავშირებთან და საზოგადოებებთან.

149-ე მუხლის ბოლო პუნქტში, რომელიც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოებისა და საქმიანობის წესს, დამატებულ იქნა დებულება, რომლის მიხედვით პოლიტიკურ პარტიათა დახურვის საქმის განხილვის დროს სასამართლო იხილავს აგრეთვე გარდა გენერალური პროკურატურის მასალებისა, იმ პოლიტიკური პარტიის გენერალური სამდივნის წარმომადგენლის, ან ადვოკატის არგუმენტაციას, რომლის დახურვის საკითხიც იხილება.

171-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა ბოლო პუნქტი, რომელიც უკრძალავდა კოოპერატივებს პოლიტიკურ საქმიანობას და პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობას.

ასე რომ, დემოკრატიზაციისათვის გამიზნული ეს საკონსტიტუციო რეფორმა გულისხმობს თურქული საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების და უზენაეს კანონმდებლობის დახვეწას, დღევანდელი კონსტიტუციაში შემდგომი ცვლილებების შორის განხილვის საგანია სახალხო დამცველის (ომბუდსმენი) სამსახურის შექმნა, პრეზიდენტის გაფართოებული უფლებამოსილების შეზღუდვა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში სამხედროთა დომინანტი როლის შეზღუდვა.

გიორგი სიჭინავა

# თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

## პრეამბულა

წინამდებარე კონსტიტუცია, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის, უკვდავი ბელადის და შეუდარებელი გმირის ათათურქის მიერ განსაზღვრული ნაციონალიზმის ცნების, მისი რევოლუციების და პრინციპების შესაბამისად ავლენს უკვდავი თურქული სამშობლოს და ერის არსებობას და წმინდა თურქეთის სახელმწიფოს განუყოფელ ერთიანობას და მისწრაფვის თურქეთის რესპუბლიკის, როგორც მსოფლიო ერთა თანამეგობრობის თანასწორუფლებიანი, ღირსეული წევრის კეთილდღეობის, მატერიალურ-მორალური ბედნიერების და ცივილიზაციის თანამედროვე დონის მიღწევისკენ;

თურქი ერის მიერ გადაეცემა მის შვილებს, რომლებიც დემოკრატიის და სამშობლოს ერთგულებით, კონსტიტუციის სულისკვეთების შესაბამისად, პატივისცემით, რწმენით და გადაწყვეტილებებით აცნობიერებენ და ცხოვრებაში ატარებენ ქვემოთმოყვანილ ძირითად საფუძვლებს:

— ერის ნება არის უზენაესი. სუვერენიტეტი უპირობოდ ეკუთვნის თურქ ერს. არც ერთ პიროვნებას ან ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილია ერის სახელით განახორციელოს ეს უფლება, არ შეუძლია იმოქმედოს კონსტიტუციაში განსაზღვრული თავისუფალი დემოკრატიის და მისი მოთხოვნების შესაბამისად დადგენილი სამართლებრივი წესრიგის საწინააღმდეგოდ;

— ხელისუფლების განაწილება, რომელშიც არ იგულისხმება სახელმწიფო ორგანოების ურთიერთდაქვემდებარების შესაბამისად დაყოფა, ნიშნავს მხოლოდ გარკვეული სახელმწიფო კომპეტენციის შესრულების დროის ფუნქციათა გადანაწილებას და წარმოადგენს მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის მიხედვით შრომისა და თანამშრომლობის განსაზღვრას;

— არანაირი შეხედულებები და აზრები არ შეიძლება დაუპირისპირდეს თურქეთის ეროვნულ ინტერესებს, თურქეთის სახელმწიფოსა და ერის განუყოფელი ერთობის პრინციპს, თურქეთის ისტორიასა და სულიერ ფასეულობებს, კულტურას, ათათურქის პრინციპებს, ნაციონალიზმს და რევოლუციურობას. წმინდა რელიგიური გრძნობები, როგორც ამას მოითხოვს ლაიციზმის პრინციპი, არანაირ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაერიოს სახელმწიფო საქმეებსა და პოლიტიკაში;

— თურქეთის ყველა მოქალაქეს თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მოთხოვნათა შესაბამისად აქვს უფლება გამოიყენოს წინამდებარე კონსტიტუციაში დაფიქსირებული უფლებები და თავისუფლებები იმისათვის, რათა



ეროვნული კულტურის და სამართლებრივი წესების პირობებში იცხოვროს ღირსეულად და განავითაროს საკუთარი მატერიალური და სულიერი მონაპოვარი;

— თურქეთის ყველა მოქალაქე თანაბრად ინაწილებს ეროვნულ სიამაყეს და ზეიმს, ეროვნულ სიხარულს და გლოვას, ეროვნული მემკვიდრეობის მიმართ უფლებას და მოვალეობებს, ეროვნულ სიმდიდრეს და გაჭირვებას და ერის ცხოვრებაში ნებისმიერ მოვლენას. მათ აქვთ უფლება, მოითხოვონ მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობა ერთმანეთის მიმართ პატივისცემის გამოხატვის, ურთიერთსიყვარულის, მეგობრული გრძნობების და პრინციპის: — „მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში", პირობებში.

## კარი პირველი
## ზოგადი პრინციპები

### I. სახელმწიფოს ფორმა

მუხლი 1 — თურქეთის სახელმწიფო არის რესპუბლიკა.

### II. რესპუბლიკის არსი

მუხლი 2 — თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს დემოკრატიულ, საერო და სოციალურ-სამართლებრივ სახელმწიფოს, რომელშიც ათათურქის ნაციონალიზმის მიხედვით საზოგადოებრივი წესრიგის, ეროვნული სოლიდარობისა და სამართლიანობის პირობებში პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს და რომელიც ეყრდნობა პრეამბულაში განსაზღვრულ ფუნდამენტურ პრინციპებს.

### III. სახელმწიფოს ერთიანობა, ენა, დროშა, ეროვნული ჰიმნი და დედაქალაქი

მუხლი 3 — თურქეთის სახელმწიფო, ქვეყანა და ერი მთლიანი, განუყოფელი ერთობაა. ენა თურქულია, დროშა — ალისფერი ფონი თეთრი ნახევარმთვარითა და ვარსკვლავით. მისი ფორმა დადგენილია კანონით. ეროვნული ჰიმნი — „დამოუკიდებლობის ჰიმნი", დედაქალაქი — ანკარა.

### IV. შეუცვლელი დადგენილებები

მუხლი 4 — კონსტიტუციის I მუხლის დებულება სახელმწიფოს ფორმის შესახებ, მე-2 მუხლი რესპუბლიკის არსის შესახებ და მე-3 მუხლის დებულება არ შეიძლება იქნეს შეცვლილი, აგრეთვე არ შეიძლება შეტანილ იქნეს წინადადება მათი შეცვლის შესახებ.

## V. სახელმწიფოს ძირითადი მიზნები და ფუნქციები

მუხლი 5 — სახელმწიფოს ძირითადი მიზნები და ფუნქციებია: ქვეყნის ერთიანობის, თურქი ერის დამოუკიდებლობისა და განუყოფლობის, რესპუბლიკისა და დემოკრატიის დაცვა, ადამიანის მატერიალური და სულიერი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, პიროვნებისა და საზოგადოების ბედნიერებისა და სიმშვიდის, კეთილდღეობის უზრუნველყოფა; ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებათა ხელისშემშლელი ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების მოსპობისკენ სწრაფვა, რომელიც შეუსაბამოა სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან და სამართლიანობასთან.

## VI. სუვერენიტეტი

მუხლი 6 — სუვერენიტეტი უპირობოდ ეკუთვნის ერს.

თურქი ერი კონსტიტუციაში ჩადებული საფუძვლების შესაბამისად კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით ახორციელებს სუვერენიტეტს.

სუვერენიტეტის განხორციელება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს რომელიმე პიროვნების, ჯგუფის ან კლასის. არავის, არანაირ ორგანოს არ შეუძლია აიღოს თავის თავზე ისეთი სახელმწიფოებრივი ფუნქციები, რომლებიც არ გამომდინარეობენ კონსტიტუციიდან.

## VII. საკანონმდებლო კომპეტენცია

მუხლი 7 — საკანონმდებლო კომპეტენცია თურქი ერის სახელით ეკუთვნის თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას, ეს კომპეტენცია ხელშეუხებელია.

## VIII. აღმასრულებელი კომპეტენცია

მუხლი 8 — აღმასრულებელი კომპეტენცია გამოიყენება და ხორციელდება კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ.

## IX. სასამართლო კომპეტენცია

მუხლი 9 — სასამართლო კომპეტენცია თურქი ერის სახელით ხორციელდება დამოუკიდებელი სასამართლოების მიერ.

## X. თანასწორობა კანონის წინაშე

მუხლი 10 — ენის, რასის, სქესის, პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებების, რელიგიის, რწმენის და მსგავსი ნიშნების განურჩევლად, კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

არ შეიძლება პრივილეგიებით სარგებლობდეს რომელიმე პიროვნება, ოჯახი, ჯგუფი ან კლასი.



სახელმწიფო ორგანოები და ადმინისტრაციული ინსტანციები საკუთარი ფუნქციების აღსრულების დროს ვალდებულნი არიან იმოქმედონ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით.

## XI. კონსტიტუციის სავალდებულობა და უზენაესობა

მუხლი 11 — კონსტიტუციის დებულებები წარმოადგენს ფუნდამენტურ სამართლებრივ ნორმებს, რომელიც სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოებისათვის, აგრეთვე ადმინისტრაციული ინსტანციებისათვის. სხვა ორგანიზაციებისა და პიროვნებებისათვის.

კანონები კონსტიტუციას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

# ნაწილი მეორე
# ძირითადი უფლებები და მოვალეობები

## თავი პირველი
## ზოგადი დებულებები

### I. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების არსი

მუხლი 12 — ყოველი ადამიანი ფლობს პიროვნებისათვის შესაფერის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ეს უფლება ხელშეუხებელია, არ გადაეცემა სხვებს და არ გასხვისდება.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები შეიცავს აგრეთვე მოვალეობას და პასუხისმგებლობას საზოგადოების, ოჯახის და სხვა პიროვნებების მიმართ.

### II. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა

მუხლი 13 — ძირითადი უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს, ქვეყნის და ერის ერთიანობის, ეროვნული სუვერენიტეტის, რესპუბლიკის, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საერთო სიმშვიდის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის, ზნეობრიობის და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების საზოგადო და კერძო შეზღუდვები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობის მოთხოვნებს და გამოყენებულ იქნეს გათვალისწინებული მიზნების საწინააღმდეგოდ.

ამ მუხლში აღნიშნული შეზღუდვის შემთხვევები ვრცელდება უფლებათა და თავისუფლებათა მთელ ნაკრებზე.

### III. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

მუხლი 14 – წინამდებარე კონსტიტუციაში გათვალისწინებული არც ერთი ძირითადი უფლება და თავისუფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნისა და ერის ერთიანობის დარღვევის, თურქეთის სახელმწიფოსა და რესპუბლიკის არსებობისათვის საშიშროების შექმნის, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გაუქმების, სახელმწიფო ძალაუფლების ერთ პიროვნებაზე გადაცემის მიზნით, აკრძალულია აგრეთვე ერთი რომელიმე პიროვნების ან კლასის ბატონობა სხვა კლასებზე, სხვაობის დამკვიდრება ენის, რასის, რელიგიური თუ რწმენის ნიშნების მიხედვით, ან ისეთი სახელმწიფო სისტემის, ან წყობის შექმნა, რომელიც დაეფუძნება ამ პრინციპებსა და შეხედულებებს.

კანონით განისაზღვრება ზომები მათ მიმართ, ვინც მოქმედებს ამ აკრძალვების საწინააღმდეგოდ, ან ხელს უწყობს და სხვებს აქეზებს ამისკენ.

კონსტიტუციის არც ერთი დებულება არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც კონსტიტუციაში დაფიქსირებული უფლებებისა და თავისუფლებების გაუქმებისთვის მიმართული ქმედება.

### IV. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენების შეჩერება

მუხლი 15 – ომის, მობილიზაციის, საომარი მდგომარეობის ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევებში, იმ პირობით, თუ არ დაირღვევა საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებები, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება შეიძლება ნაწილობრივ, ან სრულიად შეჩერდეს, ან გამოყენებულ იქნეს ღონისძიებები, რომელიც არ შეესაბამება კონსტიტუციაში გათვალისწინებულ გარანტიებს.

პირველ პუნქტში ჩამოთვლილ შემთხვევებშიც კი, გარდა ომის წესების შესაბამისად გამომდინარე სიკვდილისა და სასამართლო განაჩენის აღსრულებისა, იკრძალება პიროვნების სიცოცხლეზე, მის მატერიალურ და სულიერ მონაპოვარზე თავდასხმა; არავინ შეიძლება აიძულონ საკუთარი რელიგიური შეხედულებებისა და აზრების გამოთქმისათვის და იქნეს ბრალდებული ამის გამო; დანაშაულს და სასჯელს არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალა; არავინ შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავედ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დადგინდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

### V. უცხოელთა მდგომარეობა

მუხლი 16 – ძირითადი უფლებები და თავისუფლებები უცხოელთათვის საერთაშორისო სამართლის შესაბამისად კანონით შეიძლება შეიზღუდოს.



თავი მეორე

## პიროვნების უფლებები და მოვალეობები

### I. პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი მატერიალური და სულიერი მონაპოვარი.

მუხლი 17 – ყოველ პიროვნებას აქვს სიცოცხლის, საკუთარი მატერიალური და სულიერი მონაპოვარის დაცვისა და გაუმჯობესების უფლება.

სამედიცინო აუცილებლობით გამოწვეული საჭიროებებისა და კანონით გათვალისწინებული გარემოებების გარდა, პიროვნების ფიზიკური მდგომარეობა ხელშეუხებელია, წინასწარი თანხმობის გარეშე არავინ შეიძლება დაექვემდებაროს სამეცნიერო და სამედიცინო ცდებს.

არავინ შეიძლება იყოს წამებული და შეურაცხყოფილი; არავინ შეიძლება დაექვემდებაროს ადამიანურ ღირსებასთან შეუფერებელ სასჯელს, ან მოპყრობას.

პირველი პუნქტის დებულებაში არ იგულისხმება მკვლელობის ფაქტები, რომელიც ჩადენილია სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანისას, დაპატიმრების, ან დაკავების გადაწყვეტილების აღსრულებისას, დაკავებულის, ან გასამართლებულის გაქცევის აღკვეთისას, ბუნტის, ან ამბოხის ჩახშობისას და საომარი, ან საგანგებო მდგომარეობის დროს კომპეტენტური ინსტანციის ბრძანებულების შესაბამისად იარაღის გამოყენების კანონით დაშვებულ იძულებით შემთხვევებში.

### II იძულებითი შრომის აკრძალვა

მუხლი 18 – არავინ შეიძლება იძულებით იქნეს დასაქმებული. ექსპლუატაცია აკრძალულია.

იძულებით დასაქმებად არ ითვლება: დაკავებისა და პატიმრობის პერიოდში გაწეული საქმიანობა, რომელთა ფორმა და პირობები განისაზღვრება კანონით; საგანგებო მდგომარეობის დროს მოქალაქეებისაგან მოთხოვნილი სამსახური; ფიზიკური და გონებრივი შრომა, როდესაც ქვეყნის საჭიროებები მოითხოვს სამოქალაქო ვალის აუცილებელ აღსრულებას.

### III. პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება

მუხლი 19 – ყველა ფლობს ადამიანური თავისუფლებისა და უსაფრთხოების გარანტიებს.

არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემთხვევებისა, რომელთა ფორმა და პირობები განსაზღვრულია კანონით, ეს შემთხვევებია:

სასამართლოთა მიერ გამოტანილი სასჯელთა აღსრულება, რომელიც ზღუდავს თავისუფლებისა და უსაფრთხოების ზომების განხორციელებას; სასამართლო დადგენილების მიხედვით, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში [illegible] პირის დაკავება, ან დაპატიმრება; არასრულწლოვანისათვის მეურვეობის

დაწესებისა, ან მისი კომპეტენტურ ორგანოში ჩაბარების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება; საზოგადოებისათვის საშიშ სულიერად დაავადებულთა, ნარკომანების, ალკოჰოლიკების, მოხეტიალეთა, ან სხვა დაავადებათა შესაძლო გამავრცელებელ პირთა მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება მათი განკურნების, ან აღზრდის მიზნით შესაბამის დაწესებულებებში; ისეთი პიროვნების დაკავება, ან დაპატიმრება, რომლებიც ცდილობენ არაკანონიერი გზით შეაღწიონ ქვეყანაში, ან უკვე შეაღწიეს და პიროვნებების თავისუფლების აღკვეთა, რომელთა მიმართ გამოტანილია დადგენილება დაპატიმრებისა და საზღვარგარეთ გაძევების, ან სხვა ქვეყნის ხელისუფლებისათვის გადაცემის შესახებ.

პირები, რომელთა დანაშაულის შესახებ არსებობს უცილობელი ეჭვები, მოსამართლის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაპატიმრებულ იქნენ მხოლოდ მათი მიმალვის, სამხილის განადგურების, ან შეცვლის აღკვეთის მიზნით და სხვა მსგავს დაპატიმრების აუცილებლობის შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრულ გარემოებებში. სასამართლოს ნებართვის გარეშე დაკავება, ან დაპატიმრება შესაძლოა გამოვლინებულ დანაშაულის ჩადენის მომენტში, ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაკავების, ან დაპატიმრების დაყოვნებას შეუძლია გამოიწვიოს არასასურველი შედეგები, ამასთან დაკავშირებული პირობები განისაზღვრება კანონით.

დაკავებულ, ან დაპატიმრებულ პირებს წერილობითი სახით, ხოლო როცა ეს შეუძლებელია, ზეპირად დაუყოვნებლივ ეცნობებათ მათი დაკავების, ან დაპატიმრების მიზეზები, ან მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება, ხოლო ჯგუფური დანაშაულის დროის არა უგვიანეს მოსამართლის წინაშე წარდგენისა.

დაკავებული, ან დაპატიმრებული პირი დაკავების აღსრულიდან უგვიანეს სასამართლოში გადაცემისათვის საჭირო დროის გამოკლებით ორმოცდარვა საათის, ხოლო ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობისათვის ათ დღის განმავლობაში უნდა წარსდგეს მოსამართლის წინაშე. ამ ვადების ამოწურვის შემდეგ არავის შეუძლია აღკვეთის თავისუფლება მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე. ეს ვადები შეიძლება გამკაცრდეს საგანგებო, სამხედრო მდგომარეობისა და ომის პირობებში.

დაკავებულთა, ან დაპატიმრებულთა მდგომარეობის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებათ მათ ახლობლებს, გარდა გამოძიების ინტერესების გაუვნებლობის საჭიროებიდან გამომდინარე უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებისა.

დაპატიმრებულ პირებს აქვთ გონივრულ ვადებში გამოძიების ჩატარებისა და წინასწარი და სასამართლო ძიების პერიოდში საკუთარი განთავისუფლების მოთხოვნის უფლება. გასამართლების პერიოდში განთავისუფლება შესაძლებელია განხორციელდეს სასამართლო სხდომაზე გამოცხადების დასწრების უზრუნველყოფის გარანტიების შემთხვევაში.

რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, პიროვნებას, რომლის თავისუფლებაც შეზღუდულია, ამ შეზღუდვის უკანონობის შემთხვევაში გადაწყვეტილების სწრაფად მიღების მიზნით აქვს აპელაციის უფლება კომპეტენტურ სასამართლო ორგანოებში დაუყოვნებლივი განთავისუფლების შესახებ.



პირებისათვის მიყენებული ზარალი, ისეთი მიზეზების გამო, რომელიც არ შესაბამება ამ დებულებებს, კანონის შესაბამისად ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ.

## IV. პირადი ცხოვრების საიდუმლოება და მისი დაცვა

### A. პირადი ცხოვრების საიდუმლოება

მუხლი 20 — ყველა ადამიანს აქვს უფლება მოითხოვოს პატივისცემა საკუთარი პიროვნებისა და საოჯახო ცხოვრების მიმართ. პირადი ცხოვრების და საოჯახო ცხოვრების საიდუმლოება ხელშეუხებელია. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, რომელიც დაკავშირებულია სასამართლო გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის აუცილებლობასთან.

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს გაჩხრეკას, პირადი ქაღალდებისა და საგნების შემოწმებას და ამოღებას, გამონაკლისს წარმოადგენს შემდეგი სახის გარემოებები: კანონის მიერ ნათლად განსაზღვრული წესის შესაბამისად მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება; გარემოებები, როდესაც დაყოვნება დაუშვებელია და არსებობს კანონიერი ინსტანციის მიერ უფლებამოსილი ბრძანებულება.

### B. საცხოვრებლის ხელშეუხებლობა

მუხლი 21 — თითოეულის საცხოვრებელი ხელშეუხებელია.

არავის საცხოვრებელში არ შეიძლება შესვლა, ჩხრეკის ჩატარება და იქ არსებული ნივთების დაპატიმრება გარდა, კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მოსამართლის მიერ სათანადო წესით მიღებული გადაწყვეტილებისა, აგრეთვე გარემოებებში, როდესაც დაყოვნება დაუშვებელია და არსებობს კომპეტენტური ინსტანციის მიერ უფლებამოსილი ბრძანებულება.

### C. ინფორმაციის გაცვლის თავისუფლება

მუხლი 22 — ყველა ფლობს ინფორმაციის გაცვლის თავისუფლებას.

ინფორმაციის საიდუმლოება ფუნდამენტური უფლებაა.

არ შეიძლება წინააღმდეგობის შექმნა ინფორმაციის გაცვლის და დაირღვეს მათი საიდუმლოება კანონით ნათლად განსაზღვრული შემთხვევების, სასამართლოს მიერ სათანადო წესით მიღებული გადაწყვეტილებისა და იმ გარემოებების გარდა, როდესაც დაყოვნება დაუშვებელია და არსებობს კომპეტენტური ინსტანციის მიერ უფლებამოსილი ბრძანებულება.

ის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთა მიმართ კეთდება გამონაკლისი, განისაზღვრება კანონით.

## V. საცხოვრებლის არჩევისა და მოგზაურობის თავისუფლება

მუხლი 23 — ყველა ადამიანი ფლობს საცხოვრებლის არჩევისა და მოგზაურობის თავისუფლებას.

საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება — დანაშაულის აღკვეთის, სოციალ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის, ურბანიზაციის სოციალ-ეკონომიკური მოთხოვნილების და სახელმწიფოებრივი ქონების დაცვის;

ხოლო მოგზაურობის თავისუფლება კი დანაშაულის გამოძიების და დანაშაულის ჩადენის აღკვეთის მიზნით კანონით შეიძლება შეიზღუდოს.

ქვეყნის გარეთ მოქალაქის გასვლის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისა და სამოქალაქო მოვალეობის აღსრულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებში.

მოქალაქე არ შეიძლება გაძევებულ იქნეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ან ჩამოერთვას ქვეყანაში შემოსვლის უფლება.

## VI. რელიგიისა და სინდისის თავისუფლება

**მუხლი 24** — ყოველი ადამიანი ფლობს სინდისის, რელიგიური რწმენის და გამოხატვის თავისუფლებას.

ღვთისმსახურების და რელიგიურ, ან რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულება თავისუფალია იმ პირობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მე-14 მუხლის დებულებებს.

არავინ შეიძლება აიძულონ მიიღოს მონაწილეობა ლოცვებში, რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში, არავინ შეიძლება დაემუქრონ, ან დასაჯონ იგის საკუთარი რელიგიური მრწამსისა და შეხედულების გამო.

რელიგიისა და ზნეობრიობის სწავლება ხორციელდება სახელმწიფოს კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ. რელიგიური დისციპლინებისა და ზნეობრიობის სწავლება განხორციელდება დაწყებით და საშუალო სასწავლო დაწესებულებებში სავალდებულო საგნის რიცხვში. ყოველგვარი სხვა რელიგიური სწავლება დამოკიდებულია თვით პიროვნების საკუთარ სურვილზე, ხოლო მცირეწლოვანთათვის — მათი კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნაზე.

დაუშვებელია რელიგიური წესების ნაწილობრივ მაინც შეთავსება სახელმწიფოს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ან სამართლებრივ წყობასთან, ასევე მათი გამოყენება საკუთარი პოლიტიკური, თუ პირადი გამორჩენისა და გავლენის მიზნით, არავინ შეიძლება ექსპლოატაცია გაუწიოს რელიგიას, ბოროტად გამოიყენოს რელიგიური გრძნობები, ან რელიგიის მიერ წმინდად აღიარებული სალოცავები.

## VII. აზრისა და შეხედულების თავისუფლება

**მუხლი 25** — ყოველი ადამიანი ფლობს აზრისა და შეხედულების თავისუფლებას.

პიროვნება, რა მიზეზით, ან მიზნითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, დაუშვებელია, დაექვემდებაროს აზრისა და შეხედულების იძულებით გამოხატვას; საკუთარი აზრისა და შეხედულების მიზეზით არავინ არ უნდა დაექვემდებაროს გაკიცხვას, ან ბრალდებას.



## VIII. აზრის გამოხატვა და მისი გავრცელების თავისუფლება

**მუხლი 26** — ყოველი ადამიანი ფლობს აზრისა და შეხედულების მარტო, ან კოლექტიური ფორმით ზეპირად, წერილობით, ტიპოგრაფიულად, ან სხვა საშუალებებით გამოხატვისა და გავრცელების უფლებას. ეს თავისუფლება მოიცავს აგრეთვე ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას ოფიციალური ხელისუფლების ჩარევის გარეშე. ამ პუნქტის დებულება არ აუქმებს ინფორმაციის გავრცელებისათვის ნებართვის სისტემას, რომელიც ხორციელდება რადიოს, ტელევიზიის, კინოს, ან მსგავსი საშუალებების მეშვეობით.

ამ თავისუფლებათა გამოყენება შეიძლება შეიზღუდოს დანაშაულის ჩადენის აღკვეთის, დამნაშავის დასჯის უზრუნველყოფის, სახელმწიფო საიდუმლოების გაუცხადებლობის, სხვა პირების პატიოსანი სახელისა და უფლების, ან პირადი და საოჯახო ცხოვრების, ან კანონით გათვალისწინებული პროფესიონალური საიდუმლოს დაცვის, ან სასამართლო სისტემის სათანადო დონეზე განხორციელების მიზნით.

აზრის გამოხატვისა და გამოქვეყნების დროს არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონით აკრძალული რომელიმე ენა. წერილობითი ან ნაბეჭდი მასალები, ფირფიტები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები, ან ინფორმაციის სხვა საშუალებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ აკრძალვას, დაექვემდებარება კონფისკაციას მოსამართლის მართლზომიერი განკარგულებით, ხოლო როდესაც დაყოვნება დაუშვებელია კანონით უფლებამოსილი რომელიმე ინსტანციის ბრძანებულების შესაბამისად. კონფისკაციის შესახებ განკარგულების მიმღები ინსტანცია, ამ განკარგულების შესახებ ოცდაოთხი საათის განმავლობაში აცნობებს უფლებამოსილ მოსამართლეს. მოსამართლე კანონით გათვალისწინებულ განკარგულებას იღებს სამი დღის განმავლობაში.

დებულებები, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის საშუალებებისა და აზრის გავრცელების წესს, მათი გავრცელებისათვის წინააღმდეგობების ჩანაწერით არ ითვლება აზრის გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლების შემზღუდველად.

## IX. მეცნიერებისა და ხელოვნების თავისუფლება

**მუხლი 27** — ყოველ ადამიანს აქვს მეცნიერებისა და ხელოვნების თავისუფლად შესწავლის და სწავლების, აზრის გამოთქმის და გამოქვეყნების და ამ სფეროებში ყოვლისმომცველი გამოკვლევების ჩატარების უფლება.

გამოქვეყნების უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონსტიტუციის 1-ლი, მე-2 და მე-3 მუხლების დებულებათა შეცვლის მიზნით.

ამ მუხლის დებულება არ ეწინააღმდეგება კანონით მოწესრიგებული უცხოური გამოცემების ქვეყანაში შემოტანას და გავრცელებას.

## X. პრესა და გამომცემლობებთან დაკავშირებული დებულებები

### A. პრესის თავისუფლება

მუხლი 28 – პრესა თავისუფალია და არ ექვემდებარება ცენზურას. გამომცემლობათა დაფუძნება არ ექვემდებარება წინასწარი ნებართვისა და ფულადი შენატანების პირობას.

საგამომცემლო საქმიანობა არ ხორციელდება კანონით აკრძალულ რომელიმე ენაზე.

სახელმწიფო იღებს ზომებს პრესისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების უზრუნველყოფისათვის.

პრესის თავისუფლების შეზღუდვისათვის გამოიყენება კონსტიტუციის 26-ე და 27-ე მუხლები.

ყველა ადამიანი, ვინც ამრავლებს, გადასცემს დასაბეჭდად, ან ბეჭდავს ნებისმიერ ინფორმაციას, ან პუბლიკაციას, რომელიც ემუქრება სახელმწიფოს შიდა და საგარეო უსაფრთხოებას, ქვეყნისა და ერის ერთიანობას, ან ატარებს დანაშაულის ჩადენისათვის წამახალისებელ ხასიათს, ხელს უწყობს ამბოხს, ან ბუნტს, ან შეიცავს სახელმწიფოებრივად საიდუმლო ინფორმაციას, ექვემდებარება პასუხისმგებლობას კანონის შესაბამისად. გამოცემის გავრცელება შეიძლება აღკვეთოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, ხოლო როცა დაყოვნება დაუშვებელია, კანონით უფლებამოსილი სხვა ინსტანციის ბრძანებულების შესაბამისად. გამოცემის გავრცელების აღმკვეთი კომპეტენტური ინსტანცია ოცდაოთხი საათის განმავლობაში აცნობებს საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ უფლებამოსილ მოსამართლეს. თუ მოსამართლე ორმოცდარვა საათის განმავლობაში არ დაამტკიცებს ამ გადაწყვეტილებას გამოცემის გავრცელების აღკვეთის შესახებ, ბრძანებულება ჩაითვლება გაბათილებულად.

გამოცემა არ შეიძლება დაექვემდებაროს აკრძალვას მოსამართლის მართლზომიერი გადაწყვეტილების გარეშე.

პერიოდული, ან ერთჯერადი გამოცემები, კანონით განსაზღვრული სასამართლო გარჩევისა და დანაშაულის გამოძიების დროს მოსამართლის გადაწყვეტილების მიხედვით; ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც დაყოვნება დაუშვებელია სახელმწიფოს, ქვეყნისა და ერის ერთიანობის დაცვის, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი ზნეობრიობის და დანაშაულის აღკვეთის თვალსაზრისით, კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ინსტანციის ბრძანებულების შესაბამისად შეიძლება ამოღებულ იქნას. კომპეტენტური ინსტანცია, რომელმაც განკარგულება გასცა ამოღების შესახებ, არა უგვიანეს ოცდაოთხი საათისა, აცნობებს ამ გადაწყვეტილების შესახებ უფლებამოსილ მოსამართლეს. თუ მოსამართლე, არა უგვიანეს ორმოცდარვა საათისა, არ დაამტკიცებს ამ გადაწყვეტილებას, ის გაბათილებულად ჩაითვლება.



პერიოდული, ან ერთჯერადი გამომცემლობების ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის პირობებში მათი კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს გამოიყენება ზოგადი დებულებები.

ისეთი პუბლიკაციების გამოქვეყნების გამო გასამართლებისათვის, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს, ქვეყნისა და ერის ერთიანობის, რესპუბლიკის ფუნდამენტური პრინციპების, ეროვნული უსაფრთხოების და ზნეობრიობის წინააღმდეგ, თურქეთში გამომავალი პერიოდული გამოცემები, სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, დროებით შეიძლება დაიხუროს. აკრძალულია ნებისმიერი სახის გამომცემლობა, რომელიც ინარჩუნებს კანონთან შეუსაბამო თვისებებს; ისინი მოსამართლის გადაწყვეტილების მიხედვით შეიძლება დაექვემდებარონ კონფისკაციას.

### B. პერიოდულ და ერთჯერად გამოცემათა გამოქვეყნების უფლება

მუხლი 29 – პერიოდული და ერთჯერადი გამოცემები არ შეიძლება დაექვემდებარონ წინასწარი ნებართვისა და ფულადი შენატანის პირობას.

პერიოდული გამოცემის ორგანიზებისათვის საჭიროა კომპეტენტურ ინსტანციას გადაეცეს კანონით გათვალისწინებული ცნობები და დოკუმენტები. კანონსაწინააღმდეგო ცნობებისა და დოკუმენტების აღმოჩენის შემთხვევაში კომპეტენტური ინსტანცია მიმართავს სასამართლოს გამოცემის საქმიანობის შეწყვეტის მიზნით.

პერიოდულ გამოცემათა საფუძვლები, გამოქვეყნების პირობები, ფინანსური წყაროები, ჟურნალისტური და საგამომცემლო საქმიანობა რეგულირდება კანონით. კანონი არ შეიძლება აყენებდეს ინფორმაციის, აზრისა და შეხედულების თავისუფლად გამოქვეყნებისათვის ხელისშემშლელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და ტექნიკურ პირობებს.

პერიოდული გამოცემები თანასწორუფლებიანობის საფუძველზე იყენებენ სახელმწიფოსა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებებსა და სახსრებს.

### C. საგამომცემლო საშუალებათა დაცვა

მუხლი 30 – კანონის შესაბამისად შექმნილი გამომცემლობები და მათი ფილიალები არ შეიძლება დაექვემდებარონ კონფისკაციას, ან დახურვას, გარდა შემთხვევებისა, როდესაც მათ ემუქრებათ პასუხისმგებლობა სახელმწიფოს, ქვეყნის და ერის მთლიანობის, რესპუბლიკის ფუნდამენტური პრინციპების და ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე.

### D. საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა მფლობელობაში მყოფი გამომცემლობების გამოყენების უფლება.

მუხლი 31 – ცალკეულ პირებს და პოლიტიკურ პარტიებს აქვთ უფლება, გამოიყენონ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში მყოფი მა-

სიბრტყე ინფორმაციის საშუალებები. ამ გამოყენების პირობები და საშუალებები განისაზღვრება კანონით.

კანონს არ შეუძლია დაუწესოს კონსტიტუციის მე-13 მუხლში გათვალისწინებული ძირითადი შეზღუდვების გარდა ამა თუ იმ მიზეზს და ხელი შეუშალოს ხალხის მიერ ინფორმაციის თავისუფლად მიღებას და საზოგადოებრივი აზრის თავისუფლად ფორმირებას.

### E. არასწორი ფაქტების გამოსწორებისა და პასუხის უფლება.

მუხლი 32 – არასწორი ფაქტების გამოსწორებისა და პასუხის უფლება აღიარებულია და რეგულირდება კანონით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამოქვეყნებული მასალა არასწორად აშუქებს პიროვნებასთან დაკავშირებულ ფაქტებს და ხელყოფს მის ღირსებას.

თუ მოთხოვნა ფაქტების გამოსწორებისა და პასუხის შესახებ არ გამოქვეყნდა, მისი გამოქვეყნების გადაწყვეტილება გამოაქვს მოსამართლეს დაინტერესებული პირის მოთხოვნიდან შვიდი დღის განმავლობაში.

## XI. შეკრების უფლება და თავისუფლება.

### A. საზოგადოების შექმნის თავისუფლება.

მუხლი 33 – ყოველი ადამიანი, წინასწარი ნებართვის გარეშე ფლობს საზოგადოების შექმნის უფლებას.

საზოგადოების შექმნისათვის საკმარისია კომპეტენტურ ინსტანციას გადაეცეს კანონით განსაზღვრული ცნობები და დოკუმენტები. კანონსაწინააღმდეგო ცნობებისა და დოკუმენტების აღმოჩენის შემთხვევაში კომპეტენტური ინსტანცია მიმართავს სასამართლოს საზოგადოების საქმიანობის შეჩერების, ან დახურვის მიზნით.

არავის შეიძლება აიძულონ, შეუერთდეს, ან რჩებოდეს საზოგადოების წევრად. საზოგადოების შექმნის თავისუფლების ფორმა, პირობები და წესები განისაზღვრება კანონით.

საზოგადოებები, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოსამართლის გადაწყვეტილების მიხედვით, შეიძლება დაიხუროს. მაგრამ ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, დანაშაულის გავრცელების აღკვეთის, ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამტკიცების დაყოვნებას შეუძლია გამოიწვიოს არასასურველი შედეგები, საზოგადოების აკრძალვის გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს კომპეტენტურმა ინსტანციამაც. ამ ინსტანციის გადაწყვეტილება ოცდაოთხი საათის განმავლობაში დასამტკიცებლად გადაეცემა უფლებამოსილ მოსამართლეს. მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას ორმოცდარვა საათის განმავლობაში.

პირველი პუნქტის დებულებები არ წარმოადგენს წინააღმდეგობას შეიარაღებული ძალებისთვის, პოლიციისათვის და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ



ორგანოთათვის და სახელმწიფო მოხელეთათვის, საჭიროებისდა მიხედვით დააწესონ სხვა შეზღუდვები.

ამ მუხლის დებულებები გამოიყენება აგრეთვე საქველმოქმედო ფონდებისა და მსგავსი ორგანიზაციების მიმართ.

### B. შეკრებისა და დემონსტრაციის ჩატარების უფლება

მუხლი 34 – თითოეულს აქვს უფლება წინასწარი ნებართვის გარეშე ჩაატაროს მშვიდობიანი შეკრება და მსვლელობა.

ქალაქში კანონდარღვევათა აღკვეთის მიზნით კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ინსტანციას შეუძლია განსაზღვროს დემონსტრაციის მსვლელობის მარშრუტი და შეკრების ადგილი.

შეკრების და დემონსტრაციის ჩატარების უფლების ფორმას, პირობებს და წესებს განსაზღვრავს კანონი.

იმ შემთხვევებში, როდესაც შეკრებას, ან დემონსტრაციას შეუძლია სერიოზულად შეარყიოს საზოგადოებრივი წესრიგი, ან საფრთხე შეუქმნას ეროვნულ უსაფრთხოებას, ან, თუ შეკრება მიზნად ისახავს რესპუბლიკის ფუნდამენტური პრინციპების განადგურებას, კანონით განსაზღვრულ კომპეტენტურ ინსტანციას შეუძლია აკრძალოს გარკვეული შეკრება, ან გადაავადოს მათი შეკრების დრო მაქსიმუმ ორი თვით. იგივე მიზეზებით გამოწვეულ შემთხვევებში, როდესაც რომელიმე ოლქის ოლქში კანონის შესაბამისად გათვალისწინებულია შეკრებისა და დემონსტრაციის აკრძალვა, ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს სამ თვეს.

საზოგადოებები, საქველმოქმედო ფონდები, პროფკავშირები და სახელმწიფო დაქირავებულების პროფესიული ორგანიზაციები არ შეიძლება ატარებდნენ შეკრებებსა და დემონსტრაციებს მოთხოვნებით, რომელიც სცდება მათი პროფესიული მიზნების ჩარჩოებს.

## XII. საკუთრების უფლება

მუხლი 35 – ყოველი ადამიანი ფლობს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას.

ეს უფლება შეიძლება კანონით შეიზღუდოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

საკუთრების უფლების გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების ინტერესებს.

## XIII. დადგენილებები უფლებათა დაცვის შესახებ

### A. უფლებათა დაცვის თავისუფლება

მუხლი 36 – ყოველ ადამიანს აქვს უფლება კანონიერი საშუალებების გამოყენებით გამოვიდეს მოსარჩელის, ან მოპასუხის სტატუსით და სარგებლობდეს დაცვის უფლებით სასამართლო ინსტანციების წინაშე.

არც ერთი სასამართლოს არ შეუძლია უარი თქვას მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების განხილვაზე.

### B. სასამართლო დაცვის გარანტიები

მუხლი 37 – არავინ შეიძლება აიძულონ, კანონით უფლებამოსილი სასამართლოს გარდა წარსდგეს სხვა რომელიმე ინსტანციის წინაშე.

არ შეიძლება კანონის შესაბამისად არსებული სასამართლოების გარდა სხვა, სასამართლო უფლებამოსილებით აღჭურვილი საგანგებო ორგანოების შექმნა და პიროვნებათა გადაცემა ამ ინსტანციების წინაშე.

### C. დანაშაულთან და სასჯელთან დაკავშირებული საფუძვლები

მუხლი 38 – არავინ შეიძლება დაექვემდებაროს სასჯელს ქმედებისათვის, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არ ითვლება დანაშაულად; არავინ უნდა დაექვემდებაროს უფრო მძიმე სასჯელს, ვიდრე ამას ითვალისწინებს მოცემული დანაშაულის შესახებ კანონის შესაბამისი დადგენილება.

წინა პუნქტის დებულება გამოიყენება აგრეთვე დანაშაულისა და სასჯელის ხანდაზმულობის ვადისა და მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის შედეგების განსაზღვრისათვის.

სასამართლოს მიერ დამნაშავეობის საბოლოო დამტკიცებამდე არავინ უნდა ითვლებოდეს დამნაშავედ.

სასჯელი და დაკავების ადგილებში მოქმედი უსაფრთხოების ზომები განისაზღვრება კანონით.

არავინ შეიძლება აიძულონ გააკეთოს განცხადებები, რომელიც ზარალს დაადებს თვითონ მას, ან მის ახლო ნათესავებს.

პასუხისმგებლობა დანაშაულზე არის პერსონალური.

არ შეიძლება სასჯელის განსაზღვრა ქონების სრული კონფისკაციის სახით.

ადმინისტრაციას არ შეუძლია გამოიყენოს პირადი თავისუფლების შემზღუდველი სანქციები. შეიარაღებული ძალების შიდა რეჟიმის გათვალისწინებით კანონის ამ დადგენილებაში შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი.

მოქალაქე, ჩადენილი დანაშაულის მიზეზით, არ შეიძლება დაბრუნებულ იქნეს სხვა ქვეყანაში.

### XIV. დასაბუთების უფლება

მუხლი 39 – საჯარო სამსახურში მყოფთა წინააღმდეგ, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე აღძრული საქმის დროს დანაშაულებულ პირს აქვს უფლება, დაამტკიცოს საკუთარი სიმართლე, სხვა შემთხვევებში მტკიცებულებების წარდგენის უფლება დამოკიდებულია მხოლოდ მოსარჩლის თანხმობაზე და ჩადენილი საქციელის გამოვლენის საზოგადოებრივ მიზანშეწონილობაზე.



### XV. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

მუხლი 40 – ყოველი პიროვნება, რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა, სარგებლობს უფლებით დაუყოვნებლივ მიმართოს კომპეტენტურ ორგანოებს.

ზარალი, რომელიც ოფიციალური ორგანოების არაკანონიერი მოქმედებების შედეგად მიაყენეს პიროვნებას, ექვემდებარება კანონის შესაბამისად სახელმწიფო ანაზღაურებას. შენარჩუნებულია სახელმწიფოს მხრიდან დანაკლისის ანაზღაურების უფლება კომპეტენტური თანამდებობის პირებისათვის.

## თავი მესამე 3

## სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და ვალდებულებები

### I. ოჯახის დაცვა

მუხლი 41 – ოჯახი თურქული საზოგადოების საფუძველია.

სახელმწიფო იღებს და ატარებს აუცილებელ ზომებს და ქმნის ორგანიზაციებს ოჯახში სიმშვიდისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის და განსაკუთრებით დედებისა და ბავშვების დაცვისათვის, აგრეთვე ოჯახის დაგეგმარების მეთოდების დანერგვისათვის.

### II. განათლებისა და სწავლების უფლება და ვალდებულება

მუხლი 42 – არავის შეიძლება ჩამოერთვას სწავლისა და განათლების უფლება.

სწავლის უფლება განისაზღვრება და რეგულირდება კანონით.

განათლება და სწავლება ხორციელდება ათათურქის პრინციპებისა და რევოლუციური ცვლილებების შესაბამისად, მეცნიერებისა და სწავლების თანამედროვე დონის საფუძველზე, სახელმწიფოს ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშ. არ შეიძლება ორგანიზებულ იქნეს სწავლების ისეთი ფორმები, რომელიც ეწინააღმდეგება ამ პრინციპებს.

განათლებისა და სწავლების თავისუფლება არ უგულებელყოფს კონსტიტუციის ერთგულების მოვალეობას.

დაწყებითი განათლება სავალდებულოა მამრობითი და მდედრობითი სქესის ყველა მოქალაქისათვის, სახელმწიფო სკოლებში კი მისი განხორციელება უფასოა.

კერძო დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო სკოლების საფუძვლები, სახელმწიფო სკოლების დონის მიღწევის სწრაფვის შესაბამისად, რეგულირდება კანონით.

სახელმწიფო, მატერიალური შესაძლებლობების არმქონე წარმატებულ მოსწავლეებს სტიპენდიებისა და სხვა საშუალებების შეთავაზების გზით აღმოუჩენს

აუცილებელ დახმარებას სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა საზოგადოებისათვის სასარგებლო გახადოს ისინი, ვინც თავისი მდგომარეობის მიხედვით საჭიროებენ სპეციალურ აღზრდას და განათლებას.

საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში ხორციელდება მხოლოდ განათლების, სწავლების და კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ამ საქმიანობებს არანაირი მიზეზით არ შეიძლება წინააღმდეგობები შეექმნას.

საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში თურქეთის მოქალაქეების მიერ არც ერთი ენა, გარდა თურქულისა, არ შეიძლება ისწავლებოდეს მშობლიური ენის სტატუსით. უცხოური ენები, რომლებიც ისწავლება საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში და იმ სკოლების საფუძვლები, რომლებიც ეწევიან განათლებასა და სწავლებას უცხო ენებზე, განისაზღვრება კანონით. ძალაში რჩება დებულებები საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ.

## III. საზოგადოებრივი ინტერესები

### A. სანაპირო ზონის გამოყენება

მუხლი 43 – სანაპიროები იმყოფება სახელმწიფოს განკარგულების ქვეშ.

ზღვების, ტბების და გამდინარე წყლების სანაპიროთა, აგრეთვე ზღვებისა და ტბების პარალელური ზონების გამოყენება ხორციელდება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი სარგებლის შეხედულების გათვალისწინებით.

სანაპიროთა სიგანე და ზონის სიღრმე, რომელიც გათვალისწინებულია მათი გამოყენების მიზნებით, აგრეთვე პიროვნების მიერ ამ ნაკვეთების გამოყენების შესაძლებლობები და პირობები რეგულირდება კანონით.

### B. მიწის საკუთრება

მუხლი 44 – სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს მიწის მწარმოებლური დამუშავების დაცვისა და განვითარებისათვის, ეროზიის შედეგად გამოწვეული მიწის დანაკარგების აღკვეთისა და უმიწო და მცირემიწიანი გლეხების მიწით უზრუნველყოფის მიზნით. ამ თვალსაზრისით, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო რეგიონებისა და კატეგორიების მიხედვით კანონს შეუძლია განსაზღვროს მიწის ნაკვეთები. უმიწო და მცირემიწიანი გლეხებისათვის მიწების გადაცემამ არ შეიძლება შედეგად მოიტანოს წარმოების შემცირება, სატყეო ფართობების შემცირება და სხვა მიწისა და მიწისქვეშა სიმდიდრეების შემცირება.

ამ მიზნით გადაცემული მიწები არ შეიძლება განაწილდეს, ან გადაეცეს მათ, ვისზეც არ ვრცელდება დებულება მემკვიდრეობის შესახებ. მიწები დასამუშავებლად შეიძლება განაწილდეს მხოლოდ გლეხებზე და მათ მემკვიდრეებზე. აღნიშნული პირობის დაკარგვის შემთხვევაში დებულება, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ განაწილებული მიწის ამოღებას, რეგულირდება კანონით.



### C. მიწათმოქმედება, მეცხოველეობა და წარმოების ამ სფეროებში დასაქმებულთა დაცვა.

მუხლი 45 – მიწების, ველების და სათიბების არადანიშნულებისამებრ გამოყენების აღკვეთისა და მცენარეული და მეცხოველეობის წარმოების ამაღლების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმარების პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფო იღებს ზომებს სოფლის მეურნეობითა და მეცხოველეობით დაკავებული პირებისათვის მიწის გადამამუშავებელი მანქანებისა და წარმოების სხვა საშუალებების მიღების უზრუნველყოფისათვის.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს მცენარეული და მეცხოველეობის პროდუქციის რეალიზაციისათვის, რადგან მწარმოებელთა ხელში აღმოჩნდეს მათი ნამდვილი ღირებულება.

### D. განსაზოგადოება

მუხლი 46 – სახელმწიფოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საზოგადოებრივი ინტერესებით გამოწვეულ შემთხვევებში, ღირებულების ავანსად კომპენსირების პირობით, უფლება აქვთ, დაეყრდნონ რა კანონით განსაზღვრულ ფორმასა და წესებს და მოახდინონ კერძო მფლობელობაში მყოფი უძრავი ქონების მთლიანი, ან ნაწილობრივი განსაზოგადოება, ან დააწესონ ადმინისტრაციულ-სამეურნეო სერვიტუტი მასზე.

განსაზოგადოებული ქონების ღირებულების გადახდის წესები და მეთოდები განისაზღვრება კანონით. განსაზოგადოებული ქონების ღირებულების დადგენისას კანონი ითვალისწინებს გადასახადების გადახდის დეკლარაციებს, ღირებულების შეფასებას, უძრავი ქონების ცვალებად ღირებულებას, საშემოსავლო დანახარჯების ნუსხასა და სხვა ობიექტურ კრიტერიუმებს. თუ როგორ უნდა მოხდეს ნამდვილ ღირებულებასა და საგადასახადო დეკლარაციას შორის თანხის სხვაობის დაბეგვრა, განისაზღვრება კანონით.

განსაზოგადოების ღირებულება ანაზღაურდება ხელზე, ან ავანსად, მაგრამ კანონით განისაზღვრება მიწის ღირებულების გადახდის ფორმა, რომელთა განსაზოგადოება ხდება სასოფლო-სამეურნეო რეფორმების გატარების, მსხვილი ენერგეტიკული და საირიგაციო პროექტების განხორციელებისა და საცხოვრებელი ნაგებობების აშენების, აგრეთვე ახალი ტყეების გაშენების, სანაპიროების დაცვისა და ტურიზმის განვითარების მიზნით. თუ კანონით გათვალისწინებული იქნება განვადებით გადახდა, მაშინ გადახდის პერიოდი არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელიწადს. ამ შემთხვევაში გადახდა ხორციელდება თანაბარი ნაწილებით, ხოლო იმ ნაწილზე, რომელიც არ ექვემდებარება ავანსირებას, წესდება ყველაზე მაღალი პროცენტები, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო სესხებისათვის.

წვრილი ფერმერის მფლობელობაში მყოფი განსაზოგადოებული მიწის ღირებულება ყველა შემთხვევაში ანაზღაურდება ავანსად.

## E. ნაციონალიზაცია (განსახელმწიფოებრიობა)

მუხლი 47 — საზოგადოებრივი ხასიათის მქონე კერძო საწარმოები შეიძლება დაექვემდებარონ ნაციონალიზაციას იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით.

ნაციონალიზაცია ხორციელდება ნამდვილი ღირებულების გათვალისწინებით, რომლის დაანგარიშების მეთოდები და ხერხები რეგულირდება კანონით.

## IV. შრომა და შრომითი ხელშეკრულების თავისუფლება

მუხლი 48 — ყველა ადამიანს აქვს უფლება იმუშაოს იმ სფეროში, სადაც მას სურს და დაამყაროს შრომითი ხელშეკრულებები. კერძო ინიციატივათა შექმნა თავისუფალია.

ეროვნული ეკონომიკის საჭიროებებისა და სოციალური მიზნების განსახორციელებლად, კერძო ინიციატივებისა და საწარმოების უსაფრთხოებისა და სიმშვიდის პირობებში მუშაობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს.

## V. დებულებები, რომელიც ეხება შრომის საკითხებს

### A. შრომის უფლება და მოვალეობა

მუხლი 49 — შრომა ყველას უფლება და მოვალეობაა.

საერთო ეკონომიკური მდგომარეობის შექმნის მიზნით სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების, შრომითი აქტივობის განვითარებისათვის, მშრომელთა დაცვის და უმუშევრობის დაძლევისათვის.

სახელმწიფო იღებს ზომებს მშრომელთა და მეწარმეთა შორის შრომითი თანხმობის უზრუნველყოფის გაადვილებისა და დაცვის მიზნით.

### B. შრომის პირობები და დასვენების უფლება

მუხლი 50 — არავინ შეიძლება აიძულონ შეასრულოს სამუშაო, რომელიც არ შეესაბამება მის ასაკს, სქესს და ძალებს.

განსაკუთრებით დაცულია მცირეწლოვნების და ქალების, ფიზიკურად და სულიერად არასაკმარისად განვითარებულთა შრომის პირობები.

დასვენება — მშრომელთა უფლებაა.

ყოველკვირეული ანაზღაურებადი გამოსაშვები დღეებისა და სადღესასწაულო დღეების, აგრეთვე ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებების უფლება და პირობები რეგულირდება კანონით.

### C. პროფკავშირის შექმნის უფლება

მუხლი 51 — მშრომელებსა და მეწარმეებს, შრომითი ურთიერთობების პროცესში, წევრების ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და ინტერესების



დაცვის და განვითარების მიზნით, უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე შექმნან პროფკავშირები და ჩამოაყალიბონ მათი ხელმძღვანელი ორგანოები.

პროფკავშირებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების შექმნისათვის საკმარისია კანონით განსაზღვრულ ინსტანციას გადაეცეს კანონით გათვალისწინებული ცნობები და დოკუმენტები. ამ ცნობებისა და დოკუმენტების კანონთან შეუსაბამობაში არსებობის შემთხვევაში კომპეტენტური ინსტანცია მიმართავს სასამართლოს პროფკავშირის ან მისი მმართველი ორგანოს საქმიანობის შეჩერების ან დახურვის მიზნით.

პროფკავშირში გაწევრიანება ან მისი რიგებიდან გასვლა თავისუფალია.

არ შეიძლება მოქალაქე აიძულონ, შევიდეს პროფკავშირში, რჩებოდეს მის წევრად, ან გავიდეს რიგებიდან.

მშრომელები და მეწარმეები არ შეიძლება იყვნენ ერთდროულად ერთზე მეტი პროფკავშირის წევრები.

ამა თუ იმ საწარმოში მუშაობის შესაძლებლობა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს პროფკავშირში გაწევრიანების, ან გაუწევრიანობის პირობასთან.

პროფკავშირში, ან პროფკავშირთა გაერთიანებაში ხელმძღვანელად გახდომისათვის აუცილებელია მშრომელად მუშაობის ათწლიანი გამოცდილება.

პროფკავშირთა და მათი უმაღლეს ორგანოთა წესდებები, ხელმძღვანელობა და საქმიანობა არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის მიერ განსაზღვრულ რესპუბლიკის არსისა და დემოკრატიის პრინციპთა საფუძვლებს.

### D. პროფკავშირთა საქმიანობა

მუხლი 52 — (ეს მუხლი 23.7.1995 წლის ნომერ 4121 კანონით შეცვლილობიდან ამოღებულ იქნა)

## VI. კოლექტიური შრომითი შეთანხმება, გაფიცვისა და ლოკაუტის უფლება

### A. კოლექტიური შრომითი შეთანხმების უფლება

მუხლი 53 — (შეცვლილია) მშრომელებსა და მეწარმეებს საკუთარი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობისა და შრომის პირობების რეგულირების მიზნით, უფლება აქვთ დაამყარონ კოლექტიური შრომითი შეთანხმებები.

შრომითი შეთანხმების დამყარების წესი რეგულირდება კანონით.

დამოუკიდებელ პროფკავშირებს და მათ უმაღლეს ორგანოებს 128-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის აგრეთვე 54-ე მუხლის დებულებებიდან გამომდინარე, აქვთ უფლება წევრების სახელით მიმართონ სასამართლო ინსტანციებს და, საკუთარი მიზნების შესაბამისად, ადმინისტრაციასთან ერთად გამართონ ერთობლივი შეკრება. ერთობლივი შეკრება გარკვეულ შეთანხმებამდე თუ მივიდა, შეთანხმების ტექსტს ხელს აწერენ მხარეები. ეს ტექსტი, შესაბამისი ადმინისტრაციის, ან კანონის დაცვის მიზნით წარედგინება მინისტრთა საბჭოს. თუ ერთობ-

ლიგი შეკრება შეთანხმების ხელმოწერით არ დასრულდა, შეთანხმების, ან შეუთანხმებლობის საკითხებიც გადაეცემა მინისტრთა საბჭოს. ამ პუნქტის გამოყენების საკითხთან დაკავშირებული წესები განისაზღვრება კანონით.

ერთი და იმავე საწარმოში, ივივე პერიოდისათვის არ შეიძლება დამყარდეს და გამოყენებოდეს ერთზე მეტი კოლექტიური შრომითი შეთანხმება.

## B. გაფიცვის უფლება და ლოკაუტი

მუხლი 54 — კოლექტიური შრომითი შეთანხმების დამყარებისას შეუთანხმებლობის წარმოქმნისას მშრომელებს აქვთ გაფიცვის უფლება. ამ უფლების გამოყენების და მეწარმის ლოკაუტში მონაწილეობის მიღების წესები, პირობები და გამონაკლისი შემთხვევები განისაზღვრება კანონით.

გაფიცვისა და ლოკაუტის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში თუ ის ეწინააღმდეგება კეთილი ნების წესებს, ზიანს მიაყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს და ძირს გამოუთხრის ეროვნულ ღირებულებებს.

გაფიცვის დროს გაფიცვაში მონაწილე მშრომელებისა და პროფკავშირების დაუდევარი და გამიზნული მოქმედებების შედეგად, გაფიცვის განხორციელების ადგილებში მიყენებულ მატერიალურ ზარალზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფკავშირს.

გაფიცვის, ან ლოკაუტის შესაძლო აკრძალვის, ან გადადების გარემოებები განისაზღვრება კანონით.

გაფიცვის და ლოკაუტის აკრძალვის ან გადადების გარემოებებში, უთანხმოებათა გადაჭრა ხორციელდება უმაღლესი საარბიტრაჟო საბჭოს მიერ. უთანხმოების ყველა სტადიაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ და მიმართონ უმაღლეს საარბიტრაჟო საბჭოს, უმაღლესი საარბიტრაჟო საბჭოს გადაწყვეტილებები საბოლოოა და აქვს კოლექტიური შრომითი შეთანხმების ძალა.

უმაღლესი საარბიტრაჟო საბჭოს სტრუქტურა და ფუნქციები რეგულირდება კანონით.

პოლიტიკური მიზნებით გაფიცვა და ლოკაუტი, სოლიდარობის გაფიცვა და ლოკაუტი, საყოველთაო გაფიცვა და ლოკაუტი, საწარმოს ხელში ჩაგდება, მუშაობის ტემპების შენელება, პროდუქტიულობის შემცირება და წინააღმდეგობის სხვა საშუალებების განხორციელება არ შეიძლება.

სამუშაო ადგილებში მუშაობის დროს, გაფიცვაში მონაწილეთა მხრიდან არანაირი ფორმით არ შეიძლება წინააღმდეგობები შეექმნას გაფიცვაში მონაწილეობის არმსურველ პირებს.

## VII. გასამრჯელოს გადახდაში სამართლიანობის უზრუნველყოფა

მუხლი 55 — ხელფასი შრომის ეკვივალენტურია. სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა მომუშავეები იღებდნენ შესრულებული სამუშაოს ეკვივალენტურ, საარსებო ხელფასს და სარგებლობდნენ სოციალური დახმარების სხვა საშუალებებით.



მინიმალური ხელფასის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას.

## VIII. ჯანმრთელობის დაცვა, გარემო და საბინაო საკითხები

### A. ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა

მუხლი 56 — ყოველ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს ჯანმრთელ, დაბალანსებულ გარემოში.

სახელმწიფოს და მოქალაქეთა ვალია, გააუმჯობესონ გარემო, დაიცვან მისი სისუფთავე და აღკვეთონ მისი დაბინძურება.

სახელმწიფო, თითოეულის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის, ადამიანის ბუნებრივი ძალების გაფრთხილებისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, ცენტრალიზებულად აარსებს ჯანდაცვის ორგანიზაციებს და აფინანსებს მათ საქმიანობას.

სახელმწიფო ამ მოვალეობას ასრულებს საზოგადოებრივი და კერძო ჯანდაცვის და სოციალური დახმარების ორგანიზაციების გამოყენებით.

ჯანდაცვის სამსახურის საყოველთაო ფუნქციონირებისათვის კანონით შესაძლებელია შეიქმნას ჯანმრთელობის საერთო დაზღვევა.

### B. საცხოვრებლის უფლება

მუხლი 57 — სახელმწიფო, ქალაქების თავისებურებისა და გარემო პირობების გათვალისწინებით, დაგეგმარების ჩარჩოებში იღებს აუცილებელ ზომებს საბინაო საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, ამას გარდა, ხელს უწყობს კოლექტიური საბინაო ფონდის შექმნის ინიციატივებს.

## IX. ახალგაზრდობა და სპორტი

### A. ახალგაზრდობის დაცვა

მუხლი 58 — სუვერენიტეტი და რესპუბლიკა ნაანდერძევი აქვს ახალგაზრდობას. სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს პოზიტიური მეცნიერების, ათათურქის პრინციპების და რევოლუციონიზმის შესაბამისად, ქვეყნისა და ერის განუყოფელი ერთობის შერყევის შემცველებთან საწინააღმდეგოდ აღზრდისა და განვითარების უზრუნველყოფისათვის.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს ახალგაზრდობის დასაცავად ალკოჰოლიზმის, ნარკოტიკული საშუალებების, დანაშაულობის, აზარტული თამაშების და მსგავსი გადახრებისა და უმეცრებისაგან.

### B. სპორტის განვითარება

მუხლი 59 — სახელმწიფო იღებს ზომებს თურქეთის ყველა ასაკის მოქალაქეთა ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის განვითარებისათვის. წახალისებულია მასებში სპორტის განვითარება.

სახელმწიფო იცავს წარმატებულ სპორტსმენებს.

## X. სოციალური უსაფრთხოების უფლებები

### A. სოციალური უსაფრთხოების უფლება

მუხლი 60 – ყოველ ადამიანს აქვს სოციალური უსაფრთხოების უფლება.

სახელმწიფო, ამ უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის იღებს აუცილებელ ზომებს და აფუძნებს შესაფერის ორგანიზაციებს.

### B. სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით კერძო შემწეობების საჭიროებები

მუხლი 61 – სახელმწიფო იცავს იმ პირთა ქვრივებს და ობლებს, რომლებიც დაიღუპნენ ომის და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ინვალიდებს და ომის ვეტერანებს, უზრუნველყოფს მათთვის საზოგადოებაში ცხოვრების შესაბამის დონეს.

სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს დასახიჩრებულთა დაცვისა და საზოგადოებაში მათი ცხოვრების ადაპტაციისათვის.

ხანდაზმულები დაცულია სახელმწიფოს მიერ. ხანდაზმულთა მიმართ სახელმწიფო დახმარება და შემწეობის სხვა უფლებები და შეღავათები განისაზღვრება კანონით.

სახელმწიფო იღებს ყველანაირ ზომას მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა საზოგადოებისათვის შენარჩუნებისათვის.

სახელმწიფო, ამ მიზნებისათვის ქმნის, ან ხელს უწყობს აუცილებელი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნას.

### C. თურქეთის მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ უცხო ქვეყნებში

მუხლი 62 – სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს საზღვარგარეთ მომუშავე თურქეთის მოქალაქეთა ოჯახების გამყარებისათვის, ბავშვების სწავლისა, კულტურული მოთხოვნების უზრუნველყოფისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, სამშობლოსთან კავშირების შენარჩუნებისა და დაბრუნების შემთხვევაში თანადგომის აღმოჩენაში.

## XI. ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ღირებულებების დაცვა

მუხლი 63 – სახელმწიფო უზრუნველყოფს ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ღირებულებების დაცვას და ამ მიზნით იღებს შესაბამის ზომებს.

კერძო მფლობელობაში მყოფი ამ ღირებულებათა მიმართ შეზღუდვები, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით მათი მფლობელისათვის აღმოჩენილი დახმარება და შეღავათები რეგულირდება კანონით.



## XII. ხელოვნებისა და ხელოვნების მუშაკთა დაცვა

მუხლი 64 – სახელმწიფო იცავს ხელოვნებას და ხელოვნების მუშაკებს, იღებს აუცილებელ ზომებს ხელოვნების ნიმუშთა და ხელოვნების მოღვაწეთა დასაცავად, აფასებს მათ ამაგს, ხელს უწყობს ხელოვნების მიმართ კეთილგანწყობის გავრცელებას.

## XIII. სოციალური და ეკონომიკური უფლებების საზღვრები

მუხლი 65 – კონსტიტუციით განსაზღვრულ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, ეკონომიკური მდგრადობის დაცვის გათვალისწინებით, სახელმწიფო ასრულებს თავის მოვალეობებს იმ ზომით, როგორც ამის ფინანსური შესაძლებლობები არსებობს.

თავი მეოთხე 4

# პოლიტიკური უფლებები და მოვალეობები

## I. თურქეთის მოქალაქეობა

მუხლი 66 – ყოველი, ვინც დაკავშირებულია თურქეთის სახელმწიფოსთან მოქალაქეობის პრინციპით არის თურქი.

ბავშვი მამით თურქი ან დედით თურქი, არის თურქი. ბავშვის მოქალაქეობა, რომლის მამაც არის უცხოელი და დედა თურქი, დგინდება კანონით.

მოქალაქეობის მინიჭება ხდება კანონში მითითებული პირობებით და დაკარგვა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ გარემოებებში.

არც ერთ თურქს არ შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა, თუ მან არ ჩაიდინა სამშობლოს ერთგულებასთან შეუთავსებელი საქციელი.

მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ არის აკრძალული სასამართლო დაცვის შესაძლებლობები.

## II. არჩევის, არჩეულად ყოფნის და პოლიტიკური საქმიანობით დაკავების უფლება

მუხლი 67 – (შეცვლილია) მოქალაქეებს კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად აქვთ უფლება არჩიონ, თავად იქნენ არჩეულნი და აწარმოონ პოლიტიკური საქმიანობა დამოუკიდებლად, ან პოლიტიკურ პარტიაში ყოფნისას და მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო რეფერენდუმებში.

არჩევნები და საყოველთაო რეფერენდუმები არის თავისუფალი, თანაბარი, საიდუმლო, საჯარო, იმართება ღია დათვლის პრინციპით და ხორციელდება სა-

სამართლის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით. საზღვარგარეთ მყოფ თურქი მოქალაქეების საარჩევნო უფლების გამოყენების მიზნით კანონი სა-ცერავს განსაზღვრულ ზომებს.

თურქეთის ყოველ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა ცხრამეტი წელი, აქვს არჩევის და საყოველთაო რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება.

ამ უფლების გამოყენება რეგულირდება კანონით.

ჯარისკაცებს, უნტეროფიცრებს, სამხედრო კურსანტებს, სასჯელის მოხდის ადგილებში მყოფ მსჯავრდებულებს ხმის მიცემის უფლება არა აქვთ. სასჯელის მოხდის ადგილებში მყოფ პატიმართა საარჩევნო უფლების გამოყენების, ხმების დათვლისა და არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარებისათვის საჭირო ზომებს იღებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, არჩევნები ტარდება უფლებამოსილი მოსამართლის ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობით.

საარჩევნო კანონები იქმნება არჩევნების ხელმძღვანელობაში სამართლიანობის და სტაბილურობის პრინციპების გათვალისწინებით.

## III. პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული დადგენილებები

### A. პარტიის შექმნა, პარტიებში გაწევრიანება და პარტიის რიგების დატოვება

მუხლი 68 – (შეცვლილია) მოქალაქეებს აქვთ პოლიტიკური პარტიის შექმნის და დადგენილი წესის მიხედვით პარტიებში გაწევრიანების პარტიის რიგების დატოვების უფლება. პარტიაში გაწევრიანებისთვის საჭიროა ცხრამეტი წლის ასაკის მიღწევა.

პოლიტიკური პარტიები იქმნება წინასწარი ნებართვის გარეშე და მოქმედებენ თავის საქმიანობას კონსტიტუციისა და კანონის დადგენილებების ჩარჩოებში.

პოლიტიკური პარტიების წესდებები, პროგრამები და საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ქვეყნისა და ერის განუყოფელ ერთიანობას, ადამიანის უფლებებში თანასწორობას და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს, ეროვნულ სუვერენიტეტს და დემოკრატიული, საერო რესპუბლიკის საფუძვლებს; მიზნად არ უნდა ისახავდნენ რომელიმე კლასის, ან ჯგუფის დიქტატურის, ან ნებისმიერი ტიპის დიქტატურის დაცვას და დამკვიდრებას; ხელს არ უნდა უწყობდნენ დანაშაულის ჩადენას.

პოლიტიკურ პარტიებში არ შეიძლება გაწევრიანდნენ მოსამართლეები და პროკურორები, საიშთაის ჩათვლით უმაღლესი სასამართლო ორგანოთა წარმომადგენლები, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებში მოსამსახურის სტატუსის მქონე თანამდებობის პირები, გაწეული სამსახურის თვალსაზრისით მშრომელის სტატუსის არმქონე სხვა თანამშრომლები, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა და დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურის მოსწავლეები.



უმაღლესი განათლების სისტემის მასწავლებელთა პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება განისაზღვრება კანონით. კანონი ამ მასწავლებლებს არ დაუშვებს სასჯელის პოლიტიკური პარტიის ცენტრალური სტრუქტურების გარდა სხვა პარტიულ სტრუქტურაში გარკვეული პარტიული ფუნქციების საკუთარ თავზე აღებისთვის. კანონი პარტიის წევრობას განსაზღვრავს უმაღლესი განათლების საქმიანობასთან შესაბამისობის მიხედვით.

უმაღლესი განათლების სისტემის მოსწავლეთა პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანებასთან დაკავშირებული საფუძვლები განისაზღვრება კანონით.

სახელმწიფო, შესაძლებლობებისა და სამართლიანობის მიხედვით, ფინანსურ დახმარებას უწევს პოლიტიკურ პარტიებს. პარტიებისთვის გაწეული დახმარების, შემოსული საწევრო გადასახადების და შემოწირულების საფუძვლები რეგულირდება კანონით.

### B. ძირითადი საფუძვლები, რომელიც უნდა გაითვალისწინონ პოლიტიკურმა პარტიებმა

მუხლი 69 – (შეცვლილია) პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობა და პარტიის შიდა ორგანიზაცია დემოკრატიის პრინციპთა შესაბამისი უნდა იყოს. ამ პრინციპების გამოყენება განისაზღვრება კანონით.

პოლიტიკური პარტიები არ შეიძლება ეწეოდნენ საგარეო საქმიანობას.

პოლიტიკურ პარტიათა შემოსავლები და დანახარჯები გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი უნდა იყოს. ამ წესის გამოყენება განისაზღვრება კანონით. საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს პოლიტიკურ პარტიათა ფინანსური მდგომარეობის, შემოსავლებისა და დანახარჯების კანონთან შესაბამისობის კონტროლს. ამ საკითხებში გაკონტროლების მეთოდები და აღმოჩენილი წინააღმდეგობების შემთხვევაში განსახორციელებელი ზომები განისაზღვრება კანონით. ამ საკონტროლო ვალდებულების შესრულებისას საკონსტიტუციო სასამართლოს დახმარებას უწევს უმაღლესი საფინანსო საბჭო. (საიშთაი) საკონსტიტუციო სასამართლოს გაკონტროლების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა.

პოლიტიკურ პარტიათა დახურვა ხორციელდება რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის აღძრული საქმის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად.

თუ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წესდება და პროგრამა ეწინააღმდეგება 68-ე მუხლის მეოთხე პუნქტის დებულებებს აღნიშნული პოლიტიკური პარტია დაექვემდებარება საბოლოო დახურვას.

თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია 68-ე მუხლის მეოთხე პუნქტის დებულებების საწინააღმდეგო ქმედებებისათვის დაიხურა, მაგრამ ფორმაშეცვლილი სახით აგრძელებს იგივე თვისებებით საქმიანობას, საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მისი დაარსებისთანავე დახურვისთვის.

საბოლოოდ დახურული რომელიმე პარტია არ შეიძლება დაფუძნდეს სხვა სახელით.

პოლიტიკური პარტიის დამფუძნებლებს და წევრებს, რომელთა საქციელისა და საქმიანობის მიზეზითაც მოხდა პარტიის საბოლოო დახურვა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო დახურვის შესახებ გადაწყვეტილების „რესმი გაზეთში" გამოქვეყნებიდან ხუთი წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება გახდნენ სხვა რომელიმე პარტიის დამფუძნებლები, წევრები და ხელმძღვანელები.

პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას იღებენ უცხო სახელმწიფოებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან და თურქეთის მოქალაქეობის არმქონე კერძო და იურიდიული პირებისაგან, დაექვემდებარებიან საბოლოო დახურვას.

პოლიტიკურ პარტიათა დაარსება, საქმიანობა, შემოწმება და დახურვა, აგრეთვე პოლიტიკურ პარტიათა კანდიდატების საარჩევნო დანახარჯები და წესები რეგულირდება კანონით ზემოაღნიშნული საფუძვლების შესაბამისად.

## IV. სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება

### A. სამსახურში შესვლა

მუხლი 70 — ყოველ თურქს აქვს უფლება შევიდეს სახელმწიფო სამსახურში.

სამსახურში მიღების დროს, თანამდებობის დაკავებისათვის საჭირო აუცილებელი თვისებების გარდა, არანაირი სხვა შეხედულების უპირატესობა არ ეძლევა.

### B. ქონებრივი დეკლარაციის შევსება

მუხლი 71 — სახელმწიფო სამსახურში შემსვლელთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ განცხადების შევსება და ხელმეორე განცხადების შევსების ვადები განისაზღვრება კანონით. პირები, რომლებიც შედიან აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებში, არ თავისუფლდებიან ამ წესისაგან.

## V. სამშობლოს სამსახური

მუხლი 72 — სამშობლოს სამსახური ყოველი თურქის უფლება და მოვალეობაა. ეს სამსახური, შეიარაღებულ ძალებში, ან სახელმწიფო ორგანიზაციებში თუ რა ფორმით უნდა აღსრულდეს, ან გაწეული სამსახური ითვლება თუ არა სამშობლოს სამსახურის მოვალეობის აღსრულებად, განისაზღვრება კანონით.

## VII. გადასახადების გადახდის მოვალეობა

მუხლი 73 — ყოველი ადამიანი სახელმწიფო დანახარჯების დაფარვისათვის, საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მოვალეა გადაიხადოს გადასახადები.

საგადასახადო შემოსავლების სამართლიანი და კანონზომიერი განაწილება წარმოადგენს სოციალურ-ფინანსური პოლიტიკის მიზანს.



გადასახადები, შეღავათები და მსგავსი ფინანსური ვალდებულებები დაწესდება, იცვლება, ან უქმდება მხოლოდ კანონის საფუძველზე.

მინისტრთა საბჭოს შესაძლებელია გადაეცეს კომპეტენცია განახორციელოს ცვლილებები, რომელსაც კანონით განსაზღვრული ჩარჩოების შესაბამისად შეუძლია დასწიოს გადასახადები, დააწესოს შეღავათები, შეწყვეტები და მსგავსი ფინანსური მოვალეობები.

## VII. თხოვნის უფლება

მუხლი 74 — მოქალაქეებს აქვთ უფლება წერილობითი სახით მიმართონ კომპეტენტურ თანამდებობის პირებს და თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას თხოვნით, ან საჩივრით, რომელიც შეეხება თავად მათ პიროვნებას, ან საზოგადოებრივ საკითხებს.

კერძო საკითხზე მიმართვის შედეგი თხოვნის ავტორს წერილობითი სახით ეცნობება.

ამ უფლების გამოყენების ფორმა რეგულირდება კანონით.

# კარი მესამე
# რესპუბლიკის ძირითადი ორგანოები

## თავი პირველი
## საკანონმდებლო ხელისუფლება

### I. თურქეთის დიდი ეროვნული კრება

### A. შემადგენლობა

მუხლი 75 — (შეცვლილია) თურქეთის დიდი ეროვნული კრება შედგება საყოველთაო კენჭისყრის შედეგად არჩეული ხუთასორმოცდაათი დეპუტატისაგან.

### B. დეპუტატთა არჩევის პირობები

მუხლი 76 — ყოველი თურქი, რომელსაც შეუსრულდა ოცდაათი წელი, შეიძლება არჩეულ იქნეს დეპუტატად.

დეპუტატად არჩევის უფლება არა აქვთ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მინიმუმ დაწყებითი განათლება, იმყოფებიან ზედამხედველობის ქვეშ, არ გაუვლიათ სავალდებულო სამხედრო სამსახური, ჩამორთმეული აქვთ სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლება, აგრეთვე პირებს, რომლებიც დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულების გამოკლებით, საერთო ჯამში ერთი წლით, ან მეტი ხნით ექვემდებარებიან თავისუფლების აღკვეთის სასჯელს; დეპუტატად არჩევა ეკრძალებათ

აგრეთვე მათ, ვინც ნასამართლევი იყო ისეთი სამარცხვინო დანაშაულების გამო, როგორიცაა გაფლანგვა, ძარცვა, კორუფცია, მექრთამეობა, ქურდობა, თაღლითობა, საბუთების გაყალბება, ნდობის ბოროტად გამოყენება, სხვათა შეცნობილად გაკოტრება, კონტრაბანდა, ოფიციალური ტენდერული ინტრიგებისა და ვაჭრობის ხელის შეშლა და მაქინაციები, სახელმწიფოებრივი საიდუმლოს გაცემა, იდეოლოგიურ და ანარქისტულ გამოსვლებში მონაწილეობის მიღება და ისეთი საქმიანობის წახალისება; და პირებს, რომლებიც იყვნენ ამნისტირებულნი.

მოსამართლეებს, პროკურორებს, უმაღლესი სასამართლო ორგანოების წარმომადგენლებს, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებს, უმაღლესი განათლების საბჭოს წევრებს, სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებში მოსამსახურის სტატუსის მქონე თანამდებობის პირებს და ვინც სამსახურის მიხედვით შრომის ფუნქციების არმქონე სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებს, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის წევრებს დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთების გარეშე არ შეუძლიათ წამოაყენონ საკუთარი კანდიდატურა და არჩეულ იქნენ დეპუტატად.

## C. თურქეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნების პერიოდულობა

მუხლი 77 – თურქეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნები ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ.

კრებას ამ ვადის ამოწურვამდე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. კონსტიტუციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რესპუბლიკის პრეზიდენტსაც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. დეპუტატი, რომლის უფლებამოსილების ვადა ამოიწურა, შეიძლება ხელახლა იქნეს არჩეული.

## D. თურქეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნების გადავადება და შუალედური არჩევნები

მუხლი 78 – თუ ომის მიზეზით არ იქნება შესაძლებელი არჩევნების ჩატარება, თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არჩევნების ერთი წლით გადავადების შესახებ.

თუ გადავადების გამომწვევი მიზეზები არ მოისპობა, გადავადების გადაწყვეტილების წესის შესაბამისად, ეს პროცედურა შეიძლება განმეორდეს.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა ადგილების განთავისუფლების შემთხვევაში ტარდება შუალედური არჩევნები. შუალედური არჩევნები ტარდება ყოველი საპარლამენტო მოწვევის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ საყოველთაო არჩევნებიდან არაუგვიანეს ოცდაათთვიან პერიოდისა, მაგრამ თუ განთავისუფლებული ადგილების რაოდენობა შეადგენს პარლამენტის სრული შემადგენლობის ხუთ პროცენტს, შუალედური არჩევნების ჩატარების უფლება მიიღება სამთვიან ვადაში.



საყოველთაო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე შუალედური არჩევნების ჩატარება არ შეიძლება.

## E. არჩევნების საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი

მუხლი 79 – არჩევნები ტარდება სასამართლო ორგანოების საერთო ხელმძღვანელობითა და კონტროლით.

არჩევნების დაწყებიდან დამთავრებამდე, არჩევნების მშვიდ ვითარებაში ხელმძღვანელობა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული მთელი საქმიანობის შესრულება, არჩევნების დროს და მერე საარჩევნო კანონთან დაკავშირებული ყველა დარღვევის, საჩივრის და პროტესტის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრების არჩევის შესახებ დოკუმენტაციების მომზადების მოვალეობა ეკისრება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება გასაჩივრებას სხვა რომელიმე ინსტანციაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის და სხვა საარჩევნო ორგანოების მოვალეობები და უფლებამოსილებები განისაზღვრება კანონით.

ცენტრალური საარჩევნო კომისია შედგება შვიდი ძირითადი და ოთხი სათადარიგო წევრისაგან. კომისიის ექვსი წევრი უმაღლესი საკასაციო სასამართლოს, ხოლო ხუთი წევრი კი სახელმწიფო საბჭოს კოლეგიიდან აირჩევა ამ ორგანოთა წევრების შემადგენლობიდან საიდუმლო კენჭისყრის შედეგად წევრთა სრული რაოდენობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. კომისიის წევრები საკუთარი შემადგენლობიდან, საიდუმლო კენჭისყრის შედეგად, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს და მოადგილეს.

უმაღლესი საკასაციო სასამართლოს და სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩეული ოთხ-ოთხი წევრი წილისყრის გზით ადგილს იკავებს სათადარიგო წევრთა რიგებში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე წილისყრაში მონაწილეობას არ ღებულობენ.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული კანონპროექტების რეფერენდუმზე გატანის პროცედურათა საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი ხორციელდება საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებული დებულებების შესაბამისად.

## F. წევრობასთან დაკავშირებული დადგენილებები

### 1. ერის წარმომადგენლობა

მუხლი 80 – თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრები წარმოადგენენ მთელ ერს და არა იმ რაიონებს, სადაც იქნენ არჩეულნი და არა იმ პირებს, რომლებმაც აირჩიეს.

## 2. ფიცის დადება 10

**მუხლი 81** – თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრები მანამ, სანამ შეუდგებიან საკუთარი მოვალეობების შესრულებას, შემდეგი სახის ფიცს დებენ:

„დიდი თურქი ერის წინაშე ვფიცავ, საკუთარი სინდისისა და ღირსების შესაბამისად, დავიცვა სახელმწიფოს არსებობა და დამოუკიდებლობა, ქვეყნისა და ერის განუყოფელი ერთობა, ერის უპირობო სუვერენიტეტი; დავრჩე სამართლის, დემოკრატიული და საერო რესპუბლიკის და ათათურქის რევოლუციურ ცვლილებათა პრინციპების ერთგულობის პატივისმცემელი; საზოგადოებრივი სიმშვიდის, კეთილდღეობის, ეროვნული სოლიდარობის და სამართლიანობის პირობებში არ გადავუხვიო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო გამოყენების პრინციპს. დავრჩე კონსტიტუციის ერთგული.

## 3. წევრობისათვის შეუთავსებელი საქმიანობა

**მუხლი 82** – თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრებს არ შეუძლიათ შეასრულონ მოვალეობები სახელმწიფოებრივ და სხვა იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციებში, ან მათთან დაკავშირებულ დაწესებულებებში; კერძო საწარმოებსა და კომპანიებში, სადაც პირდაპირ, ან ირიბად მონაწილეობს სახელმწიფო, ან იურიდიული პირის სტატუსის მქონე მსგავსი საზოგადოებრივი ორგანიზაციებში; საზოგადოებათა კონტროლირებად ორგანოებში, რომელთა შესაძლებლობები და შემოსავალთა წყაროები კანონით არის უზრუნველყოფილი და საქმიანობენ საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის; საქველმოქმედო ფონდებში, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო დახმარებითა და საგადასახადო შეღავათებით; სახელმწიფო დაწესებულების თვისებების მქონე პროფესიულ გაერთიანებებსა და პროფკავშირებში და მათ უმაღლეს ორგანოებში; დეპუტატებს არ შეუძლიათ გამოვიდნენ მათი სახელით, პირდაპირ, ან ირიბად ამა თუ იმ ფორმით ამ ორგანიზაციათა წინაშე აიღონ ვალდებულებები, იყვნენ მათი წარმომადგენლები და გაუწიონ სასამართლო მომსახურება.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრებს არ შეუძლიათ თავის თავზე აიღონ აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციაში შემავალი თანამდებობაზე დანიშვნის, დამტკიცების და სხვა მოვალეობების შესრულება. ეროვნული კრების წევრს, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, არა უმეტეს ექვსი თვის განმავლობისა, შესაძლებელია მინისტრთა საბჭოში დაეკისროს დროებითი მოვალეობების შესრულება. ასეთი დადგენილების მიღება დაკავშირებულია ეროვნული კრების გადაწყვეტილებაზე.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრობისათვის შეუთავსებელი სხვა მოვალეობები და საქმეები განისაზღვრება კანონით.



## 4. საკანონმდებლო ხელისუფლების ხელშეუხებლობა

**მუხლი 83** – თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა კრების მუშაობის დროს კენჭისყრისა და გამონათქვამებისათვის, ან კრების სხდომაზე, ან მის გარეთ გატარებული შეხედულებებისათვის.

არჩევნებამდე, ან მისი ჩატარების შემდეგ დანაშაულის ჩადენისათვის მიცემული დეპუტატი, ეროვნული კრების გადაწყვეტილების გარეშე არ შეიძლება დაექვემდებაროს დაკავებას, დაკითხვას, დაპატიმრებას, ან გასამართლებას, მაგრამ დანაშაულის ჩადენის მომენტში მიღება, რაც ითვალისწინებს მძიმე სასჯელს და კონსტიტუციის მე-14 მუხლის გარემოებები არ ითვალისწინებს ხელშეუხებლობის უფლების გამოყენებას. ამ მუხლის დებულება არ ვრცელდება აგრეთვე არჩევნებამდე დაწყებული დანაშაულის გამოძიების შემთხვევებზე, მაგრამ ეროვნული კრების წევრთა პასუხისგებაში მიცემისას ისეთ დანაშაულებებზე, რომლებზეც არ ვრცელდება ხელშეუხებლობა, კომპეტენტური ინსტანციები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ ეროვნულ კრებას.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრის მიმართ არჩევნებამდე, ან შემდეგ გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანა გადავადდება მისი წევრობის ვადის ამოწურვამდე; ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება წევრობის პერიოდზე.

ხელახლა არჩეული დეპუტატის მიმართ გამოძიებისა და იურიდიული დევნის განხორციელება დამოკიდებულია კრების ახალ გადაწყვეტილებაზე მისი ხელშეუხებლობის მოხსნასთან დაკავშირებით.

თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში პოლიტიკურ პარტიათა ფრაქციებს არა აქვთ უფლება განიხილონ საკანონმდებლო ხელისუფლების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ გადაწყვეტილებები.

## 5. წევრობის შეჩერება

**მუხლი 84** – (შეცვლილია) გადამდგარი დეპუტატის დეპუტატობის უფლებამოსილების შეწყვეტა და გადადგომის დამტკიცება ხორციელდება თურქეთის დიდი ეროვნული კრების სამდივნის მიერ განცხადების მიღების შემდეგ თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად.

დეპუტატობის შეწყვეტა, დეპუტატისათვის მსჯავრდადებისა და დაკავების გარემოებებში ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ეროვნული კრების პლენარული სხდომის გადაწყვეტილების შემდეგ.

82-ე მუხლის მიხედვით დეპუტატობისათვის შეუთავსებელი მოვალეობის, ან სამსახურის ჯიუტად გაგრძელებისათვის დეპუტატის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, კომპეტენტური კომისიის მიერ ამ მდგომარეობის დამამტკიცებელი მოხსენების შესაბამისად, ფარული კენჭისყრის შედეგად იღებს ეროვნული კრების სხდომა.

იმ დეპუტატთა მიმართ, რომლებიც უწესრიგოდ და არასაპატიო მიზეზით არ დასწრებიან ეროვნული კრების მუშაობის საერთო ჯამში ხუთი პლენარული

სხდომის მანძილზე, სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, ამ მდგომარეობის ეროვნული კრების პრეზიდიუმის მხრიდან დამტკიცების შემთხვევაში იღებს კრების სხდომა კენჭისყრის შედეგად, წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით.

ამ დეპუტატთა მიმართ, რომელთა შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოლიტიკური პარტიის საბოლოო დახურვის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია, რომ მათი გამონათქვამები და საქმიანობა მიზეზი გახდა პარტიის დახურვისა, სადეპუტატო უფლებამოსილება შეწყდება ამ გადაწყვეტილების „რესმი გაზეთში" გამოქვეყნების დღეს. თურქეთის დიდი ეროვნული კრების ხელმძღვანელობა ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ აცხადებს და აცნობებს პლენარულ სხდომას.

### 6. გადაწყვეტილების გაუქმების უფლება

მუხლი 85 – იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული კრება იღებს გადაწყვეტილებას სადეპუტატო ხელშეუხებლობის მოხსნასთან, ან 84-ე მუხლის პირველი, მესამე, ან მეოთხე პუნქტის შესაბამისად დეპუტატობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მოცემულ დეპუტატს, ან ეროვნული კრების სხვა ნებისმიერ დეპუტატს, პლენარული სხდომის გადაწყვეტილების მიღებიდან შვიდი დღის განმავლობაში შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით მისი კონსტიტუციასთან, კანონთან, ან შიდა რეგლამენტის დებულებებთან შეუსაბამობის საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლო გაუქმების მოთხოვნის საკითხთან დაკავშირებით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას თხუთმეტი დღის განმავლობაში.

### 7. დაჯილდოება და საგზაო დანახარჯების გადახდა

მუხლი 86 – თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა ფულადი ჯილდოვნება და საგზაო დანახარჯების გადახდა რეგულირდება კანონით. თვიური ფულადი ანაზღაურების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ყველაზე მაღალ ანაზღაურებადი სახელმწიფო მოსამსახურის ხელფასს, ხოლო საგზაო დანახარჯები კი ხელფასის ნახევარს.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა ფულადი ჯილდოვნებულება და საგზაო დანახარჯები არ ითვლება წევრთათვის პენსიებისა და მსგავსი შემწეობების გადახდის შეწყვეტად, რომელიც დაწესებულია სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციების მიერ.

პრემიებისა და საგზაო დანახარჯების გადახდა ხორციელდება მაქსიმუმ სამთვიანი ინტერვალებით.



## II. თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოვალეობები და ფუნქციები

### A. ზოგადად

მუხლი 87 – თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოვალეობები და ფუნქციები:

კანონთა მიღება, მათში ცვლილებების შეტანა და გაუქმება; მინისტრებისა და მინისტრთა საბჭოს გაკონტროლება; გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭოსათვის კანონის ძალის მქონე დადგენილებების მიღების კომპეტენციის დაკისრება; სახელმწიფოებრივი ბიუჯეტების კანონპროექტთა განხილვა, და დამტკიცება; ფულადი ემისიებისა და ომის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიცირება; კონსტიტუციის მე-14 მუხლში მითითებული დებულებებისათვის მსჯავრდადებულთა გამოკლებით, საყოველთაო და კერძო ამნისტიის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; სასამართლოს მიერ გამოტანილი და საბოლოოდ დამტკიცებული სიკვდილით განაჩენთა სისრულეში მოყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; კონსტიტუციის სხვა თავებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების გამოყენება და აღსრულება.

### B. კანონპროექტებისა და წინადადებების შეტანა და განხილვა

მუხლი 88 – საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით სარგებლობენ მინისტრთა საბჭო და დეპუტატები.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ კანონპროექტებისა და საკანონმდებლო წინადადებების განხილვის პრინციპები და წესები რეგულირდება შიდა რეგლამენტით.

### C. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ კანონთა პრომულგაცია

მუხლი 89 – რესპუბლიკის პრეზიდენტი თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებულ კანონებს თხუთმეტი დღის განმავლობაში უკეთებს პრომულგაციას.

თუ პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ კანონები არ გამოდგება პრომულგაციისათვის, ის უბრუნებს მას თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შესაბამისი დასაბუთებით ხელახალი განხილვისათვის იმავე ვადების განმავლობაში. ეს დადგენილება არ ვრცელდება კანონებზე ბიუჯეტის შესახებ.

თუ თურქეთის დიდი ეროვნული კრება ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებულ კანონს მიიღებს იგივე სახით, მაშინ პრეზიდენტი ახორციელებს მის პრომულგაციას. იმ შემთხვევაში თუ ეროვნული კრება დაბრუნებულ კანონში შეიტანს ცვლილებებს, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია კვლავ დააბრუნოს კანონი კრებაში.

კონსტიტუციის ცვლილებებთან დაკავშირებული შესაბამისი დებულებები რჩება ძალაში.

## D. საერთაშორისო შეთანხმებებთან შესაბამისობაში ყოფნა

**მუხლი 90** – თურქეთის რესპუბლიკის სახელით სხვა სახელმწიფოებთან, ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება დამოკიდებულია თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ რატიფიცირების მიზანშეწონილობის მიჩნევასთან, რის შესახებაც მიიღება შესაბამისი დადგენილება.

ეკონომიკური, სავაჭრო, ან ტექნიკური ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით დადებული ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადა არ აღემატება ერთ წელს, შეიძლება ძალაში შევიდეს მათი გამოქვეყნების მომენტიდან იმ პირობით, თუ ისინი არ ქმნიან სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით ვალდებულებას, აგრეთვე არ ლახავენ პიროვნების სტატუსს და საზღვარგარეთის ქვეყნებში თურქთა ქონებრივ უფლებებს. ხელშეკრულების შესახებ ეცნობება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას მათი გამოქვეყნების მომენტიდან ორი თვის განმავლობაში.

საერთაშორისო ხელშეკრულების აღსრულებისათვის დადებული ხელშეკრულება და კანონის კომპეტენციის შესაბამისად დადებული ეკონომიკური, სავაჭრო, ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებები არ არის აუცილებელი რატიფიცირებულ იქნეს ეროვნული კრების მიერ; მაგრამ ამ პუნქტის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც შეეხება ეკონომიკის, ვაჭრობის, ან კერძო პირთა სხვა უფლებებს, არ შეიძლება შევიდეს ძალაში რატიფიცირების გარეშე.

ყოველგვარი ხელშეკრულების დადებისას, რომელსაც ცვლილებები შეაქვს თურქულ კანონებში, გამოიყენება პირველი პუნქტის დებულება.

სათანადო პროცედურის გათვალისწინებით ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებებს აქვთ კანონის ძალა. ასეთ კანონებთან დაკავშირებით შეუძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოში მათი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მტკიცებით.

## E. კანონის ძალის მქონე დადგენილებების მიღების კომპეტენციის გადაცემა

**მუხლი 91** – თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შეუძლია მიანიჭოს მინისტრთა საბჭოს კანონის ძალის მქონე დადგენილებების მიღების კომპეტენცია. მაგრამ კანონის ძალის მქონე ასეთ დადგენილებებს, გარდა საომარი და საგანგებო პირობებისა, არ შეუძლიათ დაარეგულირონ კონსტიტუციის პირველ და მეორე თავებში დაფიქსირებული ძირითადი უფლებები და პიროვნების უფლებები და მოვალეობები აგრეთვე მეოთხე თავში განსაზღვრული პოლიტიკური უფლებები და მოვალეობები.

დელეგირებული კანონი განსაზღვრავს კანონის ძალის მქონე დადგენილების მიზანს, მის შემადგენლობას, პრინციპებს, გამოყენების პერიოდს და ამ ხნის მანძილზე ერთზე მეტი ასეთი დადგენილების მიღების შესაძლებლობას, ან შეუძლებლობას.



მინისტრთა საბჭოს გადადგომა, დაშლა ან ეროვნული კრების მოწვევის ვადის დასრულება არ შეიძლება მიზეზი იყოს გარკვეული დროით მინიჭებული უფლებამოსილების შეწყვეტისა.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ მოწვევის ვადის დამთავრებამდე კანონის ძალის მქონე დადგენილების დამტკიცების დროს ფიქსირდება ამ დადგენილების კომპეტენციის ამოწურვის დრო, ან მისი უფლებამოსილების გაგრძელების შესაძლებლობა.

საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, პრეზიდენტის თავმჯდომარეობით შეკრებილი მინისტრთა საბჭოს მიერ კანონის ძალის მქონე დადგენილებების გამოცემასთან დაკავშირებული დებულებები ძალაში რჩება.

კანონის ძალის მქონე დადგენილებები ძალაში შედის მათი „რესმი გაზეთში" გამოქვეყნების დღიდან. მაგრამ დადგენილების ძალაში შესვლის თარიღად შეიძლება მითითებული იყოს უფრო გვიანი თარიღიც.

დადგენილებები გადაეცემა თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას მათი „რესმი გაზეთში" გამოქვეყნების დღეს.

დელეგირებული კანონები და მასზე დაყრდნობილი კანონის ძალის მქონე დადგენილება თურქეთის დიდი ეროვნული კრების კომისიებსა და პლენარულ სხდომაზე განიხილება პირველ რიგში და სასწრაფოდ.

დადგენილებების მოქმედება, რომლებიც მიღების დღესვე არ გადაეცა ეროვნულ კრებას, უქმდება იმავე დღეს, ხოლო თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ უარყოფილი დადგენილებების მოქმედება კი უქმდება ამ გადაწყვეტილების „რესმი გაზეთში" გამოქვეყნების დღეს. ცვლილებებით მიღებული დადგენილებები შედიან ძალაში ამ ცვლილებათა „რესმი გაზეთში" გამოქვეყნების დღეს.

## F. საომარი მდგომარეობის გამოცხადება და შეიარაღებული ძალების გამოყენების ნებართვის გაცემა

**მუხლი 92** – თურქეთის დიდი ეროვნული კრების კომპეტენციაში შედის საომარი მდგომარეობის გამოცხადება, როცა ეს კანონიერია საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, თურქეთის შეიარაღებული ძალების გაგზავნა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ან უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალების თურქეთში შემოსვლისათვის ნებართვის გაცემა გარდა იმ გარემოებებისა, როცა ეს გათვალისწინებული არ არის საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლის მონაწილეც არის თურქეთი და საერთაშორისო ეტიკეტის ნორმებით.

არდადეგებისა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების სესიათა შორის შესვენებების დროს თუ ქვეყანა განიცდის მოულოდნელ თავდასხმას, რომლის შედეგადაც გარდაუვალი ხდება შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რესპუბლიკის პრეზიდენტსაც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

## III. დებულებები თურქეთის დიდი ეროვნული კრების საქმიანობის შესახებ

### A. სესიის მოწვევა და არდადეგები

მუხლი 93 – (შეცვლილია) თურქეთის დიდი ეროვნული კრება იკრიბება დამოუკიდებლად ყოველი წლის ოქტომბრის პირველ დღეს.

კრება, საკანონმდებლო წლის განმავლობაში შეიძლება ისვენებდეს არდადეგებზე მაქსიმუმ სამი თვე. სესიათა შორის შესვენების, ან არდადეგების დროს ის შეიძლება მოწვეულ იქნეს უშუალოდ მინისტრთა საბჭოს ან რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთხოვნის შესაბამისად.

უშუალოდ კრების თავმჯდომარესაც საკუთარი მოთხოვნის ან კრების წევრთა ერთი მეხუთედის წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეუძლია მოიწვიოს კრება სხდომაზე.

სესიათა შორის შესვენების ან არდადეგების დროს მოწვეულმა კრებამ არ შეიძლება შეწყვიტოს მუშაობა ამ მოწვევის გამომწვევი საკითხების განხილვის გარეშე.

### B. ეროვნული კრების პრეზიდიუმი.

მუხლი 94 – თურქეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმი შედგება კრების წევრთა მიერ არჩეული კრების თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, სამდივნოს წევრების და ადმინისტრატიული განმკარგულებლისაგან.

კრების პრეზიდიუმი ყალიბდება კრებაში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების ფრაქციათა წევრებისაგან, მათი არჩევის წესი ითვალისწინებს პრეზიდიუმში წევრთა განაწილების პოლიტიკური პარტიათა ფრაქციების პროპორციათა შესაბამისად. პოლიტიკური პარტიათა ფრაქციებს არ შეუძლიათ წამოაყენონ კანდიდატური კრების თავმჯდომარის თანამდებობაზე.

ერთი საკანონმდებლო მოწვევის განმავლობაში თურქეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის არჩევნები ტარდება ორჯერ. პირველი არჩევნების შედეგად არჩეულთა უფლებამოსილების ვადაა ორი წელი, ხოლო მეორე არჩევნების შედეგად არჩეულთა ვადა კი სამი წელი.

ეროვნული კრების წევრთა შემადგენლობიდან თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოყენებული კანდიდატურების შესახებ ეცნობება პრეზიდიუმს კრების მოწვევიდან ათი დღის განმავლობაში, თავმჯდომარის არჩევა ტარდება ფარული კენჭისყრით. პირველი ორი კენჭისყრის დროს საჭიროა წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედის, ხოლო მესამე კენჭისყრის დროს კი წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის დაგროვება. თუ მესამე კენჭისყრის დროს ვერ იქნება უზრუნველყოფილი აბსოლუტური უმრავლესობა, იმ ორ დეპუტატს შორის, რომლებიც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს ჩატარდება არჩევნების მეოთხე ტური. არჩევნების მეოთხე ტურის შემდეგ თავმჯდომარედ არჩეულად ითვლება ის დეპუტატი,



რომელიც მიიღებს ხმათა უბრალო უმრავლესობას. თავმჯდომარის არჩევა ტარდება კანდიდატთა წამოყენების ვადის დასრულებიდან ათი დღის განმავლობაში.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საკუთარი პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში როგორც პარლამენტს გარეთ, ასევე საპარლამენტო ფრაქციაში; გარდა საკუთარი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული შემთხვევებისა, მათ არ შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კრების განხილვებში; თავმჯდომარე და სხდომის წამყვანი თავმჯდომარის მოადგილე კენჭისყრებში მონაწილეობას არ ღებულობენ.

### C. შიდა რეგლამენტი, პოლიტიკურ პარტიათა ფრაქციები და წესრიგის უზრუნველყოფა

მუხლი 95 – თურქეთის დიდი ეროვნული კრება ახორციელებს მუშაობას თავად შემუშავებული შიდა წესების – რეგლამენტის დებულებათა შესაბამისად.

შიდა რეგლამენტის დებულებები იქმნება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული კრების მთელ საქმიანობაში პოლიტიკურ პარტიათა ფრაქციების მონაწილეობა მათი წევრების პროპორციათა გათვალისწინებით. საპარლამენტო ფრაქციები იქმნება მინიმუმ ოცი დეპუტატისაგან.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ტერიტორიაზე არსებულ ყველა შენობაში, დარბაზსა და დანაყოფებში მმართველობითი ფუნქციები იგეგმება და ხორციელდება კრების თავმჯდომარის მიერ. უსაფრთხოებისა და სხვა დაცვითი ფუნქციების უზრუნველყოფისათვის ძალების აუცილებელი რაოდენობა შესაბამისი ინსტანციების მიერ განკარგულებაში გადაეცემა კრების პრეზიდიუმს.

### D. სხდომის მოწვევა და ქვორუმი

მუხლი 96 – თუ კონსტიტუციაში არ არის გათვალისწინებული სხვა წესი, თურქეთის დიდი ეროვნული კრება ატარებს თავის სხდომებს წევრთა სრული შემადგენლობის მინიმუმ ერთი მესამედის ქვორუმით და იღებს გადაწყვეტილებებს სხდომაში მონაწილეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით; მაგრამ გადაწყვეტილების მისაღებისათვის საჭირო ქვორუმი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ნაკლები წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა ერთ მეოთხედს პლიუს ერთი ხმისა.

მინისტრთა საბჭოს წევრებს ეროვნული კრების იმ სხდომებზე, რომლებზეც ისინი ვერ ახერხებენ დასწრებას, შეუძლიათ საკუთარი თავის მაგიერად კენჭისყრის უფლებამოსილება გადასცენ რომელიმე მინისტრს, მაგრამ ერთ მინისტრს საკუთარი ხმის გარდა შეუძლია გადაიტანოს მაქსიმუმ ორი ხმა.

### E. განხილვების საჯაროობა და მათი გამოქვეყნება

მუხლი 97 – თურქეთის დიდი ეროვნული კრებაში განხილვები და დებატები ღიაა და ქვეყნდება სრული სახით პროტოკოლების კრებულში.

ეროვნული კრების შიდა რეგლამენტის დებულებების შესაბამისად შეიძლება ჩატარდეს დახურული სხდომები. ასეთი სხდომების გამოქვეყნება დამოკიდებულია ეროვნული კრების გადაწყვეტილებაზე.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ღია დებატების გამოქვეყნება ნებისმიერი საშუალებებით თავისუფალია. გამონაკლისს წარმოადგენენ ის სხდომები, რომელთა გამოქვეყნების შესახებ კრების პრეზიდიუმმა მიიღო სპეციალური დადგენილება.

## IV. თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ ინფორმაციის მიღება და კონტროლის მეთოდები

### A. ზოგადი დებულებები

მუხლი 98 – თურქეთის დიდი ეროვნული კრება გამოკითხვის, საპარლამენტო გამოკვლევის, საპარლამენტო განხილვის, ინტერპელაციის და საპარლამენტო გამოძიების გზებით ახორციელებს მაკონტროლებელი კომპეტენციის გამოყენებას.

გამოკითხვა წარმოადგენს პრემიერ-მინისტრისაგან, ან მინისტრებისაგან მინისტრთა საბჭოს სახელით ზეპირად, ან წერილობით ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნას.

საპარლამენტო გამოკვლევა წარმოადგენს გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით გამოკვლევას.

საერთო განხილვა და დებატები არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმიანობის შესახებ გარკვეული საკითხების თურქეთის დიდი ეროვნული კრების პლენარულ სხდომაზე განხილვა.

გამოკითხვასთან, საპარლამენტო გამოკვლევასა და საერთო განხილვასთან დაკავშირებული წინადადებების მიღების ფორმა, შემადგენლობა, განხილვისა და გამოკვლევის საკითხები განისაზღვრება კრების შიდა რეგლამენტის მიხედვით.

### B. ინტერპელაცია

მუხლი 99 – ინტერპელაციის შესახებ წინადადება შემოდის ერთ-ერთი პარტიის ფრაქციის სახელით, ან მინიმუმ ოცი დეპუტატის ხელმოწერით.

ინტერპელაციის წინადადება, მისი მიღების შემდეგ სამი დღის განმავლობაში ნაბეჭდი სახით ურიგდებათ წევრებს; დარიგებიდან ათი დღის განმავლობაში განიხილება ინტერპელაციის წინადადების დღის წესრიგში ჩართვის საკითხი; ამ განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ინტერპელაციის წინადადების ავტორთაგან ერთ დეპუტატს, პოლიტიკურ პარტიათა სახელით თითო-თითო დეპუტატს, მინისტრთა საბჭოს სახელით პრემიერ-მინისტრს, ან ერთ რომელიმე მინისტრს.

დღის წესრიგში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ცნობილი ხდება ინტერპელაციის წინადადების განხილვის დღეც; მაგრამ ინტერპელაციის განხილვა არ შეიძლება განხორციელდეს ინტერპელაციის დღის წესრიგში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ორდღიანი ვადის ამოწურვამდე და არ შეიძლება გადავადდეს არა უგვიანეს შვიდი დღისა.



ინტერპელაციის განხილვის დროს წევრების და ფრაქციების მიმართ დასაბუთებული უნდობლობის წინადადება და მინისტრთა საბჭოს მიმართ ნდობის ვოტუმი გადის კენჭისყრაზე ერთი სრული დღის გასვლის შემდეგ.

მინისტრთა საბჭოს ან ერთი მინისტრის გადაყენება მოითხოვს კრების წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას; კენჭისყრის დროს ითვლება მხოლოდ ნდობის საწინააღმდეგოდ მიცემული ხმები.

კრების საქმიანობის დაბალანსებულად განხორციელებისა და ზემოთხსენებული პრინციპების შესაბამისად ინტერპელაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება კრების შიდა რეგლამენტით.

### C. საპარლამენტო გამოძიება

მუხლი 100 – თურქეთის დიდი ეროვნული კრების სრული შემადგენლობის ხმათა ერთი მეათედის წინადადების საფუძველზე შეიძლება მოთხოვნილ იქნეს პრემიერ-მინისტრის, ან მინისტრების მიმართ გამოძიების ჩატარება. კრება ამ გადაწყვეტილებას განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას არა უგვიანეს ერთი თვისა.

გამოძიების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მას ახორციელებს კომისია თხუთმეტი წევრის შემადგენლობით. კომისიის ჩამოყალიბების დროს ყურადღება ექცევა მასში კრების წევრთა მონაწილეობის მიღებას წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიათა ძალების პროპორციულ შეფარდების მიხედვით. კომისია გამოძიების შედეგების შესახებ მოხსენებას წარუდგენს კრებას ორი თვის განმავლობაში. თუ ამ ხნის განმავლობაში გამოძიება არ არის დასრულებული, კომისიას ეძლევა დამატებითი და საბოლოო კიდევ ორთვიანი ვადა.

კრება განიხილავს მოხსენებას პირველი რიგის საკითხად და აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი პირის უზენაეს სასამართლოში გადაცემის შესახებ. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღება.

კრებაში წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიათა ფრაქციებს არ შეუძლიათ განიხილონ საპარლამენტო გამოძიებასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ გადაწყვეტილებები.

თავი მეორე

# აღმასრულებელი ხელისუფლება

## I. რესპუბლიკის პრეზიდენტი.

### A. არსი და ნეიტრალიტეტი

მუხლი 101 – რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს თურქეთის დიდი ეროვნული კრება შვიდი წლის ვადით საკუთარი წევრებისაგან, ან პირებისაგან, რომლე-

ვინც აკმაყოფილებენ დეპუტატად არჩევისათვის საჭირო მოთხოვნებს. პრეზიდენტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესრულებული ორმოცი წელი და გააჩნდეს უმაღლესი განათლება.

რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატურის წამოყენება თურქეთის დიდი ეროვნული კრების გარედან გათვალისწინებულია კრების სრული შემადგენლობის ერთი მეხუთედის წერილობითი განცხადების შემთხვევაში.

ერთი და იგივე პიროვნება არ შეიძლება ორჯერ იქნეს არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტად.

რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული პიროვნების კავშირები პოლიტიკურ პარტიასთან თუ ასეთი რამ არსებობდა წყდება, ხოლო ეროვნული კრების წევრობა კი სრულდება.

## B. არჩევა

მუხლი 102 – რესპუბლიკის პრეზიდენტს საიდუმლო კენჭისყრით ირჩევს თურქეთის დიდი ეროვნული კრება წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით. თუ თურქეთის დიდი ეროვნული კრება არდადეგებზეა, ხდება მისი დაუყოვნებელი მოწვევა.

რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ოცდაათი დღით ადრე ან პრეზიდენტის თანამდებობის გათავისუფლებიდან ათი დღის შემდეგ იწყება რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები და სრულდება არჩევნების დაწყების თარიღიდან ოცდაათი დღის განმავლობაში. ამ ვადის პირველ ათ დღეში სრულდება კანდიდატთა წარდგენა კრების პრეზიდიუმში, დარჩენილ ოც დღეში კი არჩევნები უნდა დასრულდეს.

თუ კენჭისყრის პირველ ორ ტურში, რომელიც ტარდება მინიმუმ სამდღიანი ინტერვალებით, ვერ მოხერხდა წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედის უმრავლესობის უზრუნველყოფა, ტარდება კენჭისყრის მესამე ტური, პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრის მესამე ტურში ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას. თუ ამ ტურშიც ვერ მოხერხდა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის უზრუნველყოფა, ტარდება კენჭისყრის მეოთხე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც მესამე ტურში მიიღეს ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა; თუ ამ კენჭისყრის დროსაც წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, თურქეთის დიდი ეროვნული კრება დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ.

მანამ, სანამ ახლადარჩეული პრეზიდენტი შეუდგებოდეს საკუთარი მოვალეობების შესრულებას, საპრეზიდენტო უფლებამოსილების განხორციელებას აგრძელებს ყოფილი პრეზიდენტი.



## C. ფიცის დადება

მუხლი 103 – რესპუბლიკის პრეზიდენტი მანამ, სანამ შეუდგებოდეს საკუთარი მოვალეობების აღსრულებას, თურქეთის დიდი ეროვნული კრების წინაშე წარმოთქვამს შემდეგი სახის ფიცს:

„რესპუბლიკის პრეზიდენტის რანგში დიდი თურქი ერისა და მისი ისტორიის წინაშე ვფიცავ ღირსებითა და სინდისით დავიცვა სახელმწიფოს არსებობა და დამოუკიდებლობა, სამშობლოს და ერის განუყოფელი ერთიანობა, ერის უპირობო სუვერენიტეტი; დავრჩე კონსტიტუციისა და სამართლის უზენაესობის, დემოკრატიის, ათათურქის რევოლუციური ცვლილებებისა და საერო რესპუბლიკის პრინციპების მომხრე; არ გადავუხვიო ერის კეთილდღეობის, ეროვნული სოლიდარობისა და სამართლიანობის პირობებში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების იდეალებს; დავიცვა თურქეთის რესპუბლიკის პატივი და ღირსება; გამოვიყენო ჩემი ძალები აღებული მოვალეობების უპირობო აღსრულებისათვის".

## D. მოვალეობები და უფლებამოსილება

მუხლი 104 – რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური.

ამ რანგში ის წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკას და თურქი ერის ერთიანობას; ის კონტროლს უწევს კონსტიტუციის გამოყენებას და სახელმწიფო ორგანოთა მოწესრიგებულ და შეთანხმებულ მუშაობას.

ქვემოთ მოყვანილია კონსტიტუციის მუხლებში წარმოჩენილი პირობების შესაბამისად მის მიერ განხორციელებადი მოვალეობები და უფლებამოსილებები.

ა) საკანონმდებლო ხელისუფლების სფეროში

საჭიროდ ჩათვლის შემთხვევაში, საკანონმდებლო წლის პირველ დღეს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომაზე გახსნის სიტყვის წარმოთქმა,

საჭიროების შემთხვევაში თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომის მოწვევა,

კანონთა პრომულგაცია,

თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში კანონთა დაბრუნება, მათი ხელმეორედ განხილვისათვის,

აუცილებლად მიჩნევის შემთხვევაში კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით კანონთა რეფერენდუმზე გატანა,

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის აღძვრა კანონების, კანონის ძალის მქონე დადგენილებების, თურქეთის დიდი ეროვნული კრების შიდარეგლამენტის სრულად ან ნაწილობრივ შეცვლისთვის, იმ მიზეზით, რომ ისინი თავის ფორმით და არსით ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში

პრემიერ-მინისტრის დანიშვნა და მისი გადადგომის დაკმაყოფილება,

პრემიერ-მინისტრის წარდგენით მინისტრთა დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება,

საჭიროდ ჩათვლის შემთხვევაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა, ან მინისტრთა საბჭოს სხდომის მოწვევა საკუთარი თავმჯდომარეობით,

უცხო სახელმწიფოებში თურქეთის სახელმწიფოს წარმომადგენელთა გაგზავნა და თურქეთის სახელმწიფოში აკრედიტირებული უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიღება,

საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირება და პრომულგაცია,

თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელით თურქეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა,

თურქეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება,

გენერალური შტაბის უფროსის დანიშვნა,

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა,

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის თავმჯდომარეობა,

საკუთარი თავმჯდომარეობით შეკრებილი მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და კანონის ძალის მქონე დადგენილებების გამოცემა,

დადგენილებების ხელმოწერა,

მუდმივი ავადმყოფობის, უძლურების, ან სიბერის მიზეზით გარკვეული პირების სასჯელთა შემსუბუქება, ან მიტევება,

სახელმწიფო კონტროლის საბჭოს წევრთა და თავმჯდომარის დანიშვნა

სახელმწიფო კონტროლის საბჭოსათვის გამოძიება, გამოკვლევის და კონტროლების ფუნქციების დაკისრება,

უმაღლესი განათლების საბჭოს წევრთა არჩევა,

უნივერსიტეტთა რექტორების არჩევა.

c) სასამართლო ხელისუფლების სფეროში

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების, სახელმწიფო საბჭოს (დანიშტაი) წევრთა მეოთხედი ნაწილის, რესპუბლიკის გენერალური პროკურორისა და რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის, უმაღლესი სამხედრო სააპელაციო სასამართლოს წევრების, უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული სასამართლოს წევრების, მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევა.

რესპუბლიკის პრეზიდენტი, კონსტიტუციისა და კანონების მიერ მინიჭებული არჩევისა და დანიშვნის მოვალეობასთან ერთად იყენებს აგრეთვე სხვა უფლებამოსილებებს და ასრულებს მოვალეობებს.

## E. პასუხისმგებლობა და უპასუხისმგებლობა

მუხლი 105 – რესპუბლიკის პრეზიდენტი დამოუკიდებლად აწერს ხელს ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელთა შესახებ კონსტიტუციისა და კანონებში მი-



თითებულია, რომ არ არის აუცილებელი პრემიერ-მინისტრისა და შესაბამისი მინისტრის ხელმოწერა. სხვა ყველა გადაწყვეტილებას ხელს აწერენ პრემიერ-მინისტრი და შესაბამისი მინისტრები, ამ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ პრემიერ-მინისტრს და შესაბამის მინისტრებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დამოუკიდებლად ხელმოწერილი გადაწყვეტილების და ბრძანებულებების წინააღმდეგ არ შეიძლება სასამართლო ინსტანციებში, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა.

რესპუბლიკის პრეზიდენტი, სამშობლოს ღალატის გამო, თურქეთის დიდი ეროვნული კრების სრული შემადგენლობის წევრთა მინიმუმ ერთი მესამედის წინადადებით და წევრთა სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას ბრალდებული.

## F. რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შეთავსება

მუხლი 106 – რესპუბლიკის პრეზიდენტის ავადმყოფობის, ქვეყნის გარეთ გამგზავრების მიზეზით მოვალეობების დროებით მიტოვების შემთხვევაში მის დაბრუნებამდე აგრეთვე სიკვდილის, გადადგომის, ან სხვა რომელიმე მიზეზის შედეგად პრეზიდენტის თანამდებობის განთავისუფლებისას, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე ამ თანამდებობას იკავებს თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე და ახორციელებს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს.

## G. რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური სამდივნო

მუხლი 107 – რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური სამდივნო, მისი ორგანიზაცია და საქმიანობის პრინციპები აგრეთვე თანამშრომლების დანიშვნის პროცედურები ხორციელდება რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით.

## H. სახელმწიფო კონტროლის საბჭო

მუხლი 108 – რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო კონტროლის საბჭო სამართლებრივი ნორმების მართვის უზრუნველყოფისა და მათი ეფექტურად და პროდუქტიულად საქმიანობის განვითარებისათვის, რესპუბლიკის პრეზიდენტის მითითებით ახორციელებს სახელმწიფო ორგანოების და დაწესებულებების აგრეთვე ყოველგვარი სხვა ორგანიზაციის კონტროლს და შემოწმებას, რომლის კაპიტალის ნახევარზე მეტი ჩადებულია აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში. კონტროლის ქვემდებარეა აგრეთვე პროფესიონალური გაერთიანებები, რომელთაც გააჩნიათ სახელმწიფო ორგანიზაციის სტატუსი, ნებისმიერი საფეხურის მშრომელთა და მეწარმეთა პროფესიული ორგანიზაცია, საქველმოქმედო ფონდები და საზოგადოებები.

შეიარაღებული ძალები და სასამართლო ორგანოები სახელმწიფო კონტროლის საბჭოს მხრიდან არ ექვემდებარებიან შემოწმებას.

სახელმწიფო კონტროლის საბჭოს წევრებს და თავმჯდომარეს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონში განსაზღვრული თვისებების მქონე პირებისაგან.

სახელმწიფო კონტროლის საბჭოს ფუნქციონირება, წევრთა უფლებამოსილე-ბის ვადები და სხვა პერსონალური საკითხები რეგულირდება კანონით.

## II. მინისტრთა საბჭო

### A. სტრუქტურა

მუხლი 109 – მინისტრთა საბჭო შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინის-ტრებისაგან.

პრემიერ-მინისტრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა რიგებიდან.

მინისტრებს წარადგენს პრემიერ-მინისტრი, თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა რიგებიდან ან სხვა პირებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ დეპუტატად არჩევისათვის საჭირო ყველა მოთხოვნას და ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ; საჭიროების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, პრეზიდენტს შეუძლია მინისტრი გაანთავისუფლოს საჯარო მოვალეობების შეს-რულებისაგან.

### B. მოვალეობათა აღსრულების დაწყება და ნდობის ვოტუმი

მუხლი 110 – მინისტრთა საბჭოს სრული სია წარედგინება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას. თურქეთის დიდი ეროვნული კრება თუ არდადეგებზე იმყო-ფება, ხდება მისი სხდომაზე მოწვევა.

მინისტრთა საბჭოს პროგრამას, მისი ფორმირებიდან არა უგვიანეს ერთი კვი-რისა, თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში წარადგენს პრემიერ-მინისტრი ან რო-მელიმე მინისტრი, რის შემდეგაც უნდა გადაწყდეს მინისტრთა საბჭოსათვის ნდო-ბის ვოტუმის გამოცხადების საკითხი. განხილვა იწყება პროგრამის წაკითხვიდან ორი სრული დღის განვლის შემდეგ, ხოლო განხილვის დასრულებიდან ერთი სრუ-ლი დღის ამოწურვისთანავე ტარდება კენჭისყრა.

### C. ნდობის ვოტუმის საკითხი მოვალეობათა შესრულების დროს

მუხლი 111 – პრემიერ-მინისტრს, საჭიროდ მიჩნევის შემთხვევაში, მინის-ტრთა საბჭოში საკითხის განხილვის შემდეგ, შეუძლია მიმართოს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას ნდობის ვოტუმის გამოტანის შესახებ.

ნდობის გამოტანის საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნეს, მისი თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში შემოსვლიდან ერთი სრული დღის ამოწურვის გარეშე და ჩატარდეს კენჭისყრა განხილვების დამთავრებიდან ერთი სრული დღის ამოწურ-ვის გარეშე.

ნდობის შესახებ წინადადება შეიძლება უარყოფილ იქნეს მხოლოდ წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.



### D. მოვალეობა და პოლიტიკური პასუხისმგებლობა

მუხლი 112 – პრემიერ-მინისტრი, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, უზრუნველყოფს სამინისტროებს შორის თანამშრომლობას და კონტროლს უწევს მთავრობის საერთო პოლიტიკის განხორციელებას. მინისტრთა საბჭო ერ-თობლივად პასუხისმგებელია ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ყოველი მინისტრი პასუხისმგებელია პრემიერ-მინისტრის წინაშე, ამას გარდა ის პასუხს აგებს აგრეთვე საკუთარი კომპეტენციის სფეროში წარმოებული საქ-მეებისათვის და იმ პირთა მოქმედებებისა და საქციელისათვის, რომლებიც იმყო-ფებიან მის განკარგულებაში.

პრემიერ-მინისტრი თვალყურს ადევნებს მინისტრებს, რათა მათ შეასრულონ საკუთარი მოვალეობები კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად და იღებს ზომებს გამოსასწორებელი ხარვეზების გადაჭრისათვის.

მინისტრთა საბჭოს წევრები არ არიან დეპუტატები, წარმოთქვამენ ფიცს თურქეთის დიდი ეროვნული კრების წინაშე 81-ე მუხლში დადგენილი ფორ-მით და მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში იყენებენ დეპუტატისთვის გათვალისწინებულ პირობებსა და მოთხოვნებს, ფლობენ საკანონმდებლო ხელშეუხებ-ლობას. მათ ისევე როგორც თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრებს, ეძ-ლევათ დაჯილდოებები – პრემიები და საგზაო დანახარჯები.

### E. სამინისტროთა ფორმირება და მინისტრები

მუხლი 113 – სამინისტროთა ფორმირება, გაუქმება, კომპეტენცია და სტრუქტურული ორგანიზაცია განისაზღვრება კანონით.

მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში, როდესაც რო-მელიმე მინისტრი შვებულებაშია, ან ვერ ასრულებს მოვალეობებს სხვა საპატიო მიზეზით, ერთ-ერთი მინისტრი დროებით ცვლის მას თანამდებობაზე, მაგრამ ერთ მინისტრს არ შეუძლია შეითავსოს ერთზე მეტი მინისტრის ვაკანტური თანამდე-ბობა.

მინისტრი, რომლის შესახებაც საკითხი თურქეთის დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილების მიხედვით გადაეცა უმაღლეს სასამართლოს, ტოვებს მინისტრის თანამდებობას. თუ უმაღლეს სასამართლოში გადაეცემა პრემიერ-მინისტრის საქ-მე, მაშინ მთელი მთავრობა ავტომატურად გადამდგარად ითვლება.

ამა თუ იმ მიზეზით განთავისუფლებულ მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება არა უგვიანეს თხუთმეტი დღის განმავლობაში.

### F. არჩევნების პერიოდში დროებითი მინისტრთა საბჭო

მუხლი 114 – თურქეთის დიდი ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნების დაწყებამდე იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ტრანსპორტის მინისტრები აკეთებენ განცხადებას გადადგომის შესახებ. ამ თანამდებობებზე საყოველთაო არჩევნების ჩატარებამდე სამი დღით ადრე ინიშნებიან პირები თურქეთის დიდი ეროვნული

კრების რიგებიდან, ან მის გარედან მოსული დამოუკიდებელი პირებისაგან. ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ თანამდებობებზე დანიშვნა ხდება, არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში.

116-ე მუხლის შესაბამისად ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მინისტრთა საბჭო სრული შემადგენლობით აკეთებს განცხადებას გადადგომის შესახებ, რის შემდეგაც რესპუბლიკის პრეზიდენტი დროებითი მინისტრთა საბჭოს ფორმირების მიზნით ნიშნავს პრემიერ-მინისტრს.

დროებითი მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა ფორმირდება პარტიათა საპარლამენტო ფრაქციების წევრებისაგან, მათი რაოდენობრივი პროპორციების გათვალისწინებით, ხოლო იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ტრანსპორტის მინისტრების დანიშვნა ხდება თურქეთის დიდი ეროვნული კრების დამოუკიდებელ წევრთა რიგებიდან, ან კრების გარედან.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე განსაზღვრავს პარტიული ფრაქციებიდან მთავრობაში გადასაყვან წევრთა რაოდენობას და აცნობებს ამის შესახებ პრემიერ-მინისტრს. პარტიიდან დანიშნული მინისტრის თანამდებობის განთავისუფლების შემთხვევაში, მის ადგილას თურქეთის დიდი ეროვნული კრების შემადგენლობიდან, ან მის გარედან ინიშნება დამოუკიდებელი წარმომადგენელი.

დროებითი მინისტრთა საბჭო ფორმირდება „რესმი გაზეთში" ვადამდელი არჩევნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების გამოქვეყნებიდან ხუთი დღის განმავლობაში.

დროებითი მინისტრთა საბჭოს მიმართ ნდობის ვოტუმის გამოცხადების პრაქტიკა არ გამოიყენება.

დროებითი მინისტრთა საბჭო ახორციელებს თავის მოვალეობებს არჩევნების ჩატარების პერიოდში, თურქეთის დიდი ეროვნული კრების ახალი სესიის მოწვევამდე.

## G. ინსტრუქციები

მუხლი 115 — მინისტრთა საბჭოს შეუძლია კანონთა გამოყენების უზრუნველყოფისა და საკუთარი პრეროგატივებით გათვალისწინებული საქმეების განსახორციელებლად გამოსცეს ინსტრუქციები, იმ პირობით, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კანონებს და გაივლის შემოწმებას სახელმწიფო საბჭოში (დანიშთაი).

ინსტრუქციებს ხელს აწერს რესპუბლიკის პრეზიდენტი და ქვეყნდება კანონების მსგავსად.

## H. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თურქეთის დიდი ეროვნული კრების ვადამდელი არჩევნების ჩატარება

მუხლი 116 — თუ მინისტრთა საბჭო 110-ე მუხლის მიხედვით ვერ მიიღებს ნდობის ვოტუმს, ან თუ მინისტრთა საბჭოს 99-ე და 111-ე მუხლების მიხედვით



გამოუცხადებენ უნდობლობას, მთავრობა იძულებული შეიქმნება გადადგეს, ხოლო ამის შემდეგ ორმოცდაათი დღის განმავლობაში ვერ იქნა უზრუნველყოფილი ახალი მინისტრთა საბჭოს ფორმირება ან მისი ფორმირების შემთხვევაშიც თუ შეუძლებელი შეიქმნება ნდობის ვოტუმის გამოცხადება, პრეზიდენტს შეუძლია თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარესთან შეთანხმებით მიიღოს გადაწყვეტილება ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ.

რესპუბლიკის პრეზიდენტს, ეროვნული კრების თავმჯდომარესთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემდეგ, რაც არ არის დაკავშირებული უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებასთან, ორმოცდაათი დღის განმავლობაში, ან ახლად არჩეული თურქეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის არჩევიდან ორმოცდაათი დღის განმავლობაში ვერ იქნა უზრუნველყოფილი მინისტრთა საბჭოს ფორმირება.

ვადამდელი არჩევნების შესახებ გადაწყვეტილება გამოქვეყნდება „რესმი გაზეთში", ამის შემდეგ კი ტარდება არჩევნები.

## I. ეროვნული თავდაცვა

### 1. მთავარსარდლობა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა

მუხლი 117 — უმაღლეს მთავარსარდალს წარმოადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტი. უმაღლესი მთავარსარდლობა თურქეთის დიდი ეროვნული კრების მორალური არსისაგან განუყოფელია.

მინისტრთა საბჭო თურქეთის დიდი ეროვნული კრების წინაშე პასუხისმგებელია ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და შეიარაღებული ძალების ქვეყნის დაცვისთვის მომზადებაზე.

გენერალური შტაბის უფროსი, არის რა შეიარაღებული ძალების მეთაური, ომის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით ახორციელებს უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობებს.

გენერალური შტაბის უფროსს, მინისტრთა საბჭოს წარდგინებით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. მისი მოვალეობები და კომპეტენციის სფეროები განისაზღვრება კანონით. გენერალური შტაბის უფროსი ამ მოვალეობებისა და კომპეტენციების გამო პასუხისმგებელია პრემიერ-მინისტრის წინაშე.

ეროვნული თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის და შეიარაღებული ძალების სარდლობის მოვალეობები და კომპეტენციის სფეროები განისაზღვრება კანონით.

### 2. ეროვნული უშიშროების საბჭო

მუხლი 118 — ეროვნული უშიშროების საბჭო იკრიბება რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, მასში შედიან პრემიერ-მინისტრი, გენერალური

შტაბის უფროსი, ეროვნული თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა მინისტრები, სამხედრო-სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ძალების და ჟანდარმერიის მეთაურები.

დღის წესრიგის თავისებურებებიდან გამომდინარე, საბჭოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ და განხილვაში მონაწილეობა მიიღონ დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებულმა შესაბამისმა მინისტრმა ან სხვა პირებმა.

ეროვნული უშიშროების საბჭო, სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკის განსაზღვრის, დამტკიცებისა და გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს და კოორდინირების უზრუნველყოფის მიზნით წარმოებული განხილვების შედეგებს აცნობებს მინისტრთა საბჭოს. სახელმწიფოს და მისი დამოუკიდებლობის, ქვეყნის ერთიანობის და განუყოფლობის, საზოგადოებრივი სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებში ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ აუცილებლად მიჩნეული ზომების გატარებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს მინისტრთა საბჭო პირველ რიგში ითვალისწინებს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს დღის წესრიგს, პრემიერ-მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის წინადადებათა გათვალისწინებით ადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში ეროვნული უშიშროების საბჭო იკრიბება პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით.

ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური სამდივნოს ორგანიზაცია და მოვალეობები რეგულირდება კანონით.

## III. საგანგებო მმართველობის წესები

### A. საგანგებო მდგომარეობის ფორმები

#### 1. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სტიქიური უბედურებებისა და მძიმე ეკონომიკური კრიზისის შედეგად

**მუხლი 119** – სტიქიური უბედურებების, სახიფათო ინფექციური დაავადებების ან მძიმე ეკონომიკური კრიზისის შემთხვევებში, რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით შეკრებილ მინისტრთა საბჭოს შეუძლია გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა ქვეყნის ერთ ან რამოდენიმე რეგიონში ან მთელს ქვეყანაში. საგანგებო მდგომარეობის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს თვეს.

#### 2. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ძალადობის აქტების გავრცელებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევების პირობებში

**მუხლი 120** – კონსტიტუციით დადგენილი თავისუფალი, დემოკრატიული წყობის ან ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მოსასპობად



მიმართული საყოველთაო ძალადობრივი ქმედებების სერიოზული გამოვლინების, ან ძალადობრივი აქტების შედეგად საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევის შემთხვევებში რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით შეკრებილ მინისტრთა საბჭოს, ეროვნული უშიშროების საბჭოს შეხედულებათა გათვალისწინებით, შეუძლია გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა ერთ ან რამოდენიმე რეგიონში, ან მთელს ქვეყანაში. საგანგებო მდგომარეობის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს თვეს.

#### 3. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ნორმები

**მუხლი 121** – კონსტიტუციის 119-ე და 120-ე მუხლების შესაბამისად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილება გამოქვეყნდება „რესმი გაზეთში" და დაუყოვნებლივ წარედგინება დასამტკიცებლად თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას. თუ ეროვნული კრება იმყოფება არდადეგებზე, ხდება მისი დაუყოვნებლივი მოწვევა. კრებას შეუძლია შეცვალოს საგანგებო მდგომარეობის ვადები, ან მინისტრთა საბჭოს წინადადებით გააგრძელოს ის, ყოველ ჯერზე არაუმეტეს ოთხი თვის ვადისა, ან გააუქმოს საგანგებო მდგომარეობა.

119-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში, კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ არეგულირებს მოქალაქეთა ფულად, ქონებრივ და შრომით მოვალეობებს, განსაზღვრავს თუ რა სახის საგანგებო მდგომარეობის დროს იზღუდება ან უქმდება კონსტიტუციის მე-15 მუხლის პრინციპებით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თუ რა და როგორი სახის ზომები იქნება გამოყენებული, როგორი ცვლილებები მოხდება თანამდებობის პირთა მდგომარეობაში და აგრეთვე საგანგებო მდგომარეობის პირობებში, როგორი იქნება მართვის მეთოდები.

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში პრეზიდენტის თავმჯდომარეობით შეკრებილ მინისტრთა საბჭოს, საგანგებო მდგომარეობის შედეგად გამოწვეულ საკითხებთან დაკავშირებით, შეუძლია გამოსცეს კანონის ძალის მქონე დადგენილებები. ეს დადგენილებები გამოქვეყნდება „რესმი გაზეთში" და იმავე დღეს დასამტკიცებლად წარედგინება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას. კრების მიერ ასეთი დადგენილებების დამტკიცებასთან დაკავშირებული ვადები და წესები განისაზღვრება შიდა რეგლამენტით.

### B. სამხედრო მდგომარეობა, მობილიზაცია და საომარი მდგომარეობა

**მუხლი 122** – კონსტიტუციით აღიარებული თავისუფალი, დემოკრატიული წყობის და ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მოსპობისათვის მიმართული ძალადობრივი ქმედებების გავრცელებისა, ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობის გამომწვევ ფაქტებზე უფრო სახიფათო მოვ-

ლეჩების, ან ისეთი სოციალური წარმოქმნისას, რომელსაც შეუძლია განაპირობოს საომარი მოქმედებებისა და ეპიდემიების გავრცელება, სამშობლოსა და რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების აგრეთვე ძალადობრივი აქტების გავრცელება, რომელიც შიგნიდან ან გარედან საფრთხის ქვეშ დააყენებს ქვეყნისა და ერის ერთიანობას, პრეზიდენტის თავმჯდომარეობით შეკრებილ მინისტრთა საბჭოს, ეროვნული უშიშროების საბჭოს შეხედულებათა გათვალისწინებით, შეუძლია გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა ერთ ან რამოდენიმე რეგიონში ან მთელს ქვეყანაში ვადით, რომელიც არ აღემატება ექვს თვეს. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება „რესმი გაზეთში“ და იმავე დღეს დასამტკიცებლად წარედგინება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას. თუ ეროვნული კრება იმყოფება არდადეგებზე ხდება მისი დაუყოვნებელი მოწვევა. თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას, თუ საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია შეამციროს ან გაზარდოს საგანგებო მდგომარეობის ვადები ან გააუქმოს ის.

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, პრეზიდენტი თავმჯდომარეობით შეკრებილ მინისტრთა საბჭოს, საგანგებო მდგომარეობით გამოწვეულ აუცილებელ საკითხებთან დაკავშირებით შეუძლია გამოსცეს კანონის ძალის მქონე დადგენილებები.

ეს დადგენილებები ქვეყნდება „რესმი გაზეთში“ და იმავე დღეს დასამტკიცებლად წარედგინება თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას. ეროვნული კრების მიერ ამ დადგენილებების დამტკიცებასთან დაკავშირებული ვადები და წესები განისაზღვრება შიდა რეგლამენტით.

საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება, თითოეულ ჯერზე ოთხი თვის ვადით დამოკიდებულია თურქეთის დიდი ეროვნული კრების გადაწყვეტილებაზე საომარი მოქმედებების პირობებში ოთხი თვის ვადით გაგრძელების პროცედურის ჩატარება აუცილებელი არ არის.

საგანგებო მდგომარეობის, მობილიზაციის და საომარი მდგომარეობის პირობებში კანონით განისაზღვრება: შესაბამისი დადგენილებების მიღება, განხორციელების საქმიანობათა ფორმები, ურთიერთობები ადმინისტრაციასთან, თავისუფლებათა შეზღუდვის ან შეჩერების პირობები და აგრეთვე ომის პირობებში ან საომარი მოქმედებების შესაძლო გაჩენის პირობებში მოქალაქეებისათვის დაკისრებული მოვალეობები.

საგანგებო მდგომარეობის მეთაურები, პასუხობენ რა საკუთარ მოვალეობებს, იმყოფებიან გენერალური შტაბის დაქვემდებარების ქვეშ.

## IV. ადმინისტრაცია

### A. ადმინისტრაციული მმართველობის საფუძვლები

#### 1. ადმინისტრაციული მმართველობის ერთიანობა და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტატუსი

მუხლი 123 – ადმინისტრაციული მმართველობა არის ერთიანი, მისი სტრუქტურა და მოვალეობები განისაზღვრება კანონით.



ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა და მოვალეობები ეფუძნება ცენტრიდან ხელმძღვანელობისა და ადგილებიდან ხელმძღვანელობის პრინციპებს.

საზოგადოებრივ-იურიდიული სტატუსის შექმნა ხორციელდება მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების აღსრულებისათვის.

#### 2. ინსტრუქციები

მუხლი 124 – პრემიერ მინისტრის, სამინისტროს აპარატს ან საზოგადოებრივ-იურიდიულ პირს, საკუთარ მოვალეობებთან დაკავშირებულ სფეროებში, კანონებისა და წესდებების აღსრულების მიზნით, შეუძლია გამოსცეს ინსტრუქციები. იმ პირობით, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კანონებსა და წესდებებს.

კანონით განისაზღვრება, თუ როგორი ინსტრუქცია უნდა გამოქვეყნდეს „რესმი გაზეთში“.

### B. სასამართლო კონტროლის შესაძლებლობა

მუხლი 125 – ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერი ქმედებისა და საქმიანობის წინააღმდეგ შესაძლებელია სასამართლოში საქმის აღძვრა.

რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული საქმიანობა და უმაღლესი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებები არ ექვემდებარებიან სასამართლო კონტროლს.

ადმინისტრაციის საქმიანობის წინააღმდეგ აღძრული საქმის ვადის ათვლა ხორციელდება წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან.

სასამართლო კომპეტენცია შემოიფარგლება ადმინისტრაციის საქმიანობისა და ფუნქციის სამართლის ნორმებთან შესაბამისობის გაკონტროლებით. არ შეიძლება ისეთი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც შეზღუდავს კანონებში განსაზღვრული ფორმებისა და საფუძვლების შესაბამისად აღსრულებული მოვალეობების განხორციელებას, ან გააუქმებს ადმინისტრაციულ-ფუნქციონალურ საქმიანობასა და ადმინისტრაციული კომპეტენციის აღსრულებას.

ადმინისტრაციული ფუნქციების აღსრულების დროს ძნელადაღმოსაფხვრელი ან გამოუსწორებელი ზარალის მიყენებისა და ადმინისტრაციული საქმიანობის აშკარად კანონსაწინააღმდეგო პირობებში ერთდროულად წინაპირობების შემთხვევაში, შესაბამისი არგუმენტაციის წარდგენით შესაძლებელია აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის შეწყვეტის შესახებ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება.

აღმასრულებელი ორგანოთა საქმიანობის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონით შესაძლებელია შეიზღუდოს საგანგებო, საომარი მდგომარეობის, მობილიზაციის და ომის შემთხვევებში აგრეთვე ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებული მიზეზების გათვალისწინებით.

ადმინისტრაციული მმართველობა ვალდებულია საკუთარი საქმიანობისა და ფუნქციების შედეგად გამოწვეული ზარალი აანაზღაუროს.

## C. ადმინისტრაციული მმართველობის სტრუქტურა

### 1. ცენტრალური ადმინისტრაცია

**მუხლი 126** — თურქეთი, ცენტრალური ადმინისტრაციის სტრუქტურის თვალსაზრისით, გეოგრაფიული მდებარეობის, ეკონომიკური პირობებისა და საზოგადოებრივი მომსახურებების გათვალისწინებით დაყოფილია ილებად, ხოლო ილები კი სხვა უფრო მცირე დანაყოფებად.

ილების ადმინისტრაციული მმართველობა ეფუძნება გაფართოებული კომპეტენციის პრინციპებს.

სახელმწიფო სამსახურებს შორის შეთანხმებული თანამშრომლობისა და ადმინისტრაციულ მმართველობაში ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია შეიქმნას ცენტრალური ადმინისტრაციის ორგანო, რომელიც მოიცავს ერთზე მეტ ილს. ასეთი ადმინისტრაციის მოვალეობები და კომპეტენცია რეგულირდება კანონით.

### 2. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები

**მუხლი 127** — (შეცვლილია) ადგილობრივი მმართველობის ორგანოები არიან საზოგადოებრივ-იურიდიული პირები, რომლებიც ფორმირდება არჩევნების გზით ილების, მუნიციპალიტეტების და სოფლის მოსახლეობის საერთო ადგილობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. მათი ორგანიზაციული საფუძვლები და სამართლებრივი ორგანოები განისაზღვრება კანონით.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სტრუქტურა, მოვალეობები და კომპეტენცია, ადგილობრივი ადმინისტრაციული მმართველობის პრინციპების შესაბამისად რეგულირდება კანონით.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა არჩევნები ტარდება კონსტიტუციის 67-ე მუხლის პრინციპების შესაბამისად ერთხელ ხუთ წელიწადში. მაგრამ საყოველთაო ან დამატებითი არჩევნებამდე, ან შემდეგ ერთი წლის განმავლობაში საჭიროება თუ მოითხოვს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არჩევნების ჩატარებას, მაშინ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და საყოველთაო ან დამატებითი არჩევნები ჩატარდება ერთდროულად. მსხვილი დასახლებული ცენტრებისათვის კანონს შეუძლია დააწესოს სპეციალური მმართველობის ფორმები.

ადმინისტრაციულ მმართველობით ორგანოებში არჩეულ პირთა უფლებამოსილების არჩევნის, გასაჩივრების ან შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება სასამართლოს მიერ. მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე, როგორც დროებითი ზომა, შეუძლია მოვალეობის შესრულება შეუჩეროს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, ან ამ ორგანოთა წევრებს, რომელთა მიმართ დაწყებულია გამოძიება სამუშაო მოვალეობების აღსრულების დროს ჩადენილი დანაშაულის მიზეზით.

ადგილობრივი სამსახურებრივი საქმიანობისა და სახელმწიფოებრივი მოვალეობების განხორციელებაში ერთიანი მმართველობის პრინციპების შესაბამისობის



უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და ადგილობრივი საჭიროების სათანადოდ დაკმაყოფილებისათვის, ცენტრალური ადმინისტრაცია კანონით განსაზღვრული წესის საფუძველზე ფლობს ადგილობრივ ორგანოებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის კომპეტენციას.

გარკვეული საზოგადოებრივი სამსახურების შესრულების მიზნით ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შორის, მინისტრთა საბჭოს ნებართვის შესაბამისად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა მოვალეობები, კომპეტენცია, ფინანსური საქმიანობის წარმოება და აგრეთვე მათი კავშირები და ურთიერთობა ცენტრალურ ადმინისტრაციასთან რეგულირდება კანონით. ეს ადმინისტრაციები იღებენ ფინანსურ უზრუნველყოფასა და შემოსავლებს მათ მიერ განსახორციელებელი მოვალეობების შესაბამისი ოდენობით.

## D. სახელმწიფო მოსამსახურეებთან დაკავშირებული დებულებები

### 1. ზოგადი პრინციპები

**მუხლი 128** — სახელმწიფოს, სახელმწიფოებრივი ეკონომიკური ორგანიზაციების და სხვა იურიდიული პირის სტატუსის მქონე სახელმწიფოებრივი გაერთიანებების საქმიანობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული მმართველობის საერთო საფუძვლებს, ხორციელდება მოსამსახურეებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეთა მეშვეობით.

მოსამსახურეებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეთა წინაშე წაყენებული მოთხოვნები, მათი დანიშვნის წესი, კომპეტენცია, უფლებები და მოვალეობები, თვიური ანაზღაურება და დოტაცია, აგრეთვე სხვა პერსონალური საკითხები რეგულირდება კანონით.

უმაღლესი საფეხურის ხელმძღვანელთა მომზადების პრინციპები და მეთოდები სპეციალურად რეგულირდება კანონით.

### 2. მოვალეობები და პასუხისმგებლობა

**მუხლი 129** — მოსამსახურეები და სხვა სახელმწიფოებრივი მოხელეები ვალდებულნი არიან იმოქმედონ კონსტიტუციისა და სხვა კანონების ერთგულებით.

მოსამსახურეებს და სხვა სახელმწიფო მოხელეებს, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულების სტატუსის მქონე პროფესიული გაერთიანების წარმომადგენლებს და მათ ხელმძღვანელებს არ შეიძლება დაეკისროთ დისციპლინარული სასჯელი დაცვის უფლების აღიარების გარეშე.

დისციპლინისა და შეურაცხყოფის მიყენების ბრალდებათა გამოკლებით, სხვა დისციპლინარული სასჯელები ექვემდებარება სასამართლო გარჩევასა და კონტროლს.

შეიარაღებული ძალების შემადგენლობის, მოსამართლეების და პროკურორების შესახებ დებულებები შენარჩუნებულია.

მოსამსახურეებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეთა მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ საჩივრები, კანონში გათვალისწინებული წესებისა და ფორმის გათვალისწინებით შეიძლება აღძრულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

მოსამსახურეების და სხვა სახელმწიფო მოხელეთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამო სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, დამოკიდებულია კანონში მითითებული ადმინისტრაციული ინსტანციის ნებართვაზე.

## E. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები და მათი ხელმძღვანელი ორგანოები

### 1. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები

**მუხლი 130** — უნივერსიტეტებს, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა დაწესებულებები, ფლობენ სამეცნიერო ავტონომიისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს, ქვეყნის ადამიანური რესურსებისა და ერის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, თანამედროვე განათლებისა და აღზრდის მიღწევებზე დაყრდნობით, შესაბამისი კანონით ძალით აფუძნებს სახელმწიფო. უნივერსიტეტები კომპლექტდება საშუალო სასწავლო დაწესებულებათა კურსდამთავრებულთა ბაზაზე და ამზადებენ სხვადასხვა სფეროების მასწავლებლებს, სამეცნიერო-კვლევით კადრებს, სახელმწიფო საქმის მუშაკებს და კონსულტანტებს, პირებს, რომელთაც შეუძლიათ ემსახურონ ქვეყანას და მთელ კაცობრიობას.

კანონში მითითებული წესისა და პრინციპების მიხედვით, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მიზნად არ იქნება დასახული შემოსავლების მიღება, სახელმწიფოს ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები შეიძლება დააფუძნონ საქველმოქმედო ფონდებმაც.

კანონით გათვალისწინებულია აგრეთვე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნივერსიტეტების თანაბარი განაწილება.

უნივერსიტეტებს, მასწავლებელთა საბჭოს წევრებს და თანამშრომლებს შეუძლიათ თავისუფლად განახორციელონ სამეცნიერო გამოკვლევები და გამოაქვეყნონ საკუთარი ნაშრომები. მაგრამ ეს უფლება არ ნიშნავს იმათი საქმიანობის წარმოების უფლებას, რომელიც მიმართული იქნება სახელმწიფოს არსებობისა და დამოუკიდებლობის, ქვეყნისა და ერის განუყოფელი ერთობის წინააღმდეგ.

უნივერსიტეტებსა და მათ ფილიალებში, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს ზედამხედველობისა და კონტროლის, ქვეშ უსაფრთხოების ზომების განხორციელებასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო.

კანონით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად, რექტორები რესპუბლიკის პრეზიდენტის, ხოლო დეკანები კი უმაღლესი განათლების საბჭოს მიერ აირჩევა და ინიშნება.



უნივერსიტეტების მმართველი ორგანოების წევრები და მასწავლებლები არ შეიძლება განთავისუფლდნენ საკუთარი მოვალეობების შესრულებისაგან უმაღლესი განათლების საბჭოს ან უნივერსიტეტის კომპეტენტური ორგანოების გარდა სხვა თანამდებობის პირებმა და ინსტანციებმა.

უნივერსიტეტების მიერ მომზადებული ბიუჯეტები, უმაღლესი განათლების საბჭოს განხილვისა და დამტკიცების შემდეგ გადაეცემა ეროვნული განათლების სამინისტროს. ის შედის ძალაში და კონტროლირდება საერთო და ნაერთ ბიუჯეტთან დაკავშირებული საზოგადო პრინციპების შესაბამისად.

კანონით რეგულირდება: უმაღლესი სასწავლო დაწესებულებათა სისტემა, საუნივერსიტეტო ორგანოთა სტრუქტურა და ფუნქციონირება, მათი არჩევის წესები, კომპეტენცია და პასუხისმგებლობა; უნივერსიტეტებზე სახელმწიფოს მიერ ზედამხედველობისა და კონტროლის მეთოდების რეალიზაცია; მასწავლებელთა საბჭოს წევრთა მიზნები, მათი წოდება, დანიშვნა, თანამდებობრივი დაწინაურება და პენსიაში გასვლა; უნივერსიტეტებისა და მასწავლებლების ურთიერთობა სახელმწიფო ორგანიზაციებთან და სხვა დაწესებულებებთან; სწავლების დონეთა განსაზღვრა და სწავლების ვადები; უმაღლესი განათლების სისტემაში გაწევრიანების პირობები, ხელფასების გადახდა; სახელმწიფოს მხრიდან დახმარების აღმოჩენის პრინციპები; დისციპლინისა და სასჯელის საკითხები. პერსონალური უფლებები, მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებული პირობები, უნივერსიტეტების მოთხოვნების შესაბამისად მასწავლებელთა თანამდებობაზე დანიშვნა, თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური საჭიროებების მიხედვით სწავლებისა და განათლების გარანტირებული და თავისუფლად განხორციელების უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების საბჭოსა და უნივერსიტეტებისთვის გამოყოფილი ფინანსური წყაროების გამოყენება.

საქველმოქმედო ფონდების მიერ შექმნილი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, მათი აკადემიური მისწრაფების, მასწავლებელთა საბჭოს წევრთა უზრუნველყოფის და უსაფრთხოების საკითხებში, ფინანსური და ადმინისტრაციული სფეროების გამოკლებით, ექვემდებარებიან სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების შესახებ კონსტიტუციის დებულებებს.

### 2. უმაღლესი განათლების სისტემის ხელმძღვანელი ორგანოები

**მუხლი 131** — უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლების დაგეგმარების, ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, სწავლების მიმართულებათა განსაზღვრის, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში განათლებისა და სწავლების და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფისთვის, ამ დაწესებულებების კანონით განსაზღვრული მიზნებითა და პრინციპების შესაბამისად დაარსებისათვის, განვითარებისათვის და უნივერსიტეტებისთვის გამოყოფილი ფინანსური წყაროების ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფისათვის და მასწავ-

ლებელთა საბჭოს წევრთა მომზადების დაქვემდებარებისათვის იქმნება უმაღლესი განათლების საბჭო.

უმაღლესი განათლების საბჭოს წევრები ინიშნებიან უშუალოდ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ უნივერსიტეტების, მინისტრთა საბჭოს და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის მხრიდან კანონში მითითებული რაოდენობის, ღირსებების და არჩევის წესის შესაბამისად წარდგენილი კანდიდატებისაგან. უმაღლესი განათლების საბჭოს წევრობის კანდიდატები უნდა იყვნენ რექტორობის ან მასწავლებლობის მოვალეობათა წარმატებით შემსრულებელი პროფესორები.

საბჭოს ორგანიზაცია, მოვალეობები, კომპეტენცია, პასუხისმგებლობა და საქმიანობის საფუძვლები რეგულირდება კანონით.

### 3. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური დებულებები

მუხლი 132 – თურქეთის შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების ორგანიზაციის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ექვემდებარებიან სპეციალური კანონთა დებულებებს.

## F. რადიოსა და ტელევიზიის ხელმძღვანელობა და საინფორმაციო სააგენტოები

მუხლი 133 – (ეს არის მუხლის საბოლოო ფორმა, რომელიც დადგინდა 1993 წლის 8 ივლისის თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომაზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად) რადიოსა და ტელევიზიის სადგურთა დაარსება და საქმიანობა, კანონით განსაზღვრული პირობების ჩარჩოებში თავისუფალია.

სახელმწიფოს მხრიდან დაარსებული რადიოსა და ტელევიზიის სადგურები, რომლებიც ატარებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს და საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც დახმარებას იღებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან, ფლობენ ავტონომიას და მიუკერძოებლობის მოკრძალებულად განხორციელების ფუნდამენტურ უფლებას.

რადიოსა და ტელევიზიის სადგურები იქმნება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ. მათი ადმინისტრაცია ფორმირდება, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაცია.

კანონი არეგულირებს – თურქული სახელმწიფოს არსებობისა და დამოუკიდებლობის, ქვეყნისა და ერის განუყოფელი ერთიანობის, საზოგადოებრივი სიმშვიდის, საყოველთაო მორალის და კონსტიტუციის მე-2 მუხლში განსაზღვრული რესპუბლიკის ძირითადი პრინციპების დაცვის შესაბამისად მიუკერძოებლობის ნეიტრალიტეტის პრინციპს.

კანონი არეგულირებს: საინფორმაციო შეტყობინებებისა და პროგრამების შერჩევას, დამუშავებას, მიწოდებას და ეროვნული კულტურის და განათლების



დამხმარე მოვალეობების შესრულებას, ინფორმაციების სიზუსტის უზრუნველყოფის საფუძვლებს. შესაბამისი ორგანოთა არჩევის წესს, მოვალეობებს, კომპეტენციას და პასუხისმგებლობის საკითხებს.

მეორე პუნქტის დებულებები გამოიყენება აგრეთვე სახელმწიფო ეკონომიკური ორგანიზაციის სტატუსის მქონე საინფორმაციო სააგენტოებსა ან სხვა საზოგადოებრივ-იურიდიულ პირებზე, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან იღებენ ფინანსურ მხარდაჭერას.

## G. ათათურქის სახელობის კულტურის, ენის და ისტორიის უმაღლესი საზოგადოება

მუხლი 134 – ათათურქის იდეოლოგიის, ათათურქის პრინციპების და რეფორმების, თურქული კულტურის, თურქული ისტორიის და თურქული ენის სამეცნიერო გამოკვლევის, გაცნობის, პოპულარიზაციის და ნაშრომთა გამოქვეყნების მიზნით ათათურქის სიმბოლური უღლით, რესპუბლიკის პრეზიდენტის ზედამხედველობით და მხარდაჭერით პრემიერ-მინისტრის სამსახურთან იქმნება ათათურქის სახელობის კულტურის, ენის და ისტორიის უმაღლესი საზოგადოება, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საზოგადოებრივ-იურიდიული პირის სტატუსის მქონე ათათურქის სახელობის კვლევითი ცენტრი, თურქეთის ლინგვისტური საზოგადოება და თურქეთის ისტორიული საზოგადოება.

თურქეთის ლინგვისტური საზოგადოების და თურქეთის ისტორიული საზოგადოების, ათათურქის ანდერძის მიხედვით, შენარჩუნებული ფინანსური შემოსავლების საფუძველზე გამოიყოფა შესაბამისი ასიგნაციები.

ათათურქის სახელობის კულტურის, ენის და ისტორიის უმაღლესი საზოგადოების სტრუქტურა, ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობა, შემოსავლის მეთოდები და პერსონალური საკითხები, აგრეთვე საზოგადოებაში შემავალი სტრუქტურების კომპეტენციები რეგულირდება კანონით.

## H. სახელმწიფო დაწესებულების სტატუსის მქონე პროფესიული ორგანიზაციები

მუხლი 135 – (შეცვლილია) სახელმწიფო დაწესებულებების სტატუსის მქონე პროფესიული ორგანიზაციები და მათი უმაღლესი ორგანოები არიან კანონის მიხედვით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და მიზნად ისახავენ: გარკვეული პროფესიის პირთა საერთო საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათი პროფესიული საქმიანობის შემსუბუქებას, საყოველთაო სარგებლიანობის შესაბამისად პროფესიის განვითარების უზრუნველყოფას, პატიოსნებისა და ნდობის ატმოსფეროს დამყარებას გარკვეული პროფესიის პირთა და ხალხს შორის, პროფესიული დისციპლინისა და ზნეობრიობის დაცვას. ამ ორგანიზაციათა მმართველი ორგანოების არჩევა ხდება საკუთარ წევრთა მიერ საიდუმლო კენჭისყრით კანონის მიერ დადგენილი წესის მიხედვით სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ.

პირთათვის, რომლებიც სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე სახელმწიფო ეკონომიკურ საწარმოებში ასრულებენ ძირითად და მუდმივ მოვალეობებს, არ წარმოადგენს შეუთავსებლობას განეკუთვნებოდნენ პროფესიულ ორგანიზაციაში.

ამ პროფესიულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ აწარმოონ დასახული მიზნების გარდა სხვა რაიმე საქმიანობა.

ამ პროფესიული ორგანიზაციების და მათი უმაღლესი ორგანოების არჩევნებში პოლიტიკურ პარტიებს არ შეუძლიათ წამოაყენონ საკუთარი კანდიდატურები.

ამ პროფესიულ ორგანიზაციებზე სახელმწიფოს მხრიდან ადმინისტრაციული და აუდიტორული ზედამხედველობისა კონტროლის განხორციელების წესები რეგულირდება კანონით.

პროფესიული ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურა, რომელიც საქმიანობას ეწევა არასაკუთარი მიზნებისათვის, შეიძლება იურიდიულის კანონით განსაზღვრული ინსტანციის ან რესპუბლიკის პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით. მის ადგილას კი გამოიყენება ზომები ახალი სტრუქტურული ორგანოს არჩევისთვის.

იმ შემთხვევებში, როდესაც დაირღვევა დადგენილი ერთიანი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, დანაშაულის ჩადენის ან დანაშაულებრივი ქმედებების გავრცელების აღკვეთის, ან დაცვების აუცილებლობის თვალსაზრისით, კანონით განსაზღვრულ ინსტანციას შეუძლია აკრძალოს პროფესიული ორგანიზაციისა და მათი უმაღლესი ორგანოების საქმიანობა. ამ ინსტანციის გადაწყვეტილება ოცდაოთხი საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება უფლებამოსილ მოსამართლეს. მოსამართლე აცხადებს გადაწყვეტილებას ორმოცდარვა საათის განმავლობაში.

### I. რელიგიურ საქმეთა სამმართველო

**მუხლი 136** – რელიგიურ საქმეთა სამმართველო, რომელიც ადგილს იკავებს საერთო ადმინისტრაციის ჩარჩოებში, ლაიციზმის პრინციპის შესაბამისად, რჩება რა ყოველგვარი პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეოლოგიის გარეთ, მიზნად ისახავს ერთიანი სოლიდარობისა და ერთიანობის მიღწევას და ასრულებს საკუთარ მოვალეობებს სპეციალური კანონით განსაზღვრული დებულებების მიხედვით.

### J. უკანონო ბრძანება

**მუხლი 137** – სახელმწიფო სამსახურში მყოფი ნებისმიერი წოდებისა და რანგის მოსამსახურე, თუ აღმოაჩენს, რომ ზემოდან მოსული ბრძანება ეწინააღმდეგება ინსტრუქციებს, წესდებებს, კანონებსა და კონსტიტუციას, ვალდებულია არ აღასრულოს ასეთი ბრძანებანი და აცნობოს ამ წინააღმდეგობის შესახებ ბრძანების



გამცემს, მაგრამ თუ ზემდგომი თანამდებობის პირი დაჟინებით მოითხოვს ბრძანების შესრულებას და საქმეს განაახლებს წერილობითი ფორმით, მაშინ ბრძანება უნდა შესრულდეს; ასეთ შემთხვევაში ბრძანების შემსრულებელს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. ბრძანება, რომლის შესრულება დანაშაულის ჩადენის ტოლფასია, არანაირ შემთხვევაში არ უნდა შესრულდეს. ასეთი ბრძანების შემსრულებელი პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება.

სამხედრო მოვალეობის შესრულებასა და გადაუდებელი საჭიროების შემთხვევების დროს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებებთან დაკავშირებული კანონში მითითებული გამონაკლისები რჩება ძალაში.

## თავი მესამე

## სასამართლო ხელისუფლება

### I. ზოგადი დებულებები

### A. სასამართლოთა დამოუკიდებლობა

**მუხლი 138** – მოსამართლეები მოვალეობათა შესრულების დროს არიან დამოუკიდებელნი; გამოიტანენ დადგენილებებს კონსტიტუციის, კანონებისა და სამართლის შესაბამისად, საკუთარი სინდისისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს არც ერთ ორგანოს, სახელისუფლებო შტოებს, ინსტანციებს ან პიროვნებებს არ შეუძლიათ სასამართლოებსა და მოსამართლეებს მისცენ ინსტრუქციები ან თხოვნით, გაუგზავნონ ცირკულარები და გაუწიონ რჩევები ან რეკომენდაციები.

სასამართლო წარმოებაში მყოფ საქმესთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ორგანოში არ შეიძლება ჩატარდეს მსჯელობები, განხილვები ან მიღებულ იქნეს განცხადებები სასამართლო უფლებამოსილების განხორციელების შესახებ.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, აგრეთვე ადმინისტრაციული ინსტანციები ვალდებული არიან დაემორჩილონ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამ ორგანოებს და ადმინისტრაციას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ შეცვალონ სასამართლოს გადაწყვეტილებები ან შეაყოვნონ მათი აღსრულება.

### B. მოსამართლეთა და პროკურორთა გარანტიები

**მუხლი 139** – მოსამართლეები და პროკურორები არ შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობებიდან. კონსტიტუციის მიერ დადგენილი ასაკის მიღწევამდე არ შეიძლება საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ მათი პენსიაში გაგზავნა; სასამართლოს ან თანამდებობის სრული შეცვლის შემთხვევაშიც კი მოსამართლეებს არ შეიძლება ჩამოერთვათ თავიანთი ხელფასები, პრემიები და სხვა პირადი უფლებები.

მაგრამ მოსამართლეებისა და პროკურორების ამ მოვალეობებით უზრუნველყოფის დროს კანონი უჩვენებს გამონაკლისებს იმ მოსამართლეთა და პროკურორთათვის, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც მოითხოვს თანამდებობიდან გადაყენებას, აგრეთვე მათ მიმართ, რომლებიც დასაბუთებულად ამბობენ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახორციელებენ დაკისრებულ მოვალეობებს ან მათ მიმართ, რომელთა შესახებ გამოტანილია გადაწყვეტილება თანამდებობაზე დარჩენის შეუსაბამობის შესახებ.

## C. მოსამართლის და პროკურორის პროფესია

**მუხლი 140** – მოსამართლეები და პროკურორები ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს, როგორც მოსამართლე და პროკურორი სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით. ეს მოვალეობები ხორციელდება პროფესიით მოსამართლეებისა და პროკურორების მეშვეობით.

მოსამართლეები ასრულებენ საკუთარ ფუნქციებს სასამართლოთა დამოუკიდებლობის და მოსამართლის გარანტიათა პრინციპების შესაბამისად.

მოსამართლეებისა და პროკურორების მოვალეობები და უფლებები, მათი დანიშვნის წესი, თვიური ანაზღაურება, სამსახურეობრივი დაწინაურება, თანამდებობიდან სამუდამო ან დროებითი გადაყენება და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისა და თანამდებობაზე ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის დისციპლინარული სასჯელის გამოტანა, აგრეთვე დანაშაულის ჩადენისათვის გამოძიების ჩატარება და გასამართლების გადაწყვეტილების მიღება ისეთი დანაშაულებრივი ქმედებებისა ან არაკომპეტენტურობისათვის, რომელიც მოითხოვს თანამდებობიდან გადაყენებას; პროფესიონალური განათლების საკითხები და სხვა პერსონალური საკითხები რეგულირდება კანონით სასამართლოთა დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა გარანტიების პრინციპთა შესაბამისად.

მოსამართლეები და პროკურორები ასრულებენ სამსახურეობრივ მოვალეობებს სამოცდახუთწლიანი ასაკის მიღწევამდე; ასაკობრივი ზღვარი სამხედრო მოსამართლეებისათვის, მათი დაწინაურების ან პენსიაზე გასვლის წესი რეგულირდება კანონით.

მოსამართლეებს და პროკურორებს, გარდა კანონში გათვალისწინებულისა, არ შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ესა თუ ის ოფიციალური ან კერძო მოვალეობების შესრულება.

მოსამართლეები და პროკურორები ადმინისტრაციული მოვალეობების მიხედვით ექვემდებარებიან იუსტიციის მინისტრს.

იმ პირთა მიმართ, რომლებსაც გააჩნიათ მოსამართლისა და პროკურორის პროფესია და მუშაობენ იუსტიციის ორგანოთა ადმინისტრაციულ აპარატში, ვრცელდება მოსამართლეებისა და პროკურორების შესახებ ყველა დებულება. ეს პირები მოსამართლეთა და პროკურორთა შესახებ არსებული საფუძვლების შესაბამისად იყოფიან კლასებად და ხარისხებად და სარგებლობენ მოსამართლეებისათვის და პროკურორებისათვის მინიჭებული ყველა უფლებით.



## D. სასამართლო მოსმენათა საჯაროობა და გადაწყვეტილებათა საფუძვლიანობა

**მუხლი 141** – სასამართლო მოსმენები ყველასათვის საჯაროა. სასამართლო მოსმენის ნაწილობრივ ან მთლიანად დახურული სახით მისი ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია საზოგადოებრივი მორალის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე.

კანონით გათვალისწინებულია სპეციალური დებულებები არასრულწლოვანთა გასამართლების შესახებ.

ყველა სასამართლოს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება წერილობითი დასაბუთებით უნდა გამოიცეს.

სასამართლო ორგანოები ვალდებულნი არიან დაასრულონ საქმის განხილვა მინიმალური დანახარჯებით უმოკლეს ვადებში.

## E. სასამართლო სტრუქტურა

**მუხლი 142** – სასამართლოთა სტრუქტურა, მათი უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე სამართალწარმოების წესი და საქმიანობა რეგულირდება კანონით.

## F. სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები

**მუხლი 143** – სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები იქმნება სახელმწიფოს და ერის განუყოფელი ერთობის, თავისუფალი დემოკრატიული წყობისა და რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგრეთვე სახელმწიფოს შიდა და საგარეო უშიშროების უშუალოდ ხელმყოფელ დანაშაულთა საქმის განხილვისათვის.

სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები შედგება თავმჯდომარისაგან, ორი ძირითადი და ორი სათადარიგო წევრისაგან, პროკურორისა და პროკურორის მოადგილეთა აუცილებელი რაოდენობისაგან.

სპეციალურ კანონში მითითებული წესის შესაბამისად, თავმჯდომარე, ერთი ძირითადი და ერთი სათადარიგო წევრი და პროკურორი ინიშნება პირველი კლასის მოსამართლეთა და რესპუბლიკის პროკურორთა შემადგენლობიდან; ერთი ძირითადი და ერთი სათადარიგო წევრი კი ინიშნება პირველი კლასის სამხედრო მოსამართლეთა შემადგენლობიდან; პროკურორის მოადგილეები კი ინიშნებიან რესპუბლიკის პროკურორებისა და სამხედრო მოსამართლეთა შემადგენლობიდან.

სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს თავმჯდომარე, ძირითადი და სათადარიგო წევრები, პროკურორი და პროკურორის მოადგილეები ინიშნებიან ოთხი წლით. უფლებამოსილების ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ისინი შეიძლება ხელახლა დაინიშნონ.

სახელმწიფო უშიშროების სასამართლოთა გადაწყვეტილებების გასაჩივრების ინსტანციაა უმაღლესი საკასაციო სასამართლო (იარგიტაი).

სახელმწიფო უშიშროების სასამართლოებში სამართალწარმოების ფუნქციონირების, მოვალეობების, კომპეტენციის და წესების შესახებ სხვა დებულებები განისაზღვრება კანონით.

სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების დროის იმ რაიონებში, რომელიც შედის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოთა სამხარეო დაქვემდებარებაში, კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, აღნიშნული სასამართლო შეიძლება გადაკეთდეს სამხედრო სასამართლოდ. მისი სასამართლო ფუნქციები შემოიფარგლება მხოლოდ ამ რაიონებით.

## G. მოსამართლეთა და პროკურორთა კონტროლი

**მუხლი 144** — იუსტიციის სამინისტროს ნებართვით, მართლმსაჯულების ინსპექტორების მიერ ხორციელდება მოსამართლეებისა და პროკურორების შემოწმება, იმასთან დაკავშირებით ასრულებენ თუ არა ისინი საკუთარი მოვალეობების შესაბამისად კანონებს, წესდებებს, ინსტრუქციებს და ცირკულარებს. (მოსამართლეებისათვის ცირკულარები არის ადმინისტრაციული ხასიათის) ამას გარდა ხორციელდება გამოძიება იმის შესამოწმებლად, ჩადინეს თუ არა მათ დანაშაული სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების დროს, აგრეთვე შეესაბამებოდა თუ არა მათი მდგომარეობა და საქმიანობა მათ მოვალეობებს. აუცილებლობის შემთხვევაში ამ საკითხებთან დაკავშირებით ხორციელდება მოკვლევა და გამოძიება. იუსტიციის მინისტრის მიერ ამ საქმისთვის გამწესებული ინსპექტორები რანგით და სტაჟით უფრო მაღლა უნდა იდგნენ ვიდრე ის პირები, რომელთა მიმართაც ხორციელდება მოკვლევა ან გამოძიება.

## H. სამხედრო სამართალწარმოება

**მუხლი 145** — სამხედრო სამართალწარმოება ხორციელდება სამხედრო და სამხედრო-დისციპლინარული სასამართლოების მიერ. ამ სასამართლოთა მოვალეობებში შედის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების, აგრეთვე მათ წინააღმდეგ ან სამხედრო ნაწილებში სამხედრო-სავალდებულო სამსახურის აღსრულებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის განხილვა.

სამხედრო სასამართლოები ვალდებულნი არიან განიხილონ დანაშაულები, რომელიც ჩადენილია არასამხედრო პირების მიერ, მაგრამ ატარებენ სპეციალური კანონის მიხედვით განსაზღვრულ სამხედრო დანაშაულის ხასიათს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების დროს ჩადენილი დანაშაულები და სამხედრო ნაწილებში სამხედროთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები.

ომის და სამხედრო მდგომარეობის პირობებში სამხედრო მოსამართლეების კომპეტენციის გამოყენების შესაძლებლობა გარკვეული დანაშაულის და გარკვეულ პირთა კატეგორიის მიმართ, აგრეთვე სასამართლოთა სტრუქტურა და აუცილებლობის შემთხვევაში ამ სასამართლოებში მოსამართლეთა და პროკურორთა დანიშვნა რეგულირდება კანონით. სამხედრო სასამართლოების ორგანოები, მათი ფუნქციონირება, სამხედრო მოსამართლეთა პერსონალური საკითხები,



სამხედრო პროკურორების მოვალეობები, მათი ურთიერთობები სხვა კატეგორიის მოსამართლეებთან და პროკურორებთან რეგულირდება კანონით სასამართლოთა დამოუკიდებლობის, მოსამართლეთა გარანტიების და სამხედრო სამსახურის მოთხოვნების გათვალისწინებით.

# II. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოები

## A. საკონსტიტუციო სასამართლო

### 1. სტრუქტურა

**მუხლი 146** — საკონსტიტუციო სასამართლო შედგება თერთმეტი ძირითადი და ოთხი სათადარიგო წევრისაგან.

რესპუბლიკის პრეზიდენტი, თითოეულ ვაკანტურ ადგილზე წამოყენებული სამი კანდიდატიდან ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად და სათადარიგო წევრებს; კანდიდატების წარდგენის უფლება გააჩნიათ შემდეგ ინსტანციებს: უმაღლეს საკასაციო სასამართლო — წარადგენს ორი ძირითადი და ორი სათადარიგო წევრობის კანდიდატებს, სახელმწიფო საბჭოს — წარადგენს ორი ძირითადი და ერთი სათადარიგო წევრობის კანდიდატებს, უმაღლეს სამხედრო-საკასაციო სასამართლოს, უმაღლეს სამხედრო-ადმინისტრაციულ სასამართლოს და უმაღლეს ფინანსურ საბჭოს — წარადგენენ ერთი ძირითადი წევრობის კანდიდატებს. წევრობის კანდიდატები აირჩევა ზემოთჩამოთვლილი ინსტანციების უმაღლეს ორგანოთა სხდომაზე საკუთარი თავმჯდომარის ან წევრთა შემადგენლობიდან, საიდუმლო კენჭისყრის შედეგად, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. ამის გარდა, ერთი ძირითადი წევრობის კანდიდატებს წარადგენს უმაღლესი განათლების საბჭო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებათა იმ მასწავლებლებისაგან, რომლებიც არ არიან უმაღლესი განათლების საბჭოს წევრები, დარჩენილი სამი ძირითადი და ერთი სათადარიგო წევრების კანდიდატები კი არიან უმაღლესი რანგის მმართველები და ადვოკატები.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლები, უმაღლესი რანგის მმართველები და ადვოკატები იმისათვის, რომ გახდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ან სათადარიგო წევრები, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: შესრულებული უნდა ჰქონდეთ ორმოცი წელი, გააჩნდეთ უმაღლესი განათლება ან სასწავლო დაწესებულებაში მინიმუმ თხუთმეტწლიანი მასწავლებლად მუშაობის სტაჟი ან სახელმწიფო სამსახურში მუშაობის მინიმუმ თხუთმეტწლიანი გამოცდილება ან მინიმუმ თხუთმეტი წლის მანძილზე დაკავებული უნდა იყვნენ საადვოკატო პრაქტიკით.

საკონსტიტუციო სასამართლო, ძირითადი წევრების შემადგენლობიდან, საიდუმლო კენჭისყრით, წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით ოთხი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს და ერთ მის მოადგილეს. უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, ძირითადი მოვალეობების გარდა, არ შეუძლიათ თავის თავზე აიღონ ესა თუ ის ოფიციალური და კერძო ფუნქციები.

## 2. წევრობის შეჩერება

**მუხლი 147** – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები პენსიაზე გადიან სამოცდაათწლიანი ასაკის მიღწევის შემდეგ.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობა ავტომატურად უქმდება, თუკი დანაშაულის გამო ბრალდებისთვის, რომელიც მოითხოვს წევრისათვის მოსამართლის პროცესის ჩამორთმევას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საბოლოოდ დადგინდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს არ შეუძლია შეასრულოს საკუთარი მოვალეობები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, წევრობა წყდება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

## 3. მოვალეობები და კომპეტენცია

**მუხლი 148** – საკონსტიტუციო სასამართლო აკონტროლებს: კანონების, კანონის ძალის მქონე დადგენილებების და თურქეთის დიდი ეროვნული კრების შიდა რეგლამენტის კონსტიტუციასთან ფორმით და არსით შესაბამისობას. რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, ის იკვლევს და აკონტროლებს მათ მხოლოდ ფორმით შესაბამისობის მიხედვით. საკონსტიტუციო სასამართლოში არ შეიძლება აღიძრას საქმე საგანგებო, ან სამხედრო მდგომარეობის ან საომარი სიტუაციის დროს მიღებული კანონის ძალის მქონე დადგენილებების წინააღმდეგ მათი კონსტიტუციასთან ფორმით და არსით შესაბამისობის თვალსაზრისით.

კანონების ფორმით თვალსაზრისით გაკონტროლება შემოიფარგლება შესაბამისობის ისეთი პირობების დადგენით, როგორიცაა: იყო თუ არა კანონი მიღებული საბოლოო კენჭისყრის დროს ხმათა უმრავლესობით, ხოლო საკონსტიტუციო ცვლილებების დროს კი, იყო თუ არა წამოყენებული და მიღებული წინადადებები ხმათა უმრავლესობით, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. კანონების შემოწმება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს რესპუბლიკის პრეზიდენტის და თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა ერთი მეხუთედის მიერ. კანონის მიღებიდან ათი დღის გასვლის შემდეგ არ შეიძლება აღიძრას საქმე მისი ძალადაკარგვის შესახებ კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მიზეზით; ასეთი მოთხოვნა არ შეიძლება წამოყენებულ იქნეს გაპროტესტების გზით.

საკონსტიტუციო სასამართლო უმაღლესი სასამართლოს რანგში იხილავს დანაშაულის საქმეებს, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკის პრეზიდენტის, მინისტრთა საბჭოს წევრების, საკონსტიტუციო სასამართლოს, უმაღლესი საკასაციო სასამართლოს, სახელმწიფო საბჭოს, უმაღლესი სამხედრო-საკასაციო სასამართლოს და უმაღლესი სამხედრო ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეთა და წევრების და მათი მთავარი პროკურორების, რესპუბლიკის მთავარი



პროკურორების მოადგილეების, მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭოს და უმაღლესი ფინანსური საბჭოს თავმჯდომარეთა და წევრთა მოვალეობებთან.

უმაღლეს სასამართლოში პროკურორის მოვალეობებს ასრულებს რესპუბლიკის მთავარი პროკურორი ან მისი მოადგილე.

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

საკონსტიტუციო სასამართლო ასრულებს კონსტიტუციით დაკისრებულ სხვა მოვალეობებსაც.

## 4. საქმიანობა და სამართალწარმოების წესი

**მუხლი 149** – (შეცვლილია) საკონსტიტუციო სასამართლო იკრიბება თავმჯდომარისა და ათი წევრის დასწრების შემთხვევაში და იღებს გადაწყვეტილებებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ წინადადების უკუგდების გადაწყვეტილება მიიღება ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პირველ რიგში განიხილება საქმეები, რომლებიც აღძრულია კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძველზე კანონის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა და სამართალწარმოების წესი რეგულირდება კანონით; სასამართლოს საქმიანობის საფუძვლები და მის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება განისაზღვრება თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემუშავებული შიდა რეგლამენტით.

საკონსტიტუციო სასამართლო, უმაღლესი სასამართლოს რანგში განსახილველი საქმეების გარდა, სხვა ნებისმიერ საქმეს განიხილავს დოკუმენტების და დოსიეების საფუძველზე, ამას გარდა, საჭიროდ მიჩნეულ შემთხვევაში ზეპირი ჩვენების მოსასმენად შესაძლებელია სასამართლო სხდომაზე მიწვეულ იქნენ განსახილველ საქმესთან დაკავშირებული და სასარჩელო ინფორმაციის მფლობელი პირები. პოლიტიკური პარტიის დახურვის შესახებ საქმის განხილვის დროს სასამართლო ისმენს აგრეთვე გარდა გენერალური პროკურატურის მოსაზრებისა იმ პოლიტიკური პარტიის გენერალური ხელმძღვანელის წარმომადგენლისა ან ადვოკატის არგუმენტაციას, რომლის დახურვის საკითხიც იხილება.

## 5. კანონთა გაუქმების საქმეები

**მუხლი 150** – კანონების, კანონის ძალის მქონე დადგენილებების, თურქეთის დიდი ეროვნული კრების შიდა რეგლამენტის, ან ამ კანონთა გარკვეული მუხლების და დებულებების ფორმით და არსით კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოში, მათი გაუქმების შესახებ, საქმის აღძვრის უშუალო პრეროგატივა ეკუთვნის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მმართველი და ძირითადი ოპოზიციური პარტიის საპარლამენტო ფრაქციებს და თურქეთის

დიდი ეროვნული კრების სრული შემადგენლობის მინიმუმ ერთი მესამედი. ხელისუფლებაში ერთზე მეტი პოლიტიკური პარტიის არსებობის შემთხვევაში, მმართველი პარტიის უფლებას საქმის აღძვრის შესახებ იყენებს პარლამენტში ხმათა უმრავლესობის მქონე პარტია.

## 6. საქმის აღძვრის ვადები

**მუხლი 151** – კანონის, კანონის ძალის მქონე დადგენილების ან შიდა რეგლამენტის გაუქმების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის აღძვრის უფლება უქმდება, ამ კანონების „რესმი გაზეთში" გამოქვეყნებიდან თექვსმეტი დღის გასვლის შემდეგ.

## 7. კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მტკიცების წამოყენება სხვა სასამართლოებში

**მუხლი 152** – თუ რომელიმე სასამართლო, რომელიც განიხილავს ამა თუ იმ საქმეს, დაადგენს, რომ გამოყენებული კანონი, ან კანონის ძალის მქონე დადგენილება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ან მივა იმ დასკვნამდე, რომ ერთ-ერთი მხარის მტკიცება კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შესახებ საფუძვლიანია, იღებს გადაწყვეტილებას განსახილველი საქმის შეჩერების შესახებ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

თუ სასამართლო კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მტკიცებას არ ჩათვლის საფუძვლიანად, ძირითად განაჩენთან ერთად საკასაციო ინსტანციას გამოაქვს გადაწყვეტილება ამ მტკიცების მიმართაც.

საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, საქმის შემოსვლის მომენტიდან ხუთი თვის განმავლობაში. თუ ამ ხნის მანძილზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, განმხილველი საქმე სრულდება მოქმედი კანონის დებულებათა შესაბამისად. მაგრამ თუკი საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, საქმის არსის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, სასამართლო ვალდებულია დაეთანხმოს მას.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების „რესმი გაზეთში" გამოქვეყნებიდან ათი წლის ვადის ამოწურვამდე არ შეიძლება კვლავ აღიძრას საქმე იგივე კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძვლით.

## 8. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

**მუხლი 153** – საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საბოლოოა. კანონთა გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებები მოტივირებული წერილობითი დასკვნების გარეშე არ გამოქვეყნდება.

საკონსტიტუციო სასამართლო, აუქმებს რა კანონებს, ან კანონის ძალის მქონე დადგენილებებს, ან მათ გარკვეულ მუხლებს, ან დებულებებს, არ შეიძლება მოქმედებდეს როგორც კანონმდებელი, ან დააწესოს ახალი საკანონმდებლო ნორმები.



კანონები, კანონის ძალის მქონე დადგენილებები, ან თურქეთის დიდი ეროვნული კრების შიდა რეგლამენტი, ან მათი ცალკეული მუხლები და დებულებები, გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების „რესმი გაზეთში" გამოქვეყნების მომენტიდან კარგავენ ძალას. საჭიროების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია ცალკე დააწესოს გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი. ეს თარიღი არ შეიძლება აღემატებოდეს „რესმი გაზეთში" გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ერთ წლიან ვადას.

იმ შემთხვევებში, როდესაც გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლა გადავადებულია, თურქეთის დიდი ეროვნული კრება განიხილავს გაუქმების გადაწყვეტილების შესახებ წარმოქმნილი სამართლებრივი ვაკუუმის ამოვსებისათვის შემოსულ წინადადებებს და საკანონმდებლო მოწყობილობის საკითხებს და ამის შემდეგ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებები საბოლოოა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ ქვეყნდება „რესმი გაზეთში" და სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოებისათვის, აგრეთვე ადმინისტრაციული ინსტანციებისა და ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

## B. უმაღლესი საკასაციო სასამართლო (იარგითაი)

**მუხლი 154** – უმაღლესი საკასაციო სასამართლო წარმოადგენს სამოქალაქო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების, რომლებიც არ გადაეცემა სხვა სამოქალაქო სასამართლო ორგანოს, განხილვისა და მათ მიმართ გადაწყვეტილებების გამოტანის უკანასკნელ ინსტანციას. ის აგრეთვე იხილავს კანონით განსაზღვრულ საქმეებს პირველი და საბოლოო სასამართლო ინსტანციის რანგში.

უმაღლესი საკასაციო სასამართლოს წევრებს ირჩევს მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭო, საიდუმლო კენჭისყრის შედეგად, წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, პირველი კლასის მოსამართლეთა და რესპუბლიკური პროკურორების, აგრეთვე ამ პროფესიისათვის მიღებული სხვა კომპეტენტური პირებისაგან.

უმაღლესი საკასაციო სასამართლოს კოლეგია ოთხი წლის ვადით, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს და განყოფილებების უფროსებს, საიდუმლო კენჭისყრის შედეგად, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა.

რესპუბლიკის მთავარ პროკურორს და მის მოადგილეს ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტი ოთხი წლის ვადით უმაღლესი საკასაციო სასამართლოს კოლეგიის მიერ საიდუმლო კენჭისყრის შედეგად საკუთარი წევრებისაგან, თითოეულ თანამდებობაზე წარდგენილი ხუთ-ხუთი კანდიდატიდან. უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ხელახლა არჩევა.

უმაღლესი საკასაციო სასამართლოს სტრუქტურა, ფუნქციონირება, თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, განყოფილებების უფროსების, რესპუბლიკის მთავარი პროკურორის, მისი მოადგილის არჩევის წესი რეგულირდება კანონით სასამართლოთა დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა გარანტიების პრინციპების შესაბამისად.

## C. სახელმწიფო საბჭო (დანიშთაი)

მუხლი 155 – სახელმწიფო საბჭო წარმოადგენს ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების, რომლებიც კანონის მიხედვით არ გადაეცემა სხვა ადმინისტრაციულ სასამართლო ორგანოს, განხილვის უკანასკნელ ინსტანციას. ის აგრეთვე იხილავს კანონით განსაზღვრულ საქმეებს პირველი და საბოლოო სასამართლო ინსტანციის რანგში.

სახელმწიფო საბჭოს მოვალეობებში შედის სასამართლო საქმეთა განხილვა, პრემიერ-მინისტრის ან მინისტრთა საბჭოს მიერ მოწოდებული კანონპროექტების შესახებ საკუთარი შეხედულებების წარდგენა, წესდებათა, კონცესიათა და შეთანხმებათა პროექტების შემოწმება, ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტა და, აგრეთვე კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

სახელმწიფო საბჭოს წევრთა სამ მეოთხედს ირჩევს მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭო, პირველი კლასის ადმინისტრაციულ მოსამართლეთა და პროკურორთა აგრეთვე ამ პოზიციის მქონე სხვა კომპეტენტური პირებისაგან; წევრთა ერთ მეოთხედს კი ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონით განსაზღვრული თვისებების მქონე პირებისაგან.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, მთავარ პროკურორს, თავმჯდომარის მოადგილეებს და განყოფილებების უფროსებს ოთხი წლის ვადით ირჩევს სახელმწიფო საბჭოს კოლეგია, საკუთარი წევრებისაგან, საიდუმლო კენჭისყრის შედეგად, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა.

სახელმწიფო საბჭოს სტრუქტურა, მისი ფუნქციონირება, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, მთავარი პროკურორის, თავმჯდომარის მოადგილეების, განყოფილებების უფროსების და წევრების დანიშვნის წესს არეგულირებს კანონი ადმინისტრაციული სასამართლო წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით, სასამართლოთა დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა გარანტიების პრინციპების საფუძველზე.

## D. უმაღლესი სამხედრო-საკასაციო სასამართლო

მუხლი 156 – უმაღლესი სამხედრო-საკასაციო სასამართლო წარმოადგენს სამხედრო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების განხილვის უკანასკნელ ინსტანციას. ამას გარდა, ის აგრეთვე იხილავს კანონით განსაზღვრულ სასამართლო საქმეებს პირველი და საბოლოო სასამართლო ინსტანციის რანგში.



უმაღლესი სამხედრო საკასაციო სასამართლოს წევრებს ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტი, თითოეულ ვაკანტურ ადგილზე პირველი კლასის სამხედრო მოსამართლეთა შემადგენლობიდან წამოყენებული კანდიდატებიდან. კანდიდატურებს წარადგენს უმაღლესი სამხედრო-საკასაციო სასამართლოს კოლეგია საიდუმლო კენჭისყრის შედეგად, წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით.

უმაღლესი სამხედრო-საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე, მთავარი პროკურორი, თავმჯდომარის მოადგილე და განყოფილებების უფროსები ინიშნებიან უმაღლესი სამხედრო-საკასაციო სასამართლოს წევრებისაგან, მათი წოდებისა და ღირსებების გათვალისწინებით.

უმაღლესი სამხედრო-საკასაციო სასამართლოს სტრუქტურა, მისი ფუნქციონირება, წევრების მიმართ დისციპლინარული და პერსონალური საკითხები რეგულირდება კანონით მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა გარანტიების პრინციპებისა და სამხედრო სამსახურის მოთხოვნების გათვალისწინებით.

## E. უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული სასამართლო

მუხლი 157 – უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული სასამართლო, შესაძლებელია არასამხედრო ინსტანციის მიერ იყოს შექმნილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ის წარმოადგენს პირველი და უკანასკნელი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც ახორციელებს სასამართლო ზედამხედველობას სამხედრო მოსამსახურეებთან და სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საქმეებზე და, აქედან გამომდინარე უთანხმოებებზე. მაგრამ, ამასთან ერთად, სამხედრო-ადმინისტრაციული საქმეებიდან გამომდინარე უთანხმოებების დროს, აუცილებელი არ არის ერთ-ერთი მონაწილე მხარე იყოს სამხედრო.

უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული სასამართლოს წევრებს ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტი, თითოეულ ვაკანტურ ადგილზე წარდგენილი სამ-სამი კანდიდატიდან. სასამართლოს სამხედრო მოსამართლეთა კანდიდატებს პირველი კლასის სამხედრო მოსამართლეთა შემადგენლობიდან წარადგენს სასამართლოს სამხედრო მოსამართლეები და ამავე კატეგორიის თავმჯდომარე, საიდუმლო კენჭისყრის შედეგად, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით; ხოლო უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული სასამართლოს წევრობის იმ კანდიდატებს, რომლებიც არ არიან მოსამართლეები, კანონით განსაზღვრული წოდებისა და თვისებების მქონე ოფიცერთა შემადგენლობიდან წარადგენს გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა.

სასამართლოს იმ წევრთა უფლებამოსილების ვადა, რომლებიც არ განეკუთვნებიან სამხედრო მოსამართლეთა კატეგორიას, არის მაქსიმუმ ოთხი წელი.

სასამართლოს თავმჯდომარე, მთავარი პროკურორი და განყოფილებების უფროსები ინიშნებიან იმ პირებისაგან, რომლებიც განეკუთვნებიან მოსამართლის კატეგორიას, მათი წოდებისა და ღირსებების გათვალისწინებით.

უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული სასამართლოს სტრუქტურა, მისი ფუნქციონირება და სამართალწარმოების წესი, სასამართლოს წევრთა და თანამშრომელთა დისციპლინარული და პერსონალური საკითხები რეგულირდება კანონით სასამართლოთა დამოუკიდებლობის, მოსამართლეთა გარანტიების პრინციპისა და სამხედრო სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად.

## F. უთანხმოებათა მოწესრიგების სასამართლო

მუხლი 158 — უთანხმოებათა მოწესრიგების სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის: სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სამხედრო სასამართლო ინსტანციებს შორის, მათ საქმიანობებთან და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით წარმოშობილი უთანხმოებების განხილვა და მოგვარება.

უთანხმოებათა მოწესრიგების სასამართლოს სტრუქტურა, წევრთა ფუნქციები და არჩევის წესი განისაზღვრება კანონით. ამ სასამართლოს თავმჯდომარეს ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლო, საკუთარ წევრთა შემადგენლობიდან.

სხვა სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის წარმოშობილ, მოვალეობებთან დაკავშირებული უთანხმოებების დროს, უპირატესობა ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

## III. მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭო

მუხლი 159 — მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭო ფორმირდება და ასრულებს მოვალეობებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა გარანტიების პრინციპების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრი, ხოლო სამინისტროს აპარატის მრჩეველი კი საბჭოს მუდმივი წევრი. საბჭოს წევრებს ოთხი წლის ვადით, თითოეულ ადგილზე წარმოდგენილი სამ-სამი კანდიდატიდან ირჩევს რესპუბლიკის პრეზიდენტი. კანდიდატურების წამოყენების პრეროგატივას ფლობენ: უმაღლესი საკასაციო სასამართლოს კოლეგია — საკუთარი წევრებიდან წარადგენს სამი ძირითადი და სამი სათადარიგო წევრის კანდიდატურებს, და სახელმწიფო საბჭოს კოლეგია — საკუთარი წევრებიდან წარადგენს ორი ძირითადი და ორი სათადარიგო წევრის კანდიდატურებს. წევრები, რომელთა უფლებამოსილების ვადა ამოიწურება, შესაძლებელია ხელახლა იქნენ არჩეულნი. საბჭო, საკუთარი შემადგენლობის ძირითადი წევრებისაგან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს.

მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭოს მოვალეობებში შედის: პირთა დანიშვნა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ მოსამართლეებად, მათი დანიშვნა და გადაყვანა, დროებითი კომპეტენციის მინიჭება, დაწინაურება და პირველი კლასის მოსამართლეთა არჩევა, კადრების გადანაწილება, იმ პირთა მიმართ გადაწყვეტილების გამოტანა, რომელთა დარჩენა თანამდებობაზე მიზანშეუწონელია, დისციპლინარული სასჯელების გამოტანა და სამსახურიდან განთავისუფლება. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას იუსტიციის სამინისტროს წინადადების



შესაბამისად რომელიმე სასამართლოს, ან მოსამართლის, ან პროკურორის უფლებამოსილების გაუქმების, ან რომელიმე სასამართლოსათვის სასამართლო კომპეტენციის უბნების შეცვლის შესახებ. ამას გარდა, საბჭო ასრულებს კონსტიტუციისა და კანონის მიერ განსაზღვრულ სხვა მოვალეობებსაც.

საბჭოს გადაწყვეტილებები არ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო ინსტანციებში.

საბჭოს მოვალეობების შესრულების, არჩევისა და საქმიანობის წესები და საბჭოში პროტესტების განხილვის საფუძვლები რეგულირდება კანონით.

იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ ორგანოებში მოსამართლეებისა და პროკურორების მუდმივ ან დროებით თანამდებობაზე დანიშვნის პრეროგატივა ეკუთვნის იუსტიციის მინისტრს.

იუსტიციის მინისტრს, იმ შემთხვევაში, როდესაც გადადება დაუშვებელია, სამსახურებრივი მოვალეობების შეუფერხებლად განხორციელებისათვის შეუძლია მოსამართლეებს და პროკურორებს დააკისროს დროებითი კომპეტენცია. ასეთი გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცემა მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭოს პირველსავე სხდომას.

## IV. უმაღლესი ფინანსური საბჭო (საიიშთაი)

მუხლი 160 — უმაღლესი ფინანსური საბჭოს მოვალეობებში შედის თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელით ყველა შემოსავალ-გასავლის და საერთო ან ნაერთი ბიუჯეტების ხარჯზე დაფინანსებული დაწესებულებების ქონების შემოწმება, პასუხისმგებელ პირთა საქმიანობის შესახებ საბოლოო ბრალდების გადაწყვეტილების მიღება და კანონით გათვალისწინებული გამოკვლევის და მსგავსი დებულებასთან დაკავშირებული საქმეების განხორციელება. უმაღლესი ფინანსური საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ, საქმესთან დაკავშირებულ პირებს, ამ გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ თხუთმეტი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ გააგზავნონ მოთხოვნა გადაწყვეტილების შეცვლისათვის ამ გადაწყვეტილებების გამო არ შეიძლება ადმინისტრაციულ სასამართლო ინსტანციებში მიმართვა.

სახელმწიფო საბჭოსა და უმაღლესი ფინანსური საბჭოს გადაწყვეტილებებს შორის გადასახადებისა და მსგავსი ფინანსური ვალდებულებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებში უთანხმოებების წარმოშობისას უპირატესობა მიენიჭება სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებებს.

უმაღლესი ფინანსური საბჭოს სტრუქტურა, მისი ფუნქციონირება, კონტროლიორების მეთოდები, წევრთა თვისებები, დანიშვნის პირობები, მოვალეობები და კომპეტენციები, უფლებები და წევრებზე დაკისრებული სხვა პერსონალური საკითხები, აგრეთვე თავმჯდომარისა და წევრების გარანტიები რეგულირდება კანონით.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელით კონტროლიორების მეთოდები შეიარაღებულ ძალების განკარგულებაში მყოფ სახელმწიფო ქონებაზე რეგულირ-

დება კანონით ეროვნული თავდაცვის საჭიროებებიდან გამომდინარე, საიდუმლოების დაცვის პრინციპების შესაბამისად.

# კარი მეოთხე
# ფინანსური და ეკონომიკური დებულებები

## თავი პირველი
## ფინანსური დებულებები

### I. ბიუჯეტი
### A. ბიუჯეტის მომზადება და შესრულება

**მუხლი 161** – სახელმწიფოსა და სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა, რომლებიც არ განეკუთვნებიან სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ ორგანიზაციებს, დანახარჯები ხორციელდება წლიური ბიუჯეტების საფუძველზე.

საფინანსო წლის დასაწყისი და ცენტრალური და ნაერთი ბიუჯეტების მომზადებისა და შესრულების წესი განისაზღვრება კანონით.

კანონმა შეიძლება განსაზღვროს ეკონომიკური განვითარების გეგმები და ამასთან დაკავშირებული კაპიტალდაბანდებები, ან ერთ წელზე მეტი ხნით გათვლილი საქმიანობისათვის სპეციალური ვადები და მეთოდები.

კანონში ბიუჯეტის შესახებ არ შეიძლება ჩართულ იქნეს დებულებები, რომელიც არ შეეხება ბიუჯეტს.

### B. ბიუჯეტის განხილვა

**მუხლი 162** – მინისტრთა საბჭო ფინანსური წლის დაწყებამდე სამოცდათხუთმეტი დღით ადრე თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას წარუდგენს ცენტრალური და ნაერთი ბიუჯეტების პროექტებს და მოხსენებას ეროვნული ბიუჯეტის დასაბუთებითი ციფრების შესახებ.

ბიუჯეტის პროექტებს და მოხსენებას განიხილავს ორმოცი წევრისაგან შემდგარი საბიუჯეტო კომისია. ამ კომისიის შექმნისას უპირატესობა ეძლევა მასში საპარლამენტო ფრაქციებისა და დამოუკიდებელი დეპუტატების მონაწილეობას მათი წარმომადგენლობითი პროპორციების გათვალისწინებით, მაგრამ მმართველ პარტიას ან მმართველ კოალიციას გარანტირებული აქვს მინიმუმ ოცდახუთი ადგილი.

ბიუჯეტს, რომელსაც საბიუჯეტო კომისია იღებს ოცდათხუთმეტი დღის განმავლობაში, იხილავს თურქეთის დიდი ეროვნული კრება და იღებს გადაწყვეტილებას საფინანსო წლის დაწყებამდე.



თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრები, სამინისტროთა, სამმართველოთა ბიუჯეტების და ნაერთი ბიუჯეტის შესახებ გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს პლენარულ სხდომაზე თითოეული ამ ბიუჯეტის საერთო განხილვის დროს. წინადადებები ცვლილებების შესახებ დგება კონკრეტულად მათ შესახებ დებატებით განხილვის ჩატარების გარეშე.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრებს, პლენარულ სხდომაზე ბიუჯეტის კანონპროექტთა განხილვის დროს არ შეუძლიათ გამოთქვან წინადადებები დანახარჯების გაზრდისა ან შემცირების შესახებ.

### C. ბიუჯეტებში ცვლილებების შესაძლო შეტანის პრინციპები

**მუხლი 163** – ცენტრალური და ნაერთი ბიუჯეტების მიერ შეთავაზებული ასიგნაციები მიუთითებს შესაძლო დანახარჯების თანხებს. ბიუჯეტებში არ შეიძლება აღნიშნულ იქნეს დებულება მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული დანახარჯების შესაძლო გაზრდასთან დაკავშირებით. მინისტრთა საბჭოს არ შეიძლება მიეცეს უფლება კანონის ძალის მქონე დადგენილებებით ცვლილებები შეიტანოს ბიუჯეტში. ცვლილებების პროექტში, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე წლის ბიუჯეტში ასიგნაციების ზრდას და კანონპროექტებსა და წინადადებებში, რომელიც მიმართულია მიმდინარე და მომავალი წლის ბიუჯეტებში ფინანსური დოტაციების გაზრდისკენ, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ფინანსური წყაროები, რომლითაც დაიფარება დაგეგმილი დანახარჯები.

### D. ბიუჯეტის შესრულების შედეგები

**მუხლი 164** – კანონპროექტებს ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ, მინისტრთა საბჭო წარუდგენს ეროვნულ კრებას შესაბამისი ფინანსური წლის დამთავრებიდან შვიდი თვის განმავლობაში. უმაღლესი ფინანსური საბჭო (საი-შთაი), ბიუჯეტის შესრულების შედეგების კანონპროექტის წარდგენის შემდეგ სამოცდათხუთმეტი დღის განმავლობაში თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას უგზავნის წერილობით შეტყობინებას მისი შესაბამისობის შესახებ.

კანონპროექტი ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ დგება საბიუჯეტო კომისიის განხილვის დღის წესრიგში, მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად. საბიუჯეტო კომისია პლენარულ სხდომაზე ერთდროულად გამოაქვს კანონპროექტი ბიუჯეტის შესახებ და კანონპროექტი ბიუჯეტის შესრულების შესახებ. პლენარული სხდომა იხილავს კანონპროექტს ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ მომდევნო წლის ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად და იღებს გადაწყვეტილებას.

თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში ბიუჯეტის შესრულების შესახებ კანონპროექტის შეტანა და მის შესახებ საერთო შესაბამისობის დასკვნის გაცემა არ ნიშნავს ამ საკითხთან დაკავშირებით სამომავლო გადაწყვეტილების მიღებას და ხელს არ უშლის უმაღლეს ფინანსურ საბჭოს (საიშთაი) ჩატარებისა დაუმთავრებელი შემოწმება-

### E. საზოგადოებრივი ეკონომიკური ორგანიზაციების შემოწმება

მუხლი 165 — თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ იმ საზოგადოებრივი ეკონომიკური ორგანიზაციების შემოწმება, რომელთა კაპიტალის ნახევარზე მეტი პირდაპირ ან ირიბად ეკუთვნის სახელმწიფოს, რეგულირდება კანონით.

## თავი მეორე IV
## ეკონომიკური დებულებები

### I. დაგეგმარება.

მუხლი 166 — სახელმწიფოს მოვალეობებში შედის: მთელი ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღონისძიების, განსაკუთრებით წარმოების და სოფლის მეურნეობის ბალანსირებული განვითარების და ქვეყნის რესურსების ყოველმხრივ შესწავლისა და შეფასების განხორციელების შედეგად მათი ეფექტურად გამოყენების დაგეგმვა და ამ მიზნებით აუცილებელი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა.

სახელმწიფო ითვალისწინებს ზომებს წარმოების ამაღლების, ფასების სტაბილურობისა და საგარეო ვალების დაბალანსებული ეფექტურობისათვის, აგრეთვე კაპიტალდაბანდებებისა და დასაქმების გაზრდისათვის. კაპიტალდაბანდებების განხორციელებისას ხდება საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინება. ეკონომიკური ღონისძიების გეგმათა მომზადების პრინციპები, თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ მათი დამტკიცების, გამოყენების და ამ გეგმათა განხორციელებისათვის საშიში ცვლილებების აღკვეთის წესები და პირობები რეგულირდება კანონით.

### II. ბაზართა მდგომარეობის კონტროლი და საგარეო ვაჭრობის რეგულირება

მუხლი 167 — სახელმწიფო იღებს ზომებს ფულადი, საკრედიტო, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების ბაზრების ჯანსაღი და მწყობრი ფუნქციონირების სტიმულირებისა და ეფექტურობისათვის; ის ხელს უშლის ბაზრებში მონოპოლიზაციისა და კარტელიზაციის, რომელიც გამომდინარეობს შეთანხმების შედეგად, ან ფაქტიური მდგომარეობიდან.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, საგარეო ვაჭრობის რეგულირების მიზნით, კანონის შესაბამისად მინისტრთა საბჭოს შესაძლებელია მიენიჭოს კომპეტენცია გადასახადებისა და მსგავსი ვალდებულებების გარდა ბაჟების დამატებითი ფინანსური ვალდებულებები იმპორტზე, ექსპორტზე და სხვა საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებზე.



### III. ბუნებრივი სიმდიდრეებისა და რესურსების დამუშავება

მუხლი 168 — ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები იმყოფება სახელმწიფოს მფლობელობასა და კონტროლის ქვეშ. მათი მოპოვებისა და დამუშავების უფლება ეკუთვნის სახელმწიფოს. სახელმწიფოს შეუძლია გარკვეული ვადით გადასცეს ეს უფლება ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ბუნებრივ სიმდიდრეებსა და რესურსებს ამუშავებს სახელმწიფო ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ერთად, ან უშუალოდ ფიზიკური და იურიდიული პირები, დამოკიდებულია კანონში გარკვეულად განსაზღვრულ ნებართვაზე. პირობები, რომელიც ასეთ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა აგრეთვე, სახელმწიფოს მხრიდან ზედამხედველობისა და კონტროლის მეთოდები და პრინციპები ისევე, როგორც სანქციები განისაზღვრება კანონით.

### IV. ტყეები და ტყიან გარემოში მცხოვრები გლეხები

### A. ტყეების დაცვა და განვითარება

მუხლი 169 — სახელმწიფო გამოსცემს შესაბამის კანონებს და იღებს აუცილებელ ზომებს ტყეების დაცვისა და სატყეო ფართობების გაფართოებისათვის. ხანძრის მიერ განადგურებული ტყის ადგილზე ხორციელდება ახალი ტყეების გაშენება. ამ ფართობებზე არ შეიძლება განვითარდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვადასხვა სახეობები. მთელი სატყეო მასივების ზედამხედველობა წარმოადგენს სახელმწიფოს პრეროგატივას.

ტყეებზე სახელმწიფო კუთვნილება ხელშეუხებელია. კანონის მიხედვით სახელმწიფო ტყეებს განაგებს და ამუშავებს სახელმწიფო. ეს ტყეები, გარდა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე შემთხვევებისა, არ შეიძლება გადავიდეს კერძო მფლობელობაში, ან გასხვისდეს.

დაუშვებელია ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც ზიანს მიაყენებს ტყეებს. აკრძალულია: ტყეების გაჩანაგების პროვოცირების გამომწვევი პოლიტიკური პროპაგანდის განხორციელება, მხოლოდ ტყის დაზიანებისათვის ბრალდებულთა შესახებ საყოველთაო, ან კერძო ამნისტიის გამოცხადება, ტყეების დაწვის, განადგურების, ან სატყეო ფართობის შემცირების მიზეზით მსჯავრდებულთა მიმართ საყოველთაო, ან კერძო ამნისტიების გამოცხადება.

დაუშვებელია სატყეო მასივების შემცირება, გარდა იმ ფართობებისა, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევით არ წარმოადგენენ ფასეულობას, როგორც სატყეო მეურნეობა, არამედ აქვთ მემინდვრეობის პერსპექტივა, და გარდა იმ ფართობებისა, რომლებმაც 1981 წლის 31 დეკემბრამდე არსებული მდგომარეობით სრულიად ამოწურეს ტყისათვის დამახასიათებელი თვისებები და გამოსადეგია სათესად, მევენახეობის, მებაღეობის ან მეცხოველეობის განვითარებისათვის და სადაც ახლოს არის ინტენსიური საქალაქო, დაბის და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის რაიონები.

## B. ტყიან გარემოში მცხოვრებ გლეხთა დაცვა

მუხლი 170 – კანონით რეგულირდება: სახელმწიფოსა და მეორეს მხრივ, ტყეებში, ან მის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ სოფლის მოსახლეობას შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფის ზომები. ამ მოსახლეობის ეკონომიკური ამაღლების, ტყეების დაცვისა და იმ ფართობების გამოყენების საკითხები, რომლებიც 1981 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეცნიერო და ტექნიკური თვალსაზრისით დაკარგული აქვთ ტყისთვის დამახასიათებელი თვისებები, იმ ადგილთა განსაზღვრა, რომლებიც შეფასებათა მიხედვით აღარ გამოდგებიან სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის; და ამ ადგილებში, მათი განაშენიანების მიზნით სოფლის მოსახლეობის ჩასახლება.

სახელმწიფო იღებს ზომებს სოფლის მოსახლეობის [illegible] შრომის იარაღებითა და სხვადასხვა მანქანებით მომარაგების უზრუნველყოფისათვის.

იმ ტერიტორიებზე, საიდანაც მოხდა სოფლის მოსახლეობის გაყვანა, სახელმწიფო დაუყოვნებლივ იწყებს ხეების გაშენებას და ქმნის სახელმწიფო ტყეებს.

## V. კოოპერაციის განვითარება

მუხლი 171 – სახელმწიფო ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით იღებს ზომებს კოოპერაციის განვითარების უზრუნველყოფისათვის, რომელიც მიმართული იქნება, უპირველეს ყოვლისა, წარმოების გაზრდისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის.

## VI. მომხმარებელთა, ხელოსანთა და კუსტართა ინტერესების დაცვა

## A. მომხმარებელთა დაცვა

მუხლი 172 – სახელმწიფო იღებს ზომებს მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად, ხელს უწყობს მომხმარებელთა თვითდაცვისათვის გადადგმულ ნაბიჯებს.

## B. ხელოსანთა და კუსტართა ინტერესების დაცვა

მუხლი 173 – სახელმწიფო იღებს ზომებს ხელოსანთა და კუსტართა ინტერესების დასაცავად და მხარდასაჭერად.

# კარი მეხუთე
# სხვადასხვა დადგენილებები

## I. რევოლუციური კანონების დაცვა

მუხლი 174 – კონსტიტუციის არც ერთი დებულება არ შეიძლება გაგებულ იქნეს ისე, თითქოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება საყოველთაო რეფერენდუმის



შედეგად კონსტიტუციის მიღების დღეს მოქმედი ქვემოთ მითითებული რეფორმაციული კანონები, რომლებიც მიმართული იყო თურქეთის საზოგადოების მიერ თანამედროვე დონის მიღწევისა და თურქეთის რესპუბლიკის საეროობის დაცვისათვის.

1. 1340 წლის 3 მარტის №430 კანონი განათლების უნიფიკაციის შესახებ;
2. 1341 წლის 25 ნოემბრის №671 კანონი ქუდების ტარების შესახებ;
3. 1341 წლის 30 ნოემბრის №677 კანონი დერვიშების ორდენებისა და წოდებების გაუქმების შესახებ;
4. 1926 წლის 17 თებერვლის №743 კანონის დებულება სამოქალაქო მოსამსახურეთა ქორწინების რეგისტრაციის შესახებ და აღნიშნული კანონის 110-ე მუხლის დებულება;
5. 1928 წლის 20 მაისის №1288 კანონი საერთაშორისო სიმბოლოების ზომათა მიღების შესახებ;
6. 1928 წლის 1 ნოემბრის №1353 კანონი თურქული ანბანის მიღების შესახებ;
7. 1934 წლის 26 ნოემბრის №2590 კანონი ტიტულებისა და მიმართვის ისეთი ფორმების გაუქმების შესახებ, როგორიცაა – „ბეი", „ფაშა", „ეფენდი";
8. 1934 წლის 3 დეკემბრის №2596 კანონი ტანსაცმლის ზოგიერთი სახეობის ტარების დაუშვებლობის შესახებ.

# კარი მეექვსე
# დროებითი დებულებები

დროებითი მუხლი 1 – რეფერენდუმის შედეგად თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებასთან ერთად, რეფერენდუმის მონაწილეთათვის პიროვნება, რომელიც ასრულებს ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისა და სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს, იძენს რესპუბლიკის პრეზიდენტის სტატუსს და შვიდწლიანი ვადის მანძილზე ახორციელებს კონსტიტუციის მიერ აღიარებულ პრეზიდენტის მოვალეობებს და უფლებამოსილებას. ძალაში რჩება მის მიერ 1980 წლის 18 სექტემბრის მიღებული სახელმწიფო მეთაურის ფიცი. შვიდწლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ტარდება კონსტიტუციის მიერ გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ მანამ, სანამ არ შეიკრიბება თურქეთის დიდი ეროვნული კრება და არ ჩამოყალიბდება მისი პრეზიდიუმი, პრეზიდენტი ახორციელებს 1980 წლის 12 სექტემბრის №2356 კანონის შესაბამისად ფორმირებული ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებსაც.

თუ პირველი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების დღიდან, თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევამდე, გარდამავალ პერიოდში ამა თუ იმ მიზეზით პრეზიდენტის თანამდებობა განთავისუფლდა, ეროვნული უშიშროების საბჭოს უხუცესი წევრი თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე ითავსებს მის მოვალეობებს და იყენებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ მის კომპეტენციას.

დროებითი მუხლი 2 – კონსტიტუციაზე დაყრდნობით მომზადებული პოლიტიკურ პარტიათა შესახებ კანონისა და საარჩევნო კანონის მიხედვით ჩატარებული პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ თურქეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ჩამოყალიბებამდე, 1980 წლის 12 დეკემბრის №2356 კანონით დაფუძნებული ეროვნული უშიშროების საბჭო, ძველი შემადგენლობით აგრძელებს საქმიანობას კონსტიტუციური წესების შესახებ №2324 კანონისა და დამფუძნებელი კრების შესახებ №2485 კანონის შესაბამისად.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ №2356 კანონის მე-3 მუხლის დებულება, ეროვნული უშიშროების საბჭოში, ამა თუ იმ მიზეზით წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების წესის შესახებ, კარგავს ძალას.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევისა და მოვალეობათა შესრულების დაწყების შემდეგ, ეროვნული უშიშროების საბჭო ექვსი წლის ვადით გადაკეთდება საპრეზიდენტო საბჭოდ, ხოლო ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები იძენენ საპრეზიდენტო საბჭოს წევრების სტატუსს. 1980 წლის 18 სექტემბრის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრის სტატუსით მიღებული ფიცი რჩება ძალაში. საპრეზიდენტო საბჭოს წევრები, ეროვნული კრების წევრების მსგავსად იძენენ პირად გარანტიებისა და ხელშეუხებლობის უფლებას. ექვსწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ საპრეზიდენტო საბჭოს იურიდიული არსებობა სრულდება.

საპრეზიდენტო საბჭოს მოვალეობებში შედის:

ა) თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებული და შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის გაგზავნილი იმ კანონების შემოწმება, რომლებიც შეეხება კონსტიტუციაში დაფიქსირებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ლაიციზმის პრინციპებს, ათათურქის რეფორმების დაცვას, ეროვნულ უშიშროებას, სახელმწიფოებრივ წესებს, თურქეთის რადიო-ტელევიზიის საშუალებებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს. შეიარაღებული ძალების საზღვარგარეთ გაგზავნას და პირიქით, საგანგებო ან სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებას და სხვა კანონებს, რომელთა შემოწმებას პრეზიდენტი აუცილებლად მიიჩნევს. საპრეზიდენტო საბჭო ახორციელებს აგრეთვე თხუთმეტდღიანი ვადის პირველ ათ დღეში პრეზიდენტისათვის განკუთვნილი ვეტოს უფლების შემოწმებას.

ბ) პრეზიდენტის მოთხოვნით და მის მიერ დადგენილ ვადებში ისეთი საკითხების შესწავლა და საკუთარი დასკვნების მომზადება, როგორიცაა ვადამდელი



საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, საგანგებო მმართველობის შემოღება, რადიოსა და ტელევიზიის ორგანოთა კონტროლი, ახალგაზრდობის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები და რელიგიური საქმეთა სამმართველოს საქმიანობის რეგულირება;

გ) რესპუბლიკის პრეზიდენტის მოთხოვნით შიდა და საგარეო უსაფრთხოების აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა და დამუშავება, შედეგების პრეზიდენტისათვის მიწოდება.

დროებითი მუხლი 3 – კონსტიტუციის მიხედვით ჩატარებული პირველი საპარლამენტო არჩევნების შედეგად თურქეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ფორმირებისთანავე იურიდიულ სტატუსს კარგავენ ეროვნული უშიშროების საბჭო და საკონსულტაციო მეჯლისი. ძალადაკარგულად ითვლება აგრეთვე შემდეგი კანონები.

ა) 1980 წლის 27 ოქტომბრის კანონი №2324 კონსტიტუციური წესების შესახებ;

ბ) 1980 წლის 12 დეკემბრის კანონი №2356 ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ,

გ) 1981 წლის 29 ივლისის კანონი №2484 დამფუძნებელი კრების შესახებ.

დროებითი მუხლი 4 – 1987 წლის 17 მაისის №3361 კანონის მიხედვით და 1987 წლის 6 ოქტომბრის რეფერენდუმის შედეგად ამოღებულ იქნა კონსტიტუციიდან.

დროებითი მუხლი 5 – ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ პირველი საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან მეათე დღეს, თურქეთის დიდი ეროვნული კრება იკრიბება დამოუკიდებლად 15 საათზე ანკარაში, თურქეთის დიდი ეროვნული კრების შენობაში. ამ სხდომაზე კრების თავმჯდომარეობის მოვალეობებს ასრულებს უხუცესი წევრი. ეროვნული კრების პირველსავე სხდომაზე ხორციელდება ფიცის მიღების ცერემონიალი.

დროებითი მუხლი 6 – მანამ, სანამ კონსტიტუციის მიხედვით ფორმირებული თურქეთის დიდი ეროვნული კრება შეიმუშავებს საკუთარი სხდომებისა და საქმიანობისათვის აუცილებელ შიდა რეგლამენტს, ძალაში რჩება 1980 წლის 12 სექტემბრამდე მოქმედი თურქეთის დიდი ეროვნული კრების შიდა რეგლამენტის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

დროებითი მუხლი 7 – პირველი საპარლამენტო არჩევნების შედეგად ფორმირებული თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ ახალი მინისტრთა საბჭოს ჩამოყალიბებამდე, საკუთარი მოვალეობების შესრულებას განაგრძობს მოქმედი მინისტრთა საბჭო.

**გარდამავალი მუხლი 8** – კონსტიტუციის მიერ გათვალისწინებული ახალი ორგანოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების სტრუქტურასთან, მოვალეობებთან, კომპეტენციასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონების შემუშავება ხორციელდება კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ დამფუძნებელი კრების მიერ, მისი უფლებამოსილების ვადებში. ხოლო ის კანონები, რომელთა მიღებაც ვერ მოესწრო დამფუძნებელი კრების საქმიანობის პერიოდში, გადადის თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოვალეობებში, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ეს კანონები, კრების მოწვევის პირველი დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

**გარდამავალი მუხლი 9** – პირველი საყოველთაო არჩევნების შედეგად მოწვეული თურქეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ფორმირებიდან ექვსი წლის განმავლობაში, ეროვნული კრების მიერ მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტები, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია უკან დაუბრუნოს კრებას. ასეთ შემთხვევაში, უკან დაბრუნებული კანონპროექტის კვლავ პრეზიდენტისათვის გაგზავნა შესაძლებელია, მხოლოდ ეროვნული კრების სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის უმრავლესობით.

**გარდამავალი მუხლი 10** – ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არჩევნები ტარდება თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველი სხდომიდან ერთი წლის განმავლობაში.

**გარდამავალი მუხლი 11** – კონსტიტუციის რეფერენდუმის შედეგად მიღების მომენტისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი და სათადარიგო წევრები აგრძელებენ საკუთარი მოვალეობების შესრულებას. შენარჩუნებულია აგრეთვე მათი სტატუსი, რომელთაც მოიპოვეს თანამდებობები საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან არჩევის შედეგად.

საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითად წევრთა განთავისუფლებულ ადგილებზე არჩევნები არ ტარდება მანამ, სანამ ძირითად წევრთა რაოდენობა არ შემცირდება თერთმეტამდე, ხოლო სათადარიგო წევრების არჩევნები კი – მანამ სანამ სასამართლოს ძირითადი და სათადარიგო წევრთა რაოდენობა არ შემცირდება თხუთმეტამდე. საკონსტიტუციო სასამართლო მანამ, სანამ გადავა ფუნქციონირების ახალ სისტემაზე, ძირითად და სათადარიგო წევრთა შემცირებასთან დაკავშირებით არჩევნებს ახორციელებს წინამდებარე კონსტიტუციის მიერ განსაზღვრული საფუძვლებით.

საკონსტიტუციო სასამართლოში მანამ, სანამ ძირითად წევრთა რაოდენობა შემცირდება თერთმეტამდე, საქმეთა განხილვა და მუშაობა მიმდინარეობს ქვორუმით, რომელიც გათვალისწინებულია 1962 წლის 22 აპრილის №44 კანონით.



**გარდამავალი მუხლი 12** – მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭოს შესახებ 1981 წლის 13 მაისის №2461 კანონის პირველი დროებითი მუხლის მიხედვით უმაღლესი საკასაციო სასამართლოსა და სახელმწიფო საბჭოსაგან ფორმირებული საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი და სათადარიგო წევრები; სახელმწიფო საბჭოს შესახებ №1730 კანონის №2483-ის დამატების დროებითი მუხლის მიხედვით რესპუბლიკის მთავარ პროკურორად და მის მოადგილეებად არჩეული პირები და უმაღლესი საკასაციო სასამართლოს შესახებ 1981 წლის 8 იანვრის №2575 კანონის მე-14 დროებითი მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით უმაღლესი საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარედ, მთავარ პროკურორად, თავმჯდომარის მოადგილეებად და დეპარტამენტის თავმჯდომარეებად არჩეული პირები; რომლებიც დამტკიცებული არიან პრეზიდენტის მიერ აგრძელებენ საკუთარი მოვალეობების შესრულებას მათი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

ძალაში რჩება აგრეთვე 1982 წ. 6 იანვრის №2576 კანონის დროებითი მუხლების დადგენილებები ადმინისტრაციული სასამართლოების თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნის შესახებ.

**გარდამავალი მუხლი 13** – უმაღლესი საკასაციო სასამართლოს მიერ მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭოს ერთი ძირითადი და ერთი სათადარიგო წევრის არჩევა ტარდება კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ოცი დღის განმავლობაში.

საბჭო მანამ, სანამ ძირითადი წევრები შეუდგებიან მოვალეობების შესრულებას, ახორციელებს საქმიანობას სათადარიგო წევრების მონაწილეობით.

**გარდამავალი მუხლი 14** – იმ დებულებათა მოთხოვნები, რომლებიც ავალდებულებს პროფკავშირებს საკუთარი შემოსავლების სახელმწიფო ბანკებში შენახვას, უნდა შესრულდეს კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში.

**გარდამავალი მუხლი 15** – 1980 წლის 12 სექტემბრიდან პირველი საყოველთაო არჩევნების შედეგად მოწვეული თურქეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ჩამოყალიბებამდე, გარდამავალ პერიოდში, არ შეიძლება წამოყენებულ იქნეს ბრალდებები სისხლის სამართლის, ეკონომიკური ან იურიდიული პასუხისმგებლობის შესახებ, ანდა იყოს მცდელობები აღნიშნული მიზნით ამა თუ იმ სასამართლო ორგანოში მიმართვისა ქვემოთმოყვანილი დაწესებულებების გამო. ეს დაწესებულებებია: №2356 კანონით შექმნილი ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც თურქი ერის სახელით ახორციელებს აღმასრულებელ და საკანონმდებლო კომპეტენციას, №2485 კანონით შექმნილი დამფუძნებელი კრება და საკონსულტაციო მეჯლისი.

აღნიშნული პუნქტის დებულება ვრცელდება აგრეთვე იმ ორგანოს, კომპეტენტური თანამდებობის პირის ან ინსტანციის მიმართაც, რომლებიც ახორციელებენ ეროვნული უშიშროების საბჭოს, დამფუძნებელი კრების და საკონსულტაციო მეჯლისის გადაწყვეტილებებს.

არ შეიძლება აგრეთვე, ამ პერიოდში გამოცემული კანონების, კანონის ძალის მქონე დადგენილებების ან №2324 საკონსტიტუციო წყობის შესახებ კანონის მიხედვით მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ წინადადებების წამოყენება, მათი ანტიკონსტიტუციურობის მოტივით.

**დროებითი მუხლი 16** – პირებს, რომლებსაც გააჩნიათ საარჩევნო უფლება, ჩაწერილნი არიან საარჩევნო სიაში, აკმაყოფილებენ არჩევნებში მონაწილეობის პირობებს, მაგრამ ამის მიუხედავად ყოველგვარი იურიდიული და ფაქტობრივი მიზეზის გარეშე არ მიიღეს მონაწილეობა კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებულ საყოველთაო რეფერენდუმში, ხუთი წლის მანძილზე დაკავშირებულ საყოველთაო რეფერენდუმში, ან ადგილობრივ არჩევნებში აგრეთვე სხვა რეფერენდუმებში მონაწილეობა, ამასთან ერთად არ შეუძლიათ წამოაყენონ საკუთარი კანდიდატურა.

# კარი მეშვიდე
# დასკვნითი დებულებები

## I კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობა

**მუხლი 175** – საკითხი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით შეიძლება დღის წესრიგში დადგეს მხოლოდ თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წინადადების შემთხვევაში. წინადადებებს, კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ თურქეთის დიდი ეროვნული კრება განიხილავს ორჯერ.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წინადადების მიღება შესაძლებელია მხოლოდ საიდუმლო კენჭისყრით, ეროვნული კრების სრული შემადგენლობის წევრთა სამი მეხუთედის უმრავლესობით.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადების განხილვისა და მიღებისათვის გამოიყენება ის დებულებები, რომლებიც შეეხება კანონთა მიღებას და განხილვას.

რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია კონსტიტუციაში ცვლილებებთან დაკავშირებული კანონი ხელახალი განხილვისათვის დააბრუნოს ეროვნულ კრებაში.



თუ ეროვნული კრება უკან დაბრუნებულ კანონს წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით იგივე ფორმით მიიღებს, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია ეს კანონი გადაიტანოს რეფერენდუმზე.

კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ კანონი, რომელსაც ვერ დაუჭირა ეროვნული კრების სრული შემადგენლობის ხმათა სამი მეხუთედი ან ორი მესამედი, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია ეროვნულ კრებაში მისი დაბრუნების გარეშე, რეფერენდუმზე გატანის მიზნით გამოაქვეყნოს „რესმი გაზეთში".

რეფერენდუმზე გატანილი კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ კანონის ძალაში შესვლისათვის აუცილებელია რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი უმრავლესობის უზრუნველყოფა.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ კანონის მიღებისას, ამ კანონის რეფერენდუმზე გატანის შემთხვევაში განისაზღვრება, თუ კონსტიტუციის რომელი დებულებები უნდა იქნეს გატანილი რეფერენდუმზე ცალ-ცალკე.

რეფერენდუმში, საყოველთაო და დამატებით არჩევნებში და ადგილობრივი მმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად კანონით გათვალისწინებული ყოველნაირი ზომების გამოყენება ფულადი ჯარიმის დაკისრების ჩათვლით.

## II. პრეამბულა და ქვესათაურები

**მუხლი 176** – პრეამბულა, რომელიც განსაზღვრავს კონსტიტუციის ფუნდამენტურ იდეებს და პრინციპებს შედის კონსტიტუციის ტექსტში.

ქვესათაურები მიუთითებენ მხოლოდ შესაბამისი მუხლის თემას და მუხლებს შორის ურთიერთკავშირს. ეს ქვესათაურები კონსტიტუციის ტექსტის ნაწილად არ ითვლება.

## III. კონსტიტუციის ძალაში შესვლა

**მუხლი 177** – წინამდებარე კონსტიტუცია თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის სტატუსს შეიძენს რეფერენდუმის შედეგად მისი მიღებისა და „რესმი გაზეთში" გამოქვეყნებისთანავე და ძალაში შედის მთლიანად გარდა ქვემოთ მითითებული გამონაკლისებისა:

ა) მეორე კარის მეორე თავში არსებული დებულებები, რომლებიც შეეხება პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოებას, პრესისა და გამომცემლობებს, შეკრებათა ჩატარების უფლებას, აგრეთვე მესამე თავში არსებული დებულებები, რომლებიც ეხება შრომის საკითხებს, კოლექტიურ შრომით შეთანხმებებს, გაფიცვებისა და ლოკაუტების უფლებას ძალაში შედის ახალი კანონების გამოქვეყნების ან არსებულ კანონებში ცვლილებების შეტანის შემდეგ, ან თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ მოქმედებათა შესრულების დაწყებისთანავე. ამ დებულებების ძალაში შესვლამდე გამოიყენება არსებული კანონები და ეროვნული უშიშროების საბჭოს დეკრეტები და დადგენილებები;

ბ) მეორე კარის ის დებულებები, რომლებიც შეეხება პოლიტიკური საქმიანობის წარმოებას და პოლიტიკურ პარტიებს, ძალაში შედის პოლიტიკური პარტიების შესახებ ახალი კანონის მიღებისთანავე, ხოლო არჩევის, ან არჩეულად ყოფნის შესახებ დებულებები კი ძალაში შედის საარჩევნო კანონის მოქმედებისთანავე;

გ) მესამე კარის დებულებები, რომლებიც ეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, ძალაში შედის პირველი საყოველთაო არჩევნების შედეგების გამოქვეყნებისთანავე, მაგრამ ამ თავის დებულებები თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოვალეობებისა და კომპეტენციების შესახებ ხორციელდება ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მანამ, სანამ ეროვნული კრება შეუდგება საკუთარი მოვალეობების შესრულებას;

დ) მესამე კარის ქვეთავში „პრეზიდენტი" არსებული ყველა მუხლი, გარდა იმ დებულებებისა, რომლებიც შეეხება პრეზიდენტისა და სახელმწიფო კონტროლის საბჭოს მოვალეობებს; ქვეთავში „მინისტრთა საბჭოს" ყველა მუხლი, გარდა იმ დებულებებისა, რომლებიც შეეხება წესდებებს, ეროვნულ თავდაცვას და საგანგებო მმართველობას; ქვეთავში „ადმინისტრაციის" ყველა მუხლი, გარდა იმ დებულებებისა, რომლებიც შეეხება ადგილობრივ მმართველობას და ათათურქის სახელობის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საბჭოს მოვალეობებს, აგრეთვე სასამართლო ხელისუფლების შესახებ ყველა მუხლი გარდა სახელმწიფო უშიშროების სასამართლოებისა, ძალაში შედიან კონსტიტუციის რეფერენდუმის შედეგად მიღებისა და „რესმი გაზეთში" გამოქვეყნებისთანავე. რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოს შესახებ დებულებები ძალაში შედიან თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევისთანავე, ხოლო ადგილობრივი მმართველობისა და სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების შესახებ დადგენილებები კი შესაბამისი კანონების მიღებისთანავე;

ე) კონსტიტუციის იმ დებულებათა გამოყენება, რომლებიც ძალაში შევიდნენ რეფერენდუმის შედეგად კონსტიტუციის მიღებისთანავე, მოქმედი კანონების გამოყენება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას აგრეთვე საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანასთან ან ახალი კანონების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ან სტრუქტურების შექმნასთან ხორციელდება კონსტიტუციის მე-11 მუხლის შესაბამისად;

ვ) 164-ე მუხლის მეორე პუნქტის დადგენილება, რომელიც არეგულირებს ბიუჯეტის შესრულების შესახებ კანონპროექტის განხილვის წესს, ძალაში შედის 1984 წლიდან.